



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნინო ფიფია

**ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის
თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით**

სადოქტორო პროგრამა - სამართალი

შიფრი 06

**წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0192, საქართველო

2018 წელი

საავტორო უფლება © „ნინო ფიფია“, 2018 წელი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ფიფია ნინოს მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“ და ვაძლევთ რეკომენდაციას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„_____“ _____ 2018 წელი

ხელმძღვანელი: პროფესორი როინ მიგრიაური

ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ლევან დონდუა

რეცენზენტი:

რეცენზენტი:

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2018 წელი

ავტორი: ფიფია ნინო

დასახელება: „ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“
ფაკულტეტი: სამართლის ფაკულტეტი

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: „ ____ ” _____ 2018 წელი

ინდივიდუალური პიროვნების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტირებებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიკურ მიმართულებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის „ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“ შესავალი ინცეპა ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის, როგორც სამართლის ინსტიტუტის მოკლე მიმოხილვით. შესავალშია განხილული თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, პრობლემა, წყარო, ობიექტი, საგანი, საკითხის ისტორია, ნაშრომის თეორიული ბაზა, მეთოდოლოგია, მეცნიერული სიახლე, ღირებულება, დანიშნულება და ნაშრომის აპრობაცია.

თავი პირველი – „ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი ინსტიტუტების ზოგადი დახასიათება“. ნაშრომის ამ თავში დასმულია პრობლემა, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულებაზე უარის თქმა, აგრეთვე ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულების შეწყვეტა სინონიმური ცნებებია თუ არა?! კონკრეტული საქმის გადანყვეტისას, კანონმდებლობაში თუ ხელშეკრულებაში გამოყენებული ამ ტერმინების მიუხედავად, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომელია გრძელვადიანი ხელშეკრულება და რომელი – მოკლევადიანი და შემდეგ მივუსადაგოთ ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ესა თუ ის მუხლი კონკრეტულ საქმეს, მიუხედავად იმისა, გამოყენებულია თუ არა მასში ტერმინები ხელშეკრულების მოშლა, ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებიდან გასვლა თუ ხელშეკრულების გაუქმება.

ჩვენ ვასაბუთებთ რეფორმის აუცილებლობას და რეკომენდაცია შევთავაზებთ კანონმდებლებს ამ ტერმინების უნიფიკაციის თვალსაზრისით. ჩამოვაცალიებთ ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი ინსტიტუტების ცნება საქართველოს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსებთან შედარებითი ანალიზის გამოყენებით. მათ შორის ტერმინოლოგიური განსხვავებები და განსხვავება მოქმედი სამართლებრივი მონენსრიგების მიხედვით. განვსაზღვრეთ თითოეული ინსტიტუტის მნიშვნელობა და გავმიჯნეთ ისინი ერთმანეთისაგან.

სსკ-ის 491-ე, 492-ე, 636-ე, 637-ე მუხლებში მითითებული „ხელშეკრულების მოშლა“ უნდა შეიცვალოს „ხელშეკრულებიდან გასვლით“. ხოლო სსკ-ის 399-ე, 541-ე, 809-ე, 812-ე, 938-ე მუხლებში მითითებული „ხელშეკრულებიდან გასვლა (უარი)“ - უნდა შეიცვალოს „ხელშეკრულების მოშლით“. სსკ-ის მერვე თავის სათაურში მითითებული „ანდერძის შეცვლა ან მოშლა“ უნდა შეიცვალოს ანდერძის „შეცვლა და გაუქმებით“ და შესაბამის მუხლში მიეთითოს ანდერძის შეცვლასა და გაუქმების უფლებაზე.

ტერმინოლოგიის უნიფიკაციის მიზნით, ჩვენ საერთოდ უარს ვამბობთ ტერმინზე „ხელშეკრულებაზე უარი“ და ვამჯობინებთ ტერმინს „ხელშეკრულებიდან გასვლა“, რადგან უარი ხელშეკრულებაზე უფრო ფართო ცნებაა და იგი ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტისათვის არ

უნდა გამოვიყენოთ და აგრეთვე უარს ვამბობთ ტერმინზე „ხელშეკრულების შეწყვეტა“ და ვალიარებთ ტერმინს „ხელშეკრულების მოშლა“, რადგან შეწყვეტის ინსტიტუტი წარმატებითაა ჩამოყალიბებული ვალდებულების შეწყვეტის აღსანიშნავად.

ამ თავში ჩვენ ვსაუბრობთ აგრეთვე ხელშეკრულების შესრულების სავალდებულობაზე, ხელშეკრულების გაუქმების ინსტიტუტზე, როგორც ფაქტზე რომელსაც აღგენს სასამართლო.

თავი მეორე – „ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი“. ამ თავში განხილულია: ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი და სახელშეკრულებო წინაპირობები; ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობის პირობები, ხელშეკრულებიდან გასვლის თანმდევი პროცედურები.

ჩვენ ვადგენთ სსკ-ის სტრუქტურულ ხარვეზს ხელშეკრულებიდან გასვლის თავთან დაკავშირებით. ვმსჯელობთ აშკარა ვარაუდის საფუძვლისა და არსებითი და უმნიშვნელო დარღვევის განსაზღვრის კრიტერიუმებზე გაეროს 1980 წლის „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ კონვენციის მაგალითზე. შეტყობინების შესახებ მუხლის გავრცობის აუცილებლობაზე; ხელშეკრულებიდან გასვლის ნების გამოვლენის თავისებურებაზე; დამატებითი ვადის არა აბსოლუტურობაზე და მის პოზიტიურ მნიშვნელობაზე; შეტყობინებაზე, როგორც ორმხრივ გარიგებაზე და მისი გაგზავნის ფაქტის დადგენის მნიშვნელობაზე; სსკ-ის 405.3(დ) მუხლის საფუძველზე შესაგებლის წარდგენის უფლებაზე; ზიანის და ზარალის ინსტიტუტების განსხვავებაზე; ვალდებულების განზრახ და გაუფრთხილებელ დარღვევაზე; ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობის კრიტერიუმებზე.

სსკ-ით უნდა განისაზღვროს შეტყობინების შინაარსი, მისი გაგზავნის ფორმა, საშუალება და მისი მიზანი, მას მხოლოდ გაუფრთხილების მნიშვნელობა აქვს და ხელშეკრულებიდან გასვლა მხოლოდ სასამართლომ უნდა დაადასტუროს.

რადგან ზარალის – მიყენება ხდება, ხოლო ზიანის – ანაზღაურება. ვფიქრობთ, სსკ-ში იქ, სადაც საუბარია შედეგზე უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „ზიანი“, ხოლო იქ სადაც საუბარია მოქმედებაზე გამოვიყენოთ ტერმინი „ზარალი“.

სსკ-ში უნდა განისაზღვროს შესაგებლის წარდგენის უფლების განხორციელების ვადა, როდის აქვს მხარეს ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობა, ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ, თუ მანამდე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესაგებლის წარდგენის უფლების ვადად განისაზღვროს ის დრო, როდესაც მხარე ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინებას მიიღებს.

თავი მესამე – „ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები“. ჩვენი კვლევის ინტერესის სფეროდან გამომდინარე ამ თავში შესწავლილია: ორმხრივი რესტიტუციის პრინციპი სამოქალაქო სამართალში;

ნატურით დაბრუნების ვალდებულება; ფულადი ანაზღაურების ვალდებულება; ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

ინგლისური საერთო სამართლის მიხედვით, მარკენგის თეორიის საფუძველზე ვმსჯელობთ რესტიტუციის პრინციპის განხორციელებისაგან განთავისუფლებისათვის რა პირობის აუცილებლობაა საჭირო და ამ დროს მტკიცების ტვირთზე; რესტიტუციის პრინციპის განხორციელების წინაპირობებზე; უსაფუძვლო გამდიდრებასთან რესტიტუციის პრინციპის მიმართებაზე; სსკ-ის 448-ე, გსკ-ის 397-ე და რფსკ-ის 415-ე მუხლებზე დაყრდნობით რესტიტუციის პრინციპის გამოყენების არა იმპერატიულობაზე და არა აბსოლუტურად უვადობაზე; ქონების დაბრუნების საშუალებებზე და ვადებზე; ცალმხრივ რესტიტუციაზე და რფსკ-ის, აშშ-სა და ინგლისის კანონმდებლობის (აშშ-ს ერთიანი სავაჭრო კოდექსი მუხლი 2.106.3,4 და 2ა-505.1,2) მაგალითზე ნაწილობრივ/არასრული რესტიტუციის არსებობის აუცილებლობაზე; შესრულების შეუძლებლობისას განზრახ და გაუფრთხილებელ ბრალზე; ტერმინები „ზიანი“ და „ზარალი“ გამიჯვნასა და მათ მნიშვნელობაზე.

თავი მეოთხე – „ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი“. ამ თავში შესწავლილია და გაანალიზებულია: ხელშეკრულების მოშლის წინაპირობები; ცალკეული ხელშეკრულების მოშლის ვადები; რესტიტუციის პრინციპი ხელშეკრულების მოშლისას; ზიანის მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების მოშლისას; შრომითი ხელშეკრულების მოშლის პირობები;

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტთან დაკავშირებით ვასაბუთებთ სსკ-ის 398.3-ე მუხლის ხარვეზს ანალოგ გსკ-ის 313.3-ე მუხლის მაგალითზე; ვმსჯელობთ ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტთან მიმართებაში სსკ-ის სტრუქტურულ ხარვეზზე. ვაყალიბებთ დამატებითი რეგულირების აუცილებლობას და რეკომენდაციას ვთავაზობთ კანონმდებლებს სსკ-ში ნაწილობრივი (შეუსაბამო) შესრულებისა და შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტების, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის ერთ-ერთი სახის, ცალკე თავის დამატების თვალსაზრისით.

რეკომენდაციას ვთავაზობთ კანონმდებლებს საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით საქართველოს შრომის კოდექსთან მიმართებაში.

თავი მეხუთე – „ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის რეგულირება ვალაუვალობის (გაკოტრების) სამართალში“. ამ თავში დასმულია პრობლემა, არის თუ არა ვალაუვალობის სამართალი სსკ-თან და შრკ-თან შესაბამისობაში. ჩვენ ვადგენთ საკანონმდებლო ხარვეზებს და რეკომენდაციას ვთავაზობთ კანონმდებლებს მათი შესწორების თვალსაზრისით.

ამდენად, ნაშრომში მოცემულია ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების განხილვა საქართველოსა და ევროპის კანონმდებლობის მაგალითზე, ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების ანალიზი და მათი გამოსწორების გზები. ჩამოვაყალიბეთ

მუხლების ისეთი დეფინიცია, რომლის მიხედვითაც სამართლის ადრესატისათვის კანონი გასაგები იქნება.

Summary

Introduction to the present study – “The peculiarities withdrawal from the contract and termination of the contact under the Georgian legislation” starts with brief overview termination of the contact and withdrawal from the contract as the institute of law. In the introduction the subject matter, purpose of the research, problem, source, object, subject, theoretical basis of the thesis, methodology, scientific innovation, value and thesis approbation are discussed.

Chapter One – “General characteristics of the legal institutions withdrawal from the contract and termination of the contact” includes the following issues: general characteristics of the institute for termination of the contact and withdrawal from the contract.

This chapter addresses to the problem whether withdrawal from the contract and repudiation of the contract, as well as the termination of the contract and ending of the contract are the synonymous concepts or not. When deciding on the specific case, despite the terminology used in the legislation or in the contract, we should know which one is long-term and short-term contract and then we should apply this or that article to specific case regardless of whether the terminology such as termination of the contract, ending of the contract, repudiation of the contract, withdrawal from the contract or the revocation of the contract is used or not.

We justify the need for the reform and we offered the recommendation to the legislators in terms of terminology unification. We established the concept of the legal institution of the withdrawal from the contract and the termination of the contract with the Civil Code of Georgia, the Federal Republic of Germany, and Russian Federation by using the comparative analysis. Among them terminological differences, and difference in accordance with the current legal regulation. We determined the importance of each institution and distinguished them from each other.

“Termination of the contract” referred to in Articles. 491, 492, 636 and 637 of the Civil Code of Georgia shall be replaced with “withdrawal from the contract”. And “withdrawal from the contract” (repudiation) referred to in Articles. 399, 541, 809, 812 and 938 shall be replaced with “the termination of the contract”. “Amendment or Termination of a will” referred to in chapter eight of Civil Code of Georgia shall be replaced with “Amendment or Revocation of a will” and the right to change and abolish of the will shall be referred in the relevant article.

We generally reject the term “repudiation of the contract” and prefer the term “withdrawal from the contract”, as the repudiation of the contract is a broad concept, and we shall not use it for the ending of the contract. Also we reject the term “ending of the contract” and we recognize the term “termination of the contract” as the ending institute is successfully established for marking the termination of the obligation.

In this chapter we also speak of compulsory implementation of the contract, the institute of revocation of the contract as the fact that is established by the court.

Chapter II – “Withdrawal from the contract”. The chapter deals with: the lawful and contractual preconditions of the withdrawal from the contract; Inadmissible conditions of the withdrawal from the contract; the procedures of the withdrawal from the contract.

We set out a structural gap of the Civil Code of Georgia concerning the chapter of the withdrawal from the contract. We examine the basis of obvious assumption and criteria for determining the essential and minor violations on the example of the UN Convention on Contracts for the Sale of Goods 1980; the necessity of spreading the article about the notice; the peculiarity of the expression of the will of the withdrawal from the contract; the non-absolutism of extra time and its positive significance; the notice as bilateral transaction and the importance of determining the fact of its sending; the right to assert defence under Article 405.3(D) of the Civil Code of Georgia; the difference between the institutes of damage and harm; the deliberate and negligent violation of the obligation the criteria of inadmissibility to the withdrawal from the contract.

The Civil Code of Georgia shall define the content of the notice, the form of sending it, the purpose and importance that it only has the meaning of warning and the court must only confirm the withdrawal from the contract. Because, the harm is inflicted and the damage is claimed. We think that when the Civil Code of Georgia applies to the outcome, we shall use the term „damage”, and when the mentioned Code applies to action, we shall use the term “harm”.

The Civil Code of Georgia shall define the term of the implementation of right to assert defence of when it has the possibility for exercising the right before or after receiving the notice about the withdrawal from the contract. We see it expedient to determine the timeframe for asserting the defence only after the party receives the notice about the withdrawal from the contract.

Chapter III – “Legal consequences of withdrawal from the contract”. From the scope of our research, this chapter studies: the principle of bilateral restitution in civil law; the obligation of restitution in kind; the obligation of monetary compensation; the obligation to pay damages.

According to the English Common Law, on the basis of theory of Markesinis, we discuss the requirement for the release of the principle of restitution and at the same time we discuss the burden of the proof; the preconditions for the implementation of the principle of restitution; the unreasonable enrichment on the principle of restitution; the non-imperative use and non-absolute perpetuity of the principle of restitution based on the Articles 448 of The Civil Code of Georgia, Articles 397 of The German Civil Code and Articles 415 of The Civil Code of Russian Federation; the means and terms of returning the property; the partial restitution and the necessity of the existence of partial/incomplete restitution on the example of the legislation of United States of America and England (Uniform Commercial Code of USA, Articles 2.106.3,4 and 2a-505. 1,2); the impossibility of the execution of intentional and negligent culpability; the separation and significance of the terms “damage” and “harm”.

Chapter IV – “Termination of the contract”. This chapter studies and analyzes: preconditions of the termination of the contract; Timeframes of the termination of the contract; the principle of restitution upon the termination of the contract; the right to claim damage upon the termination of the contract; the termination of the conditions of the Labor Agreement.

We define the shortcoming of Article 398.3 of the Civil Code of Georgia on the example of Article 313.3 of the analogue German Civil Code in relation to the institute of adapting a contract to the changed circumstances; we discuss the structural

shortcoming of the Civil Code of Georgia in relation to the institute of the termination of the contract; we provide important insight into additional regulation and we offer the recommendation to the legislators to partially (improperly) execute and add one extra chapter for the institutes incapable of implementation as one of the types of the non-performance of the obligation in the Civil Code of Georgia. We recommend the lawmakers to conform the legislation of Georgia to International treaties in relation to the Labor Code of Georgia.

Chapter V _ “The peculiarities of the termination of the contact in the Bankruptcy Law”. This chapter deals with the problem, whether the Bankruptcy Law is in compliance with the Civil Code of Georgia and the Labor Code of Georgia. We set out legislative shortcomings and recommend the lawmakers to their amendment.

Thus, the paper demonstrates the discussion of legislative instruments withdrawal from the contract and termination of the contact on the example of the Georgian and European legislation; it also demonstrates the analysis of the shortcomings in the Georgian legislation and provides the ways to correct them. The definition is established and determined for the articles according to which the law shall be clear for the addressee.

შინაარსი

ტიტულის გვერდი.....	i
ხელმოწერების გვერდი.....	ii
საავტორო უფლების გვერდი	iii
რეზიუმე (ქართულ ენაზე)	Error! Bookmark not defined.
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე).....	vii
შინაარსი	xi
გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა	xiii
შესავალი	13
ლიტერატურის მიმოხილვა	20
შედეგები და მათი განსჯა.....	31
თავი 1. ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი ინსტიტუტების ზოგადი დახასიათება	31
1.1. ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება	37
1.2. ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება	42
თავი 2. ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი	50
2.1. ვალდებულების დარღვევა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა	50
2.2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, როგორც ხელშეკრულების დარღვევის ერთ-ერთი სახე.....	60
2.3. ხელშეკრულებიდან გასვლის გამოყენების წინაპირობები	65
2.3.1. დამატებითი ვადის დაწესება/გაფრთხილება.....	65
2.3.2. შეტყობინება.....	70
2.4. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შეზღუდვის წინაპირობები.....	74
2.5. სამომხმარებლო ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობა	75
თავი 3. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები.....	79
3.1. ორმხრივი რესტიტუციის პრინციპი საქართველოს სამოქალაქო სამართალში.....	79
3.2. ნატურით ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას.....	88
3.3. ფულადი ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას.....	89
3.4. ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას.....	92
თავი 4. ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი	101

4.1. ხელშეკრულების მოშლის წინაპირობები.....	101
4.1.1. პატივსადები საფუძვლის არსებობა.....	101
4.1.2. ვალდებულების დარღვევა.....	102
4.1.3. დამატებითი ვადის დაწესება/გაფრთხილება.....	103
4.2. ხელშეკრულების მოშლის ვადები ცალკეული ხელშეკრულების მაგალითზე (ქირავნობა, იჯარა, ლიზინგი, დაზღვევა, საკრედიტო ხელშეკრულება, სამისდრეშო რჩენა).....	105
4.3. რესტიტუციის დასაშვებობა ხელშეკრულების მოშლისას.....	114
4.5. შრომითი ხელშეკრულების მოშლის პირობები.....	117
თავი 5. ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი ვალაუვალობის (გაკოტრების) სამართალში.....	120
დასკვნები და წინადადებები.....	126
გამოყენებული ლიტერატურა.....	134

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

- სსკ. _ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- სსსკ. _ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- სშრკ. _ საქართველოს შრომის კოდექსი
- გსკ. _ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
- რფსკ. _ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი
- ფრსკ. _ საფრანგეთის (ფრანგული) სამოქალაქო კოდექსი
- ნსკ. _ ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი
- აშშ. _ ამერიკის შეერთებული შტატები
- განკა. _ საქართველოს კანონი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ
- გადკა. _ საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ
- ა.შ. _ ასე შემდეგ
- მაგ. _ მაგალითად
- სხვ. _ სხვა
- ე.ი. _ ესე იგი
- ე.წ. _ ეგრეთწოდებული
- იხ. _ იხილეთ
- გვ. _ გვერდი
- თბ. _ თბილისი
- წ. _ წელი
- ტ. _ ტომი
- ГКРФ. _ Гражданский кодекс Российской Федерации
- Ст. _ Страница
- С. _ Страницы
- Р. _ Page
- pp. _ Pages
- PECL. _ ევროპის სახელმეკრულებო სამართლის პრინციპები

BGB. _ Bürgerliches Gesetzbuch

UNIDROIT _ Unidroit Principles of international commercial contracts

შესავალი

ხელშეკრულებიდან გასვლასა და ხელშეკრულების მოშლაზე, როგორც სამართლის ინსტიტუტებზე, მრავალგზის ითქვა და დაინერა. იურისტები მასზე საუბრობენ, როგორც ფართო ინსტიტუტზე, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს ორ ინსტიტუტს, ხელშეკრულებიდან გასვლასა (უარი ხელშეკრულებაზე) და ხელშეკრულების მოშლას (ხელშეკრულების შეწყვეტა). სახელშეკრულებო სამართალი სამოქალაქო სამართლის შემადგენელი ერთ-ერთი ძლიერი სფერო და უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომლის გამოყენება ხორციელდება ყოველდღიურად. სამოქალაქო ბრუნვისა და მისი სტაბილურობის მისაღწევად, ფაქტია, რომ ყურადღების გამახვილება ხელშეკრულებიდან გასვლაზე და ხელშეკრულების მოშლაზე, როგორც სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე ხარვეზიან ნაწილზე მიზანშეწონილია.

სადოქტორო ნაშრომში დეტალურად განვიხილავთ ხელშეკრულების დასრულების სამართლებრივ ინსტიტუტებს: ხელშეკრულებიდან გასვლასა და ხელშეკრულების მოშლას, როგორც ცალ-ცალკე ისე ერთობლივად, მათ შორის განსხვავებებსა და მსგავსებებს, ხელშეკრულების დასრულებისათვის არსებულ დაშვებისა და დაუშვებლობის პირობებს, ხარვეზების გამოსწორების პერსპექტიულ ხედვას, ხელშეკრულების დასრულების პროცესუალურ მხარეებს, სასამართლო პრაქტიკას, ჩავატარეთ ხელშეკრულების დასრულების შედარებითი კვლევა გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის და აშშ-ის სამართლის მიხედვით. გამოვავლინეთ საქართველოსა და ევროპის ქვეყნების კანონმდებლობას შორის მსგავსებები და განსხვავებები, განვიხილეთ მათი თავისებურებები. საქართველოს კანონმდებლობაში არსებული პრობლემებისა და ნაკლოვანებების გადასაჭრელად და აღმოსაფხვრელად შევიმუშავეთ ალტერნატიული ნორმები. ამ საკითხების დამუშავება ქართულ სახელშეკრულებო სამართალს კიდევ ერთი საფეხურით წინ წასწევს. არსებული ხარვეზები თავისთავად მოითხოვს

რეფორმების განხორციელების ხერხებისა და მეთოდების შემუშავებას, რასაც მიეძღვნა წინამდებარე სადისერტაციო გამოკვლევა.

ნაშრომის აქტუალობა: ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტები საფუძვლიან მეცნიერულ ანალიზს საჭიროებენ. აუცილებელია ამ ინსტიტუტთა თეორიული საფუძვლებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების გამოცდილების გაანალიზება, მათ შორის უცხო სახელმწიფოთა სამართლისა და სამართლის გამოყენების პრაქტიკის შესწავლა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. აღნიშნული აუცილებელია იმ კუთხით, რომ კანონმდებელს საკითხთან დაკავშირებით უკეთესი წარმოდგენა შეექმნას, რაც ხშირ შემთხვევაში სამართალმცოდნეობასა და მის შემცნებაზეა დამოკიდებული, კანონმდებელი კი ვალდებულია იმოქმედოს, სსკ-ში არსებული, წმინდა ტერმინოლოგიური ხარვეზების აღმოფხვრისათვის. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაა პასუხგასაცემი: სახელშეკრულებო სამართლის ცნებები: ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა სინონიმურია, თუ ისინი სხვადასხვა სამართლებრივ კატეგორიას გამოხატავენ.

კვლევის მიზანი და ამოცანა: ამ ნაშრომის მიზანია სახელშეკრულებო სამართლის ინსტიტუტების: ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების ძირითადი სამართლებრივი თავისებურებების ზედმიწევნით ზუსტად დახასიათება, მათი სათანადოდ დამუშავება და შეფასება, რამდენიმე პრობლემური საკითხის განხილვა და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. კვლევის მიზანია იპოვოს ხარვეზები სსკ-ის იმ მუხლებში რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლასა და ხელშეკრულების მოშლას არეგულირებს. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ის ნიუანსები, რომლებიც ამ ინსტიტუტებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, რათა აღმოიფხვრას ხარვეზები, რომლებიც არსებობს სსკ-ში ხელშეკრულების დასრულების მუხლებში, მათი სწორი ინტერპრეტაციისათვის.

კვლევა გადაჭრის კონკრეტულ პრობლემას, გამიჯნავს ერთმანეთისაგან ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტებს და საშუალებას მოგვცემს კოდექსში არსებული ხარვეზები დავინახოთ.

ერთი ნაშრომით ძნელია ყველა საკითხზე ამომწურავი პასუხის გაცემა, თუმცა შევეცდებით, საფუძვლიანად განვსაზღვროთ ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი ინსტიტუტები.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე დასახულ იქნა შემდეგი **ამოცანები**: ნაშრომის ამოცანაა ქართული სახელშეკრულებო სამართლის საფუძვლიანად შესწავლა და ჩამოყალიბება მისი მუხლების ისე, რომ სამართლის ადრესატისათვის ნათლად გასაგები გახდეს.

პრობლემა: დღევანდელ კოდექსში, ხელშეკრულების დასრულების გამომხატველი ტერმინოლოგიები ერთმანეთში იმდენად აღრეულია, რომ კონკრეტული საქმის გადანყვეტისას, ჩვენ უნდა ვიცოდეთ თუ რომელია გრძელვადიანი ხელშეკრულება და რომელი - მოკლევადიანი (კონკრეტულ შებრუნებად შედეგზე ორიენტირებული). მხოლოდ ამ საკითხის გარკვევის შემდეგ უნდა მივუსადაგოთ კონკრეტულ საქმეს ხელშეკრულების დასრულების ესა თუ ის მუხლი იმისდა მიუხედავად, იქნება თუ არა მასში გამოყენებული შემდეგი ტერმინები: ხელშეკრულების მოშლა, ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებიდან გასვლა თუ ხელშეკრულების გაუქმება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამართლის ინსტიტუტების კიდევ უფრო ფართო რეგულირება და ზოგადო პრინციპების განსაზღვრა.

კვლევის ობიექტი და საგანი: კვლევის ობიექტი და საგანი ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების დახასიათებაა, მათი გამიჯნვა ერთმანეთისაგან, ხარვეზიანი მუხლების სწორი ინტერპრეტაცია, სასამართლო გადანყვეტილებების შეფასება და რეკომენდაციები კანონმდებლებისათვის.

ნაშრომის მოცულობა და ტექსტი: სადოქტორო ნაშრომი „ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“ წარმოდგენილია 132 გვერდად. დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციის მიხედვით შესრულებულია A4 თაბახზე, შრიფტით Sylfaen, ზომით 12, ინტერვალით 1,5 და შედგება შესავალი, ხუთი თავის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან, რომელიც 98 დასახელებით არის წარმოდგენილი.

კვლევის მეთოდები: თემაში დასმული პრობლემის კვლევისას შეძლებისდაგვარად ვიყენებთ შემდეგ მეთოდებს: **კვლევისა და ლოგიკური ანალიზის მეთოდს.** ეს მეთოდი გამოვიყენეთ ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტების დეტალურად შესასწავლად და დასაბუთებული დასკვნების გასაკეთებლად. ამ მეთოდს დიდი მნიშვნელობა აქვს ნაშრომისათვის. ქართულ და უცხოურ ლიტერატურაში განსახილველი საკითხების შესწავლის გარეშე შეუძლებელი იყო ანალიზის გაკეთება და სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემის ეფექტიანი გადანწყვეტა. ანალიზის მეთოდმა საშუალება მოგვცა გარკვეულ საკითხებზე შეგვემუშავებინა რიგი საკანონმდებლო ცვლილებების წინადადებები.

შედარებით-სამართლებრივი მეთოდი გულისხმობს განსახილველი საკითხების საერთო და განმასხვავებელი ნიშნებისა და მიდგომების დადგენას. შემეცნების კარგ საშუალებას სწორედ ეს მეთოდი იძლევა. ეს მეთოდი ჩვენ გამოვიყენეთ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არსებული, ეროვნული და სხვადასხვა ქვეყნების, სამართლებრივი წყაროების შესასწავლად, საკუთარი დასკვნების ფორმულირებისათვის და შეხედულებების არგუმენტირებისათვის.

გამოყენებულია **ნორმატიული მეთოდი**, ვინაიდან საკანონმდებლო ბაზის შესწავლის გარეშე შეუძლებელი იყო საკითხის სრულად გაანალიზება. ნაშრომი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქართული კანონმდებლობის გან-

ხილვით, ნაშრომში წარმოდგენილია ცალკეული ქვეყნების ნორმატიული ბაზაც.

ნაშრომში გამოვიყენეთ **ემპირიული მეთოდი**. ამ მეთოდს, უწინარეს ყოვლისა ვიყენებთ სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესწავლისას.

ისტორიულ-შედარებით მეთოდს ვიყენებთ მოქმედ „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ და ძალადაკარგულ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონებთან მიმართებაში. მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების საფუძველზე სხვადასხვა თვალსაზრისების ჩამოყალიბებისათვის.

ნაშრომში განხილულია შემდეგი თემები: ხელშეკრულების დასრულების ინსტიტუტები, მათთვის დამახასიათებელი და ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნები, მათი თანმდევი პროცედურები (დამატებითი ვადის განსაზღვრა, შეტყობინება, ზიანის ანაზღაურება, გაფრთხილება, პატივსადები საფუძველი), ხელშეკრულების მოშლის ვადები და შედეგები, ვალდებულების დარღვევა, რესტიტუციის პრინციპი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების მოშლისას, შრომითი ხელშეკრულების მოშლის პირობები, ევროპის სახელშეკრულებო სამართალი, საკანონმდებლო ხარვეზები, სასამართლო პრაქტიკა.

ხელშეკრულებიდან გასვლასა და ხელშეკრულების მოშლას_საერთო ის აქვთ, რომ ორივე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების სამართლებრივი ინსტიტუტებია. თუმცა კანონში მკაფიოდ არ ჩანს, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა სინონიმური ცნებებია, თუ ისინი სხვადასხვა სამართლებრივ კატეგორიას გამოხატავენ. სამოქალაქო კანონმდებელი ხშირად იყენებს ერთ ცნებას მეორე ცნების მიერ განსაზღვრული ინსტიტუტის აღსანიშნავად. სსკ-ის ზოგიერთ ნორმაში, სადაც თავისი არსით განსაზღვრულია ხელშეკრულებიდან გასვლა, გამოყენებულია ტერმინი „ხელშეკრულების მოშლა“ და პირიქით. ეს მდგომარეობა კი სამართლებრივი ნორმების სწორი გამოყენების პრობლემას ქმნის და

წარმოშობს გაუგებრობების არსებობის რისკს. სამართლის ერთ-ერთი დავალებაა კონკრეტული პირებისათვის (სამართლის ადრესატებისათვის) ნათელი იყოს მათი სამართლებრივი მდგომარეობა, რადგანაც სწორედ ამგვარად შეიძლება მათ საკუთარი ცხოვრება დაგეგმონ და სამოქალაქო ბრუნვაში არსებული რისკების თავიდან არიდება შეძლონ. აქედან გამომდინარე, კანონმდებელი ვალდებულია ხარვეზები გამოასწოროს და ამით სამართლებრივი უსაფრთხოების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყოს.

კანონმდებლობის **პრობლემა**: მდგომარეობს იმაში, რომ ხელშეკრულების დასრულების ინსტიტუტები კანონმდებლობაში სათანადოდ დახასიათებული არაა.

კვლევა გადაჭრის კონკრეტულ პრობლემებს: ის დაეხმარება დაინტერესებულ პირებს განასხვავონ ხელშეკრულების დასრულების სამართლებრივი ტერმინები ერთმანეთისაგან, რათა არ მოხდეს მათ შორის ურთიერთაღრევა. გამიჯნავს ერთმანეთისაგან ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტებს და საშუალებას მოგვცემს შევიშუაოთ ისეთი კანონი, რომელიც დააკმაყოფილებს სამართლის ადრესატის მოთხოვნებს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: ნაშრომი, რომელიც გარკვეულ პოზიციას აყალიბებს სახელშეკრულებო სამართალთან დაკავშირებით, ახლებური ანალიზია ცნობილი ავტორების წიგნებისა და სტატიების შესახებ, რომლებიც ზემოაღნიშნული ინსტიტუტების განმარტებას გვაძლევენ. მათი განხილვისას გამოიკვეთა განსხვავებები და მსგავსებები. ჩვენი მიზანია, სწორედ ამ სხვაობათა და მსგავსებათა დანახვა. თემის სიახლაც ესაა, ქართული კანონმდებლობის სასამართლო პრაქტიკისა და უცხოური კანონმდებლობის შედარებით სამართლებრივი ანალიზის ჭრილში განხილვა.

კვლევის შედეგად შესწავლილია ხელშეკრულების დასრულების ორივე ინსტიტუტი თავისი წარმოშობის წინაპირობებითა და შედეგებით; განზოგადებულია ხელშეკრულების დასრულების ორივე ინსტიტუტის ცნება;

აღმოჩენილია სსკ-ის ხარვეზიანი მუხლები; შემუშავებულია ხარვეზიანი მუხლების ალტერნატიული ვარიანტები.

კვლევის შედეგად ნათელია, რომელ მუხლებშია ხარვეზები და რა უნდა შეიცვალოს, რომ კანონი სამართლის ადრესატისათვის გასაგები გახდეს.

ნაშრომის ღირებულება და დანიშნულება: ნაშრომი განკუთვნილია კანონმდებლებისადმი კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გაანალიზებისა და აღმოფხვრისათვის.

ჩვენ ვადგენთ ხარვეზებს ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტების რეგულირებაში; ვმიჯნავეთ ერთმანეთისაგან ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულების გაუქმების სამართლებრივ ინსტიტუტებს. ვადგენთ ხარვეზებს სსკ-ის შემდეგ მუხლებში: 399-ე, 405-ე, 491-ე, 492-ე, 541-ე, 636-ე, 637-ე, 809-ე, 812-ე, 938-ე. ტერმინოლოგიური უნიფიკაციის თვალსაზრისით რეკომენდაციას ვთავაზობთ კანონმდებლებს სსკ-ის შემდეგ მუხლებზე: 352-ე, 398-ე, 399-ე.

ხელშეკრულებიდან გასვლის თავთან მიმართებაში ვადგენთ სსკ-ის სტრუქტურულ ხარვეზს. რეკომენდაციას ვთავაზობთ კანონმდებელს კოდექსში ცალკე თავის დამატების თვალსაზრისით ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის, ნაწილობრივი (შეუსაბამო) შესრულების, ვალდებულების შეუსრულებლობის და შესრულების შეუძლებლობის რეგულირებისათვის. რეკომენდაციას ვთავაზობთ შესაგებლის ინსტიტუტის, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტის დაკონკრეტებისათვის; ტერმინების „ზიანის“ და „ზარალის“ გამიჯვნისათვის; საკანონმდებლო დონეზე ნაწილობრივი/არასრული რესტიტუციის განსაზღვრისათვის; ცალკეული ინსტიტუტების განვრცობისათვის (მაგალითად: ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის, ვალდებულების დარღვევის, ვალდებულების შეუსრულებლობის, შეტყობინების) ერთიანი ცნებების ჩამოყალიბებისათვის.

ნაშრომის აპრობაცია: ნაშრომის ცალკეული მონაკვეთები სტატიების სახით დაბეჭდილია სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში. სტატიების ნაწილი გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში.

ნაშრომის თეორიული ბაზა: სადისერტაციო თემის შერჩევისა და მუშაობის პროცესში, შესაბამისად მისი აქტუალობის დასასაბუთებლად, ჩვენ მიერ მოძიებული და ნაწილობრივ დამუშავებულია საკვლევ თემასთან დაკავშირებით არსებული, შემდეგი წყაროები: ხელშეკრულების დასრულებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის მასალები და ოფიციალურ ვებ-გვერდებზე მოძიებული ნაშრომები, კვლევები, მონოგრაფიები, სტატიები, პუბლიკაციები, ოფიციალური დოკუმენტები, საცნობარო მასალები, პერიოდული პრესა, სადისერტაციო ნაშრომები და ინტერნეტ რესურსები როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საფუძველია როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების თეორიული ხასიათის კვლევები, ქართული და უცხოური კანონმდებლობა. ნაშრომში დამუშავებულია სსკ-დან სახელშეკრულებო სამართალი, რომლებიც გარკვეულ ხარვეზებს შეიცავენ. ვიკვლევთ აგრეთვე საქართველოს სასამართლო პრაქტიკასა და უცხოურ სამართალსა და პრაქტიკას.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის საფუძველი სადისერტაციო თემის დამუშავებამდე არსებული ლიტერატურაა. ეს უმეტესად ქართულია, რადგან თემაში ხელშეკრულებიდან გასვლასა და ხელშეკრულების მოშლას ქართული კანონმდებლობის მიხედვით განვიხილავთ, თუმცა შედარებითი ანალიზის მიზნით გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა და მათ კომენტარებიცაა გამოყენებული. სწორედ მათმა სიღრმისეულად გაანალიზებამ განაპირობა დისერტაციაში დასმული პრობლემის შესწავლა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა საქართველოს კანონმდებლობა ევროპის ქვეყნების კანონმდებლობას შეგვედარებინა და გაგ-

ვენალიზებინა, რათა მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავება დაგვეჩვენა.

ჩვენ მიერ დამუშავებული წყაროებიდან განსაკუთრებით გვინდა ყურადღება შევაჩეროთ შემდეგზე:

ქართული წყაროები:

1. ზურაბ ჭყელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე). თბილისი, „ბონა კაუზა“, 2014, 306 გვ.

მონოგრაფია 2008 წელს გამოცემული პირველი გამოცემის გადამუშავებული ვარიანტია. მონოგრაფიაში გამოკვლეულია ქართული სახელშეკრულებო სამართალი, რომლის განხილვისას გამოყენებულია უცხოეთის ქვეყნების კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა და სამეცნიერო მიღწევები. ნაშრომი განკუთვნილია კერძო სამართლის სფეროში მოღვაწე იურისტებისათვის და ამ სფეროთი დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

წიგნში გაშუქებულია მთლიანად სახელშეკრულებო სამართალი. ჩვენ ამ წიგნიდან გავანალიზეთ და თემაში გამოვიყენეთ ის თავები რომლებიც ეძღვნებოდა: ხელშეკრულებიდან გასვლას, ხელშეკრულების შეწყვეტას, ხელშეკრულების და ზოგადად ვალდებულების შესრულებას, ხელშეკრულების და ზოგადად ვალდებულების დარღვევას და ცალკეული ხელშეკრულებების მიმოხილვას.

ნაშრომში საუბარია ხელშეკრულების დასრულების ინსტიტუტების აღრევასა და სსკ-ის 12 ხარვეზიან მუხლზე, შემოთავაზებულია კანონმდებლებისათვის მათი ალტერნატიული ვერსია. ამ მუხლების ხარვეზიანობაზე უკვე არავინ დაობს თუმცა მათი შესწორება კოდექსში ჯერ არ მომხდარა და არც უახლოეს მომავალში იგეგმება. ეს ხარვეზიანი მუხლები კონკრეტული საქმის განხილვისას გაუგებრობის სინდრომს ქმნის. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს სახელშეკრულებო სამართლის მნიშვნელოვანი პრობლემაა, ჩავეძიეთ ამ

ხარვეზებს და დეტალურად გავშითრეთ ისინი, დავასაბუთეთ მათი შესწორების აუცილებლობა და შევიმუშავეთ მათი შესწერებული ვერსია.

მონოგრაფიის თვასეულობა გახლავთ კოდექსის ხარვეზების აღმოჩენა და მათი აღმოფხვრის გზებზე მითითება.

2. ძლიერიშვილი ზურაბი, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანიძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, ჯანაშია ლევან, სახელმეკრულებო სამართალი. თბილისი, „მერიდიანი“, 2014, 579 გვ.

ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილი სახელმეკრულებო სამართლის წიგნში ძირეულადაა განხილული ვალდებულებითი სამართალი. ერთი თავი აქვს დათმობილი „ხელმეკრულების მოშლასა“ და „ხელმეკრულებიდან გასვლას“ სადაც მიმოხილულია ხელმეკრულებიდან გასვლის საფუძვლები, წინაპირობები, შედეგები და განხილულია სასამართლო პრაქტიკა. თავის ბოლოს მოცემულია კითხვები და კაზუსები.

წიგნში სახელმეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტის სახეებადაა განხილული ვალდებულების შეწყვეტა, ხელმეკრულების მოშლა და უარი ხელმეკრულებაზე (ხელმეკრულებიდან გასვლა). სახელმძღვანელოში საუბარია დასახელებული ტერმინოლოგიის აღრევაზე. სახელმძღვანელოში აღიარებულია ამ ტერმინების გამიჯვნის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. სახელმძღვანელო გვთავაზობს ამ ინსტიტუტებს შორის გამიჯვნას შემდეგი კრიტერიუმებით: -მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი, მოთხოვნის შინაარსი და მოთხოვნის სამართლებრივი შედეგი.

წიგნის მიზანია ქართველ იურისტთა მომავალი თაობისათვის შეძლებისდაგვარად დასაბუთებული და მისაღები ორიენტირების განსაზღვრა. სახელმძღვანელო არაა შედარებით-სამართლებრივი კვლევა. სახელმძღვანელოს ამოსავალი წერტილი აარა ამა თუ იმ პრობლემის სწორად გადანყვეტა, არამედ ახალგაზრდა კოლეგების დახმარება რათა ისინი დაეუფლონ ნორმის ინტერპრეტაციის ტექნიკასა და მეთოდებს. ეს სახელმძღვანელო ფაქტობრივად სსკ-ის მუხლების კომენტარები მათი განხილვა და

გაანალიზებაა.

წიგნი საინტერესოა იმით, რომ ყოველ კონკრეტულ თავს სასამართლოს პრაქტიკა, კითხვები და კაზუსები ახლავს.

3. იან კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი. მე-13 გადამუშავებული გამოცემა, მიუნჰენი, 2041, 903გვ.

პროფესორებმა თორნიკე დაჯანიასმა და ზურაბ ჭეჭელაშვილმა თარგმნეს გერმანულენოვანი წიგნი. მათი თარგმნის საჭიროება გამომწვეულია სსკ-სა და გსკ-ს შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირის არსებობით. რადგან სსკ გსკ-ის კოდიფიკაციის შედეგია, იმ შემთხვევაში თუ არ გვაკმაყოფილებს სსკ-ის ამა თუ იმ ნორმის ქართული კომენტარი თავისუფლად შეგვიძლია კროპჰოლერის წიგნის საშუალებით უმოკლეს დროში დავადგინოთ, თუ რას გულისხმობს გსკ-ს შესაბამისი ნორმები, რომლებსაც დამატებით თან ერთვის სასამართლო პრაქტიკის მაგალითები, ისევე როგორც შესაბამისი თემატიკის შემცველი ინფორმაცია გერმანიაში არსებული აქტუალური სამეცნიერო დისკუსიის შესახებ. მითუმეტეს, რომ კომენტარს დართული აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი სსკ-ის ნორმა, რომელი გსკ-ის ნორმის შესატყვისია. საქართველოში კლასიკური კომენტარის არსებობა ჯერ კიდევ შექმნის პროცესშია. ეს კომენტარები იმდენად სრულყოფილია და მისაბაძი რომ შეიძლება ნიმუშის ფუნქციაც იტვირთოს ქართველი კოდექსების თუ კანონების კომენტარების წერასას.

ჩვენ ამ წიგნმა ნაშრომის შექმნისას დიდი სარგებელი მოგვითანა. იგი მეგზურობას გვინვედა გსკ-ის მუხლების განხილვასა და გაანალიზებისას.

4. ქეთევან გოგუა. „ხელშეკრულებიდან გასვლის შედარებით სამართლებრივი დახასიათება“. (სადოქტორო ნაშრომი), თბ., (სტუ), 2012, 125 გვ.

დისერტაციაში მოცემულია ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი რეგულირება და მისი შედარებით სამართლებრივი დახასიათება, ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების ანალიზი და გერმანიის,

სათრანგეთის, აშშ, ინგლისისა და ნიდერლანდების კანონმდებლობა და პრაქტიკა განხილულ საკითხებთან მიმართებაში.

კონკრეტულად ნაშრომში გამოკვეთილია არსებითი შეუსრულებლობის ცნება, მოცემულია დამატებითი ვადის და შეტყობინების განხილვა, მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რადგან ხშირად ისინი ერთმანეთში აღრეულია სამართლებრივი დატვირთვის გაუგებრობის გამო. განხილულია დამატებითი ვადის მნიშვნელობა და მიზანი, შეტყობინების ფორმის განსაზღვრის აუცილებლობა.

დისერტაციაში გაშუქებულია ვალდებულების შეუსრულებლობის თითოეული შემთხვევა, მათი განხორციელებადობა და თავისებურებები ხელშეკრულებიდან გასვლის მეორეული მოთხოვნის უფლებისას. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი მხარეთა მიერ შეთანხმებულ უფლება-მოვალეობათაგან გათავისუფლებისა და თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ცალკეულ საკითხებად, ასევე მოცემულია ხელშეკრულებიდან გასვლისა და მოშლის გამიჯვნა.

ნაშრომში აღწერილია ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგების თავისებურება სახელმწიფო ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ გარიგებებში. აქ გაანალიზებულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თავისებურებები. რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად, პირობადებულ საკუთრებაში გადაცემული ქონების ნასყიდობის გარიგებებიდან გასვლასთან. მთავარი თავისებურება კი იმაში გამოიხატება, რომ აქ ვხვდებით ხელშეკრულებიდან გასვლის განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს, მიღებული სარგებლის მხოლოდ ცალმხრივად დაბრუნების თვალსაზრისით.

დისერტაციაში აღწერილი ყველა ეს საკითხი მეტად აქტუალურია და მათი შესწავლა წინგადადგმული ნაბიჯია ქართული სახელ შეკრულებო სამართლის სფეროში.

ჩვენი თემა ფაქტობრივად მოიცავს ქეთევან გოგუას მიერ დისერტაციაში განხილულ საკითხებს, უმეტესად ვეთანხმებით მას და უფრო დეტალურად და სიღრმისეულად განვიხილავთ მათ.

5. ქეთი ბერიშვილი. ინტერნეტ სტატია: ხელშეკრულების შეწყვეტა VS ხელშეკრულებიდან გასვლა ქართული კანონმდებლობისა და ევროპის სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით. თბილისი, 2014.

სტატიაში მოცემულია იმ მეორეული მოთხოვნის უფლების ანალიზი, როგორცაა ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა, განსაკუთრებით კი, ამ ორი ინსტიტუტის ურთიერთმიმართება. სტატიაში დახასიათებულია ეს ორი ინსტიტუტი, საუბარია მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებაზე და მათი წარმოშობის წინაპირობებზე. სტატიის მიზნად სსკ-ში არსებული ხარვეზების გამოვლენა და მათი გამოსწორების გზების განსაზღვრაა დასახული. ჩვენგან განსხვავებით ამ სტატიაში ავტორს ხელშეკრულების დასრულების ინსტიტუტების ამა თუ იმ ტერმინის დამკვიდრება (ვგულისხმობ ხელშეკრულებიდან გასვლა/უარი) და ხელშეკრულების მოშლა (შეწყვეტა) არ აქვს მიზნად დასახული, რადგან სინონიმური ტერმინებიდან ზოგ ადგილზე ერთი ტერმინია გამოყენებული ზოგან კი მეორე.

6. ჰაონ ბიოლინგი და პეტერ ლუტრინგჰაუსი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი. ბრემენი-თბილისი, „სიესტა“, 2004-2009, 140 გვ.

წიგნის ავტორები არიან გერმანელი იურისტები, მოსამართლეები არიან, რომლებმაც ეს წიგნი ქართველ კოლეგებთან ერთად, შეადგინეს ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. ნაშრომის შექმნაში გერმანელი იურისტების ჩართულობა გამოწვეული იყო ქართული კანონმდებლობის გსკ-ის მოდელზე ორიენტირებულობით. ნაშრომი საქართველოში მოსამართლეთა განათლება-გადამზადების სფეროში მრავალწლიანი საქმიანობის შედეგია. წიგნი გათვლილია ქართველ მოსამართლეებზე, რათა მათ გაუადვილდეთ კაზუსების დამუშავება და გადაწყვეტილების მიღება. ასევე იურიდიული

ფაკულტეტების სტუდენტებისთვის, ადვოკატებისა და მეცნიერებისათვის. წიგნის მიზანია მომავალი იურისტების განათლების განვითარებისათვის ხელის შეწყობა. წიგნი სამ ნაწილადაა წარმოდგენილი: პირველი ნაწილი განიხილავს მოთხოვნის საფუძვლების მნიშვნელობას. მეორე ნაწილში განხილულია მოთხოვნის საფუძვლების გამოყენება მაგალითების მეშვეობით. მესამე ნაწილში მოყვანილია მოთხოვნის საფუძვლების კატალოგი, ნორმებისა და მოთხოვნის შინაარსის ჩამონათვალი, რაც გააადვილებს კანონის ტექსტში ძებნას.

წიგნში დეტალურადაა განხილული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძვლები. პირველადი მოთხოვნები, მეორეული მოთხოვნები და მათი შედეგები.

უცხოური ლიტერატურა:

7. Hein Kötz, Konrad Zweigert. Einführung in die Rechtsvergleichung. Auf dem Gebiete des Privatrechts (Mohr Lehrbuch) Broschiert. Tübingen. J.C.B. Mohr (Paul Siebeck), 1996, 746 Seiten.

ეს წიგნი ერთ-ერთი სრულყოფილი სახელმძღვანელოა კერძო სამართლის სფეროში. იგი შეიქმნა 1964 წელს. მისი მე-3 გადამუშავებული გამოცემა შეიქმნა 1996 წელს. წიგნი შედგება 2 ტომისაგან. იგი მსოფლიო მასშტაბით განიხილება, ამიტომაც ითარგმნა მრავალ ენაზე, მათ შორის: ინგლისურად 1998 წელს, იმავე წელს რუსულად და 2000-2001 წელს ქართულად ეკატერინე სუმბათაშვილის მიერ.

წიგნი გვანვდის შედარებითი სამართლის შესწავლისათვის ჩარჩო მასალას. ნაშრომში შესწავლილია ევროპის სახელმძღვანელოები სამართლის ყველა მიმართულება, მოყვანილია მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ჩვენ ძირითადად ამ ნაშრომიდან გამოვიყენეთ რომაული სამართლის და ევროპული პრინციპების შედარებითი ანალიზი სახელმძღვანელო სამართალთან მიმართებაში.

8. Basil Markesinis, Hannes Unberath, Angus Johnston. The German Law of Contract. A Comparative Treatise, Second ed. Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 1034 p.

ეს 1034 გვერდიანი წიგნი გერმანული კანონის ვალდებულებებითი სამართლის ერთ-ერთი სრული ანგარიშია. ეს უნიკალური წყარო-წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისთვის, პრაქტიკოსი იურისტებისთვის, მოსამართლეებისა და აკადემიური პერსონალისთვის, რომელთაც სურთ მიიღონ მდიდარი და ძირითადი მასალა გერმანიის ვალდებულებითი სამართლის შესახებ. ამ წიგნით მარკენები არა მხოლოდ განგვიმარტავს გერმანულ ვალდებულებით სამართალს, არამედ სიღრმისეულად გვასწავლის მას. ჩვენ ამ წიგნიდან გავანალიზებთ თავი მე-9 „ხელშეკრულების დარღვევა“ განსაკუთრებით კი მე-4 ქვეთავი ხელშეკრულების შეწყვეტა და თავი მე-10 ცალკეული ხელშეკრულებების დარღვევა.

ამ წიგნიდან ჩანს, რომ ქართულ სახელშეკრულებო სამართალსა და გერმანულ სახელშეკრულებო სამართალს შორის დიდი მსგავსებაა, თუმცა გარკვეული ტერმინებისა და მუხლების გაანალიზებისას მის არასწორ ინტერპრეტაციას ვაწყდებით, რაც იწვევს დაბნეულობას და გაურკვეველობას.

9. Reinhard Zimmermann. The Law of Obligations (Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract), Oxford, Oxford University Press, 1996, 1301 p.

შემოთავაზებულ ნაშრომს ლაითმოტივად გასდევს იდეა, რომ რომაული სამართალი თანამედრვე კანონების საფუძველია.

ჩვენ დავამუშავეთ მონოგრაფიის მე-5 ნაწილის 25-ე თავის მე-4 და მე-6 ქვეთავები, რომლებიც ეძღვნება ხელშეკრულების დარღვევას, სადაც რომის სამართლის მიხედვით კარგადაა აღწერილი და შედარებულია გსკ-თან, როგორც რომაული სამართლის კოდიფიკაციის საუკეთესო ნაყოფთან, თუ რას გულისხმობს ხელშეკრულების დარღვევა, როდის გამოიყენება რესტიტუციის პრინციპი და რას ითვალისწინებს ზიანის ანაზრაურება. მონოგ-

რაფიაში განხილულია ინგლისისა და საფრანგეთის სახელშეკრულებო სამართალიც.

10. Ingeborg Schwenzer, Christopher Kee, Pascal Hachem. *Global Sales and Contract Law*. Oxford, Oxford University Press, 2012, 873 p.

ეს საერთაშორისო გაყიდვებს სამართალსა და პრაქტიკაზე ყველაზე სრულყოფილი ნაშრომია, რომელიც შეიცავს საერთაშორისო გაყიდვების კანონმდებლობასა და ცალკეული ქვეყნების კანონებს. ნაშრომი მოიცავს გლობალური მასშტაბის უმაღლესი ხარისხის კომენტარს, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო გაყიდვების კანონის ინტერპრეტაციის თანმიმდევრულ და ერთგვაროვან მიდგომას

ნაშრომი ეფუძნება გაეროს 1980 წლის „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ კონვენციას. იგი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საერთაშორისო კონვენციაა. მასში გატარებულია მოსაზრება, რომ საქონლის საერთაშორისო რეალიზაციისას მისი გამოყენება უნდა მოხდეს ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შიდა და საერთაშორისო გაყიდვების კანონმდებლობის გლობალური ხედვა. მითუმეტეს, რომ კონვენცია არ მოიცავს საერთაშორისო გაყიდვების ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, ამიტომ იგი აუცილებლად უნდა შეივსოს შიდა კანონმდებლობით.

კონვენციაში განხილვება გაყიდვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების წარმოშობის და დარღვევის შემდეგ სამართლებრივი დაცვის საკითხები და განსხვავებები შიდა სამართლებრივი მიდგომის შესახებ. ანალიზი ეფუძნება მსოფლიოს უმსხვილეს 50-მდე კომპანიას, ისევე როგორც საერთაშორისო მოვაჭრეების, საარბიტრაჟო ინსტიტუტების, არბიტრების და სამართლის სკოლების კონსულტაციებს.

წიგნი პრაქტიკოსებს სთავაზობს ფასდაუდებელ ინფორმაციას სასამართლო ტენდენციებსა და სამართლებრივ სისტემებში შესაძლო გადანყვეტი-

ლებების შესახებ. იგი საქონლის რეალიზაციის სფეროში საერთაშორისო პრაქტიკის იურიდიული ანალიზის ყველაზე სრულყოფილი და საიმედო წყაროა.

11. Andrew Burrows. Understanding the Law of Obligations. Essays on Contract, Tort and Restitution, Hart Publishing, Oxford, 1998, 248 p.

შემოთავაზებულ ნაშრომში გაშუქებულია უამრავი მაგალითი ხელშეკრულების დარღვევისა და რესტიტუციის შესახებ, რომელიც რესტიტუციის პრინციპის გაანალიზებისათვის კარგ ფონს ქმნის და მას ფასდაუდებელ ნაშრომად აქცევს სტუდენტებისა და პრაქტიკოსი იურისტებისათვის. მონოგრაფიაში მოცემულია მკაფიო განსხვავებები რესტიტუციის პრინციპსა და უსაფუძვლო გამდიდრებას შორის, რაც ჩვენი ნაშრომის სიღრმისეულად შესწავლაში დაგვეხმარა.

12. Steven Burton. Elements of Contract Interpretation. New York. Oxford University Press. 2009, 251 p.

ეს მონოგრაფია განიხილავს ხელშეკრულებას ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით. იურისტებისთვის და სამართლის სტუდენტებისთვის განკუთვნილი წიგნში მოცემულია ხელშეკრულების ელემენტების განმარტების თეორიები: რა არის ხელშეკრულება; რა აუცილებელ კომპონენტებს უნდა შეიცავდეს ის; რა მომენტიდან ითვლება იგი დადებულიად; განსხვავება ზეპირ და წერილობით ხელშეკრულებას შორის; სასამართლოს ფუნქციაზე ხელშეკრულების ნამდვილობის აღიარების შესახებ (აქ მოცემულია სასამართლო პრაქტიკა); ხელშეკრულების ვადაზე, ჩვენ ძირითადად სწორედ ეს ნაწილი გამოვიყენეთ სადისერტაციო ნაშრომის შექმნისას.

13. Михаил Брагинский, Василий Витрянский. Договорное право. Книга 1-5. М. Статут, 2000-2006. 478, 428, 594, 483, 371-314 С.

ეს ტომეული რუსეთის ფედერაციის სახელშეკრულებო სამართლის სრული კურსია. პირველი წიგნი მოიცავს ხელშეკრულების ზოგად დებულებებს. მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე წიგნში კი განხილულია ცალკეული

ხელშეკრულებები. ცალკეული წიგნი შეიცავს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის მეცნიერულ ანალიზს და საარბიტრაჟო და სააერთო სასამართო პრაქტიკას მათი განმარტებებით. ნაშრომი გვანვდის მნიშვნელოვან ცნობებს რუსეთის ფედერაციის სახელშეკრულებო სამართლის პრაქტიკასთან დაკავშირებით.

14. Янушкевич И.П. Договоры и их правовое значение. М. 2000, 122 С.

წიგნში განხილულია სახელშეკრულებო ურთიერთობების სამართლებრივი საკითხები, ხელშეკრულების დასრულების და შეწყვეტის ინსტიტუტები, ასევე ფორმულირდება ხელშეკრულების ცნება, ხდება მისი როლის განსაზღვრა სამოქალაქო ბრუნვაში. მოცემულია უცხოური სამართლის დახასიათება. ავტორი საუბრობს სამართლის ნორმების და ხელშეკრულებების სახეების კლასიფიკაციაზე, დეტალურად განიხილავს სამართლებრივი რეგულირებულების თავისებურებას. საუბრობს ხელშეკრულებათა სისტემაში ძირითადი და წინასწარი ხელშეკრულებების დამოუკიდებელ ადგილზე. ხელშეკრულების დადების პროცედურებზე, ხელშეკრულების შეცვლა, შეწყვეტა და მხარეთა მოვალეობებზე.

შედეგები და მათი განსჯა

ნაშრომში სიღრმისეულადაა შესწავლილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში-სსკ) ის ნორმები და თეორიული დებულებები, რომლებიც ხელშეკრულებიდან გასვლასა და ხელშეკრულების მოშლას არეგულირებენ. კერძოდ მათ შინაარს, წარმოშობის წინაპირობებს, შედეგებს, ერთმანეთისაგან განმასხვავებელ ნიშნებსა და მსგავსებებს.

ახსნილია ის მიზეზები, რის გამოც უნდა მოხდეს სსკ-ის მუხლების ახლებური ფორმირება. გაანალიზებულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობა.

შემუშავებულია სსკ-ის სწორი ფორმირებისათვის საჭირო ნორმები, რაც მიზნად ისახავს სსკ-ის გამარტივებასა და სრულყოფას.

თავი 1. ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი ინსტიტუტების ზოგადი დახასიათება

ხელშეკრულების დადების მიზანია, ჩვეულებრივ მისი შესრულება, რასაც უზრუნველყოფს კანონი. ხელშეკრულება_თუ არ არსებობს მისი ბათილობის საფუძველი_დადების მომენტიდან მხარეთათვის შესასრულებლად სავალდებულოა და მასზე ერთ-ერთი მხარის მიერ ცალმხრივი უარი, როგორც წესი, დაუშვებელია. განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას სსკ.¹ ითვალისწინებს პირის უფლებას (გერმ: - “Gestaltungsrecht”²) გავიდეს ხელშეკრულებიდან³ (გერმ: - „Rücktritt“⁴), მოშალოს⁵ იგი (გერმ: - „Kündigung“⁶

¹ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.05.2017)

² ქართულ-გერმანულ-ქართული ინტერნეტ იურიდიული ლექსიკონი. ხელმისაწვდომია <http://gil.ge/gergeo.php> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.05.2017)

³ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge სსკ. მუხლები 352-359

⁴ ქართულ-გერმანულ-ქართული ინტერნეტ იურიდიული ლექსიკონი. ხელმისაწვდომია <http://gil.ge/gergeo.php>

⁵ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge (სსკ-ში მითითებულია როგორც „ხელშეკრულების შეწყვეტა“)

⁶ ქართულ-გერმანულ-ქართული ინტერნეტ იურიდიული ლექსიკონი. ხელმისაწვდომია <http://gil.ge/gergeo.php>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში-გსკ) 314 მუხლი⁷) ან მიუსადაგოს ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს.⁸ (გერმ: - „Anpassung“⁹). „ხელშეკრულებაც ადამიანის ორგანიზმით უნდა შეეგუოს ახალ გარემოებებს და თუ ეს შეუძლებელია, სწორედ მაშინ უნდა ითქვას მასზე უარი“.¹⁰ როგორც საქართველოს ისე გერმანიის კანონმდებლობა მხარეებს ავალდებულებს პირველ რიგში ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს მიუსადაგონ და მხოლოდ ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მიმართონ ხელშეკრულების დასრულების ინსტიტუტს.¹¹ ეს უკანასკნელი ნორმა გსკ-ის 313-ე მუხლის¹² („გარიგების საფუძვლის დარღვევა“ - „Störung der Geschäftsgrundlage“¹³) რეცეფციის შედეგია. ეს სამივე ინსტიტუტი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მათი წინაპირობების, თანმდევნი პროცედურებისა და სამართლებრივი შედეგების მიხედვით.

ხელშეკრულება ისეთი შეთანხმებაა, რომელიც მისი მონაწილეთათვის იწვევს განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას ან დასრულებას (ხელშეკრულებიდან გასვლას, ანდა ხელშეკრულების მოშლას). ხელშეკრულებიდან გასვლა ხელშეკრულების დასრულების ერთ-ერთი სახეა, მეორე, ეს ხელშეკრულების მოშლაა. ქართულ კანონმდებლობაში ამ ორი ინსტიტუტის გამიჯვნის საკითხი სამართლებრივი პრობლემაა.

გარეგნულად ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ორივე შემთხვევაში წყდება სახელშეკრულებო

⁷ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.10.2016)

⁸ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge - სსკ. მუხლი 398

⁹ ქართულ-გერმანულ-ქართული ინტერნეტ იურიდიული ლექსიკონი. ხელმისაწვდომია <http://gil.ge/gergeo.php>

¹⁰ ციტირებულია, ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005. გვ. 303

¹¹ იხ: Markesinis B., Unberath H., Johnston A. The German Law of Contract. A Comparative Treatise, Second ed. Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, pp. 591-593. ხელმისაწვდომია www.Twirpx.com. (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -15.10.2016)

¹² BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de

¹³ ქართულ-გერმანულ-ქართული ინტერნეტ იურიდიული ლექსიკონი. ხელმისაწვდომია <http://gil.ge/gergeo.php>

ურთიერთობა, მაგრამ მათ შორის მაინც მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ხელშეკრულების მოშლა განსხვავებით ხელშეკრულებიდან გასვლისა, არ იწვევს მხარეების მიერ უკვე მიღებული სარგებელის დაბრუნებას. ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტისათვის არსებითი მახასიათებელი თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა რესტიტუციაა, რაც მოშლის შემთხვევაში როგორც წესი წარმოუდგენელია. თუმცა არსებობს გამონაკლისები და ხელშეკრულების მოშლამ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეიძლება ერთი მხარის მიერ მიღებული შესრულების დაბრუნება გამოიწვიოს. მაგალითად: სსკ-ის 661-ე მუხლის თანახმად, ტურისტს უფლება აქვს მოშალოს (შენწყვიტოს) ხელშეკრულება და მოითხოვოს შეთანხმებული ანაზღაურების დაბრუნება.¹⁴

ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტებისაგან განსხვავებული ინსტიტუტია ხელშეკრულების გაუქმება. მისი გამიჯვნა ამ ორი ინსტიტუტისაგან მეტად მნიშვნელოვანია. სსკ-ში¹⁵ ცნება „გაუქმებას“ კანონმდებელი სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ურთიერთობების მოწესრიგების ფარგლებში იყენებს.

სსკ-ში „გაუქმება“ გამოყენებულია შემდეგ მუხლებში:

- სსკ. მუხლი 529 „ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო“¹⁶ (გსკ. მუხლი 350¹⁷);
- სსკ. მუხლი 756 „ჯილდოს საჯარო დაპირების გაუქმება“¹⁸ (გსკ. მუხლი 658¹⁹);
- სსკ. მუხლი 862 „ანგარიშის მფლობელის დავალების გაუქმება“;²⁰
- სსკ. მუხლი 907 „კონტოკორენტის გაუქმება“;²¹

¹⁴ ცისკაძე მ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, თბ., 2001, გვ. 301-302

¹⁵ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge

¹⁶ იქვე, მუხლი 529

¹⁷BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 350

¹⁸ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 756

¹⁹BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 658

²⁰ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 862

- სსკ. მუხლი 961 „საზიარო უფლების გაუქმება“.²²

ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, არსებითად ჩუქების ხელშეკრულებიდან გასვლაა, რაზეც მეტყველებს ასეთ შემთხვევაში დასაჩუქრებულის ვალდებულება დააბრუნოს ნაჩუქარი ნივთი.²³ არსებითად იგივე წესი მოქმედებს ანგარიშის მფლობელის დავალების გაუქმებისას.²⁴ ამგვარად, აღნიშნულ შემთხვევებში „გაუქმება“ თავისი არსით გულისხმობს ჩუქების თუ დავალების ხელშეკრულებიდან გასვლას. თუ გადავხედავთ საქართველოს სასამართლო პრაქტიკას ვნახავთ, რომ აქ არსებობს არამართებული მსჯელობები ხელშეკრულების გაუქმების ინსტიტუტთან მიმართებაში. პრობლემა გამოიხატება მისი გაგების თვალსაზრისით, როგორც უბრალო მოქალაქეების ისე სამართალმცოდნეების მსჯელობაში. სასამართლო პრაქტიკაში ჩანს ამ ინსტიტუტის გაუმიჯნაობა ხელშეკრულებიდან გასვლას, ხელშეკრულების მოშლას და ხელშეკრულების ბათილობას შორის. იმ საქმეებში, სადაც დავა ეხება ხელშეკრულების გაუქმებას, სამართლის ადრესატისათვის ბუნდოვანია მათი სამართლებრივი მდგომარეობა, რამაც შეიძლება გვაფიქრებინოს სახელშეკრულებო სამართლის სირთულე მისი გაგების თვალსაზრისით. მაგალითად: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში (საქმე № ას-1001-1200-08²⁵) ვკითხულობთ კასატორის მსჯელობას: „... კანონმდებლობა ითვალისწინებს ხელშეკრულების ბათილად ცნობას სასამართლო წესით, და ეს იდენტურია რათქმაუნდა გაუქმებასთან“. რათქმაუნდა ხელშეკრულების ბათილობა და ხელშეკრულების გაუქმება არ არის იდენტური სამართლებრივი ინსტიტუტები. ხელშეკრულების ბათილობისას სადაოა ხელშეკრულების შინაარსი, რასაც გაუქმებისას

²¹ იქვე, მუხლი 907

²² იქვე, მუხლი 961

²³ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 529.2

²⁴ იქვე, მუხლი 862.2

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. საქმე № ას-1001-1200-08, თარიღი: 24.03.2009. ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.10.2016)

ადგილი არ აქვს. გაუქმება არის ხელშეკრულების მოშლის ან ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში (საქმე № ას-466-707-08²⁶) ნათქვამია: „სააპელაციო საჩივარშიც კასატორის მოთხოვნას წარმოადგენდა ხელშეკრულების გაუქმება და არა ხელშეკრულებიდან გასვლა“. რადგან გაუქმება ხელშეკრულებიდან გასვლის ან ხელშეკრულების მოშლის შედეგია, კასატორი შეიძლება მოითხოვდეს ხელშეკრულების გაუქმებას, კონკრეტულად კი ხელშეკრულებიდან გასვლას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების (საქმე № ას-1083-1321-05²⁷) აღწერილობით ნაწილში ვკითხულობთ: „ი. დ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ბ-იანის მიმართ სესხის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. ... ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წ. 11 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. დ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ი. დ-ისა და მ. ბ-ის შორის დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება პროცენტისა და იპოთეკის ნაწილში“. თუ კასატორი ითხოვს ხელშეკრულების გაუქმებას, არ შეიძლება სასამართლომ იმსჯელოს იმ საკითხზე (აქ საუბარია ხელშეკრულების ბათილობაზე), რასაც კასატორი სარჩელში არ ითხოვს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად “სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა“.²⁸ აქაც ერთმანეთთან გაიგივებულია ხელშეკრულების ბათილობა და ხელშეკრულების გაუქმება, რაც ვფიქრობთ სასამართლო პრაქტიკის დიდი შეცდომაა.

²⁶ იქვე, საქმე № ას-466-707-08, თარიღი: 25.11.2008

<http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx>

²⁷ იქვე, საქმე № ას-1083-1321-05, თარიღი: 20.07.2006

<http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx>

²⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge. (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 09.04.2017).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე № ას-308-290-2014)²⁹ დავის საგანია ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურება კი გულისხმობს თანხის ნაწილის გაქვითვას (ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა) და ნაწილის დაბრუნებას. ამ საქმეში დავის საგანი რეალურად ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლაა.

ამ რამოდენიმე გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ სასამართლო პრაქტიკაში ხელშეკრულების ბათილობა და ხელშეკრულების გაუქმება ერთმანეთთანაა გაიგივებული და ხელშეკრულებიდან გასვლის სინონიმად კი ხელშეკრულების გაუქმებაა გამოყენებული.

2017 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხელშეკრულების მოშლის შესახებ შემოვიდა სულ 30 საქმე, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნით 40 საქმე.

ხელშეკრულების მოშლის შესახებ 30 საქმიდან:

შენცდა (დასრულდა მორიგებით) - 4 საქმე,

წარმოებაში მიღებაზე უარია ნათქვამი - 21 საქმეზე,

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 2 საქმე,

დაკმაყოფილდა (დაუსწრებელი გადაწყვეტილებით) - 2 საქმე,

არ დაკმაყოფილდა -1 საქმე.

ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ 40 საქმიდან:

წარმოებაში მიღებაზე უარია ნათქვამი - 35 საქმეზე,

შენცდა (დასრულდა მორიგებით) - 1 საქმე,

დაკმაყოფილდა - 4 საქმე,

2018 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში, (2018 წლის მაისის მდგომარეობით) ხელშეკრულების მოშლის შესახებ შემოვიდა სულ 18 საქმე, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნით 29 საქმე.

²⁹საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. საქმე № ას-308-290-2014, თარიღი: 24/07/2014. ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.10.2016)

ხელშეკრულების მოშლის შესახებ 18 საქმიდან:

წარმოებაში მიღებაზე (სხვადასხვა საფუძვლებით) უარია ნათქვამი - 14 საქმეზე,

ამჟამად მიღების ეტაპზეა - 4 საქმე.

ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ 29 საქმიდან:

წარმოებაში მიღებაზე უარია ნათქვამი - 19 საქმეზე,

დატოვებულია განუხილველად - 3 საქმე,

დაკმაყოფილდა - 1 საქმე,

არ დაკმაყოფილდა - 1 საქმე,

მიღების ეტაპზეა - 5 საქმე.

1.1. ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება

ხელშეკრულებიდან გასვლა არის „ცალმხრივი მიღება სავალდებულო ნების გამოვლენით ვალდებულებითი ურთიერთობის უკუქცევა“³⁰ (მეორეული მოთხოვნის უფლებით³¹), ხელშეკრულებიდან გასვლა აღმჭურველი უფლებაა, რომელიც გამოიყენება როგორც უკიდურესი ზომა (ultima ratio).

საქართველოს სააპელაციო სასამართლო განმარტავს თუ რა არის აღმჭურველი უფლება: „განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას მხარეს აქვს შესაძლებლობა, მიაღწიოს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს – დაასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში გადაიყვანოს იგი. პირველადი მოთხოვნის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი³² მოთხოვნის უფლების აღმოცენების სამართლებრივი საფუძველია“.³³

³⁰ ციტირებულია: კროპჰოლერი ი., (მთარგმნელები: თ. დარჯანია (§241-§675 ბ), ზ. ჭეჭელაშვილი (§1-§240, §675გ-§1296) გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი. მიუნჰენი, Verlag C. H. Beck. 2011, გვ. 242

³¹ პირველად მოთხოვნას მიეკუთვნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა

³² სსკ-ში დამკვიდრებულია ტერმინი „მეორადი“ (მაგ. მეორადი მოთხოვნა, მეორადი უფლება) რაც სტილისტურად არასწორია, სწორედ ამიტომ ჩვენ გამოვიყენებთ სიტყვას

ხელშეკრულებიდან გასვლა ცალმხრივი ნების გამოვლენა³⁴ ე.ი. ერთი პირის ნების გამოვლენა საკმარისია ხელშეკრულებიდან გასვლისათვის. ხელშეკრულებიდან გამსვლელ ხელშეკრულების მხარეს შეუძლია დამოუკიდებლად სხვა პირის თანხმობის გარეშე გავიდეს ხელშეკრულებიდან. ხელშეკრულებიდან გასვლა გულისხმობს სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის უფლებას. გასვლის შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება აღარ ექვემდებარება განხორციელებას და ვალდებულება წყდება, ხოლო განხორციელებული ექვემდებარება დაბრუნებას: ნატურით ან ფულით.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ხანდაზმულობასთან დაკავშირებით არ არის ერთიანი მოსაზრება. ერთნი თვლიან, რომ მასზე არ ვრცელდება ვადა და გარკვეული წინაპირობებისა და საფუძვლების არსებობისას შეიძლება მივმართოთ ნებისმიერ დროს, თუ მხარეები ხელშეკრულებით სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ.³⁵ სხვა მოსაზრებით კი ხელშეკრულებიდან გასვლა ექვემდებარება ხანდაზმულობას და მასზე სსკ-ის 128.3-ე მუხლით გათვალისწინებული საერთო ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადა ვრცელდება.

სსკ-ში ერთი და იგივე სამართლებრივი ინსტიტუტის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინები “ხელშეკრულებიდან გასვლა“ და „ხელშეკრულებაზე უარი“. სსკ-ის სრულყოფის მიზნით, კანონმდებელს ტერმინოლოგიის დაზუსტებისა და უნიფიკაციის სახით რეკომენდაციას ვთავაზობთ. კერძოდ, კანონის ადვილად გაგებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სსკ-მა ორი

მეორეული (მაგ. მეორეული მოთხოვნა, მეორეული ვალდებულებები), გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც არ ვახდენთ ციტირებას სსკ-ის მუხლიდან

³³საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. საქმე № ას-292-573-04, თარიღი: 22.07.2004. ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx> მითითებულია: შენგელია ვ., დასახელებული ნაშრომში. ხელმისაწვდომია www.iuristebi.ge

³⁴ თოდუა მ. // ვალდებულებითი სამართალი, სტატია - ხელშეკრულებიდან გასვლა (მოშლა) და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბ., 2006. ხელმისაწვდომია www.gyla.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 09.04.2017)

³⁵ შენგელია ვ. ინტერნეტ სტატია - ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება და დახასიათება. ხელმისაწვდომია www.iuristebi.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 09.04.2016)

სინონიმური ტერმინიდან „ხელშეკრულებიდან გასვლა“ და „ხელშეკრულებაზე უარი“ – ერთ-ერთზე უარი თქვას. კერძოდ მიზანშეწინიად მიგვაჩნია ცნების - „ხელშეკრულებიდან გასვლის“ - დატოვება, და უარი უნდა ვთქვათ ტერმინზე „ხელშეკრულებაზე უარი“, ვინაიდან ხელშეკრულებაზე უარის ინსტიტუტი უფრო ფართო ცნებაა და იგი თავის თავში მოიცავს, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლას, ისე ხელშეკრულების მოშლას. მაგალითად სსკ-ის 405 მუხლი. აქ ნახსენები „ხელშეკრულებაზე უარი“ გულისხმობს როგორც ხელშეკრულებიდან გასვლას ისე ხელშეკრულების მოშლას, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით ამ მუხლის სხვაგვარ ინტერპრეტაციას. ასე მაგალითად: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში (საქმე № ას-1692-1676-2011³⁶) ვკითხულობთ: „სააპელაციო პალატამ განმარტა: სსკ-ის 405-ე მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის (ხელშეკრულების მოშლის) პირობებსა და წესს.“

გსკ-ში წიგნი მეორე - ვალდებულებითი სამართალი, განყოფილება 3, ტიტული 5, ქვეტიტული 1-ის სათაურად მითითებულია „ხელშეკრულებიდან გასვლა“ (გერმ: - Rücktritt³⁷), ხოლო აღნიშნული კოდექსის ქართულ ვერსიაში მითითებულია „ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარის თქმა)“. ვფიქრობთ, მუხლის ასეთი ფორმულირება, ფრჩხილებში დამატებით „ხელშეკრულებაზე უარის თქმის“ მითითება ზედმეტია, რადგან სამართლის ადრესატის მიერ ეს შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც სიტყვა „Rücktritt“-ის ორ ვერსიად თარგმნა.

სსკ-ში „ხელშეკრულებიდან გასვლის“ თავში (სსკ. წიგნი მესამე-ვალდებულებითი სამართალი, კარი პირველი – სახელშეკრულებო სამართალი, თავი მეხუთე – ხელშეკრულებიდან გასვლა, მუხლები 352-359³⁸) პირველივე

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. საქმე № ას-533-501-2010, თარიღი: 12.07.2010. ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.10.2016)

³⁷BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de

³⁸ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლები: 352-359

მუხლის სათაურია „ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები“, ეს თავი პირდაპირ იწყება ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგების მონესრიგებით და არ იძლევა ხელშეკრულებიდან გასვლის დეფინიციას. ხელშეკრულებიდან გასვლას ეძღვნება სსკ-ის 352-359 მუხლები³⁹. მათი შინაარსიდან გამომდინარე ვეცდებით ჩამოვაყალიბო ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება.

ხელშეკრულებიდან გასვლა არის სამართლის ინსტიტუტი/სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც გულისხმობს პირ(ებ)ის უფლებას – (გერმ: - „Gestaltungsrecht“⁴⁰ და არა მოთხოვნის უფლებას, გერმ: - „Anspruch“⁴¹) – მოკლევადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობისას, მაშინ როდესაც შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება შეუძლებელია, გარკვეული წინაპირობების არსებობისას ცალმხრივი ნების გამოვლენით მეორე მხარისთვის ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე შეტყობინებით მოახდინოს სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა. ხელშეკრულებიდან (ქმედიტად) გასვლის შედეგია ახალი სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება (გერმ: - „Rückgewährschuldverhältnis“⁴²), რომლის საფუძველზეც მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდება, მხარეებს უჩნდებათ შესაბამისი მოთხოვნის უფლებები და ვალდებულებები მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგია ორმხრივი რესტიტუცია.⁴³

ინგლისური სამართლის მიხედვით ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება აღარ ექვემდებარება განხორციელებას და ვალდებულება წყდება, ხოლო განხორციელებული ექვემდებარება დაბრუნებას (ორმხრივი რესტიტუციის

³⁹ იქვე, მუხლები: 352-359

⁴⁰ ქართულ-გერმანულ-ქართული ინტერნეტ იურიდიული ლექსიკონი. ხელმისაწვდომია <http://gil.ge/gergeo.php>

⁴¹ იქვე

⁴² ქართულ-გერმანულ-ქართული ინტერნეტ იურიდიული ლექსიკონი. ხელმისაწვდომია <http://gil.ge/gergeo.php>

⁴³ Geoffrey S. Law of Obligations and Legal Remedies. London. Cavendish Publishing Limited. Second edition. 2001. pp. 337

წესი).⁴⁴ ხელშეკრულებიდან გასვლა ყოველთვის ნეგატიურია თავისი გაგებით, ვინაიდან იგი ხორციელდება ერთი მხარის ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგად. ხელშეკრულებიდან გასვლა ტიპურად გამოიყენება ისეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებთან რომელიც არ ითვალისწინებს მრავალ, პერიოდულად განსახორციელებელი შესრულების ვალდებულებას. თუმცა არსებობს გამონაკლისები, მაგალითად: ნასყიდობის ხელშეკრულებისას, რომელიც ითვალისწინებს გაყიდული საქონლის ნაწილ-ნაწილ, დროის განსაზღვრულ შუალედში მიწოდებას, მართალია ამ დროს წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებები და არის გრძელვადიანი თავისი შინაარსით მაგრამ მიუხედავად ამისა, მხოლოდ მომავალში მისაწოდებელ საქონელთან მიმართებაში მათზე სსკ-ის 486-ე მუხლის თანახმად მოქმედებს გასვლის უფლება.⁴⁵

ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია ისეთ მოკლევადიან ხელშეკრულებებში, როგორებიცაა ნასყიდობა, გირავნობა, ნარდობა, ამ ხელშეკრულებებში ერთი მხარე გამყიდველი, მოგირავნე, მონარდე პასუხს აგებს ნივთობრივად და უფლებრივად ნაკლული ნივთის მიწოდებისათვის და მიწოდების პირობების დარღვევისათვის. არსებობს გამონაკლისები, როდესაც შესაძლებელი ხდება გრძელვადიანი ვალდებულებიდან გასვლა, რომელიც დასაშვებია ვალდებულების დარღვევის გარეშე პატივსადები საფუძვლის არსებობის შემთხვევაში⁴⁶ (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი ინსტიტუტების განცალკევება ერთმანეთისაგან მოკლევადიან და გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობათა დასრულების შედეგების განსხვავებითაა განპირობებული. ფრანგულ და ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში კი ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის

⁴⁴ Burrows A. Understanding the Law of Obligations. Essays on Contract, Tort and Restitution. Hart Publishing, Oxford, 1998. pp. 46-47

⁴⁵ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ. წიგი IV. ნაწილი I. დასახელებული ნაშრომი, გვ. 30-31

⁴⁶ თოდუა მ. და ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი. თბ., 2006, გვ. 56

გამიჯვნის საკითხი დგინდება იმისდა მიხედვით ერთიანია თუ გაყოფადი ვალდებულება.⁴⁷

1.2. ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება

სსკ-ში ერთი და იგივე სამართლებრივი ინსტიტუტის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინები “ხელშეკრულების მოშლა“ და „ხელშეკრულების შეწყვეტა“. გსკ-ში გამოყენებული ტერმინი „Kündigung“ შეესაბამება სსკ-ს 399-ე მუხლით გათვალისწინებულ დისპოზიციას რომელიც გულისხმობს სწორედ ხელშეკრულების მოშლას⁴⁸. აქაც კანონის ადვილად გაგებისათვის მიზანშეწინად მიგვაჩნია ცნების - „ხელშეკრულების მოშლის“ - დატოვება და უარი უნდა ვთქვათ ტერმინზე „ხელშეკრულების შეწყვეტა“, ვინაიდან შეწყვეტის ინსტიტუტი წარმატებით გამოყენებულია ვალდებულებით სამართალში ვალდებულების შეწყვეტის აღსანიშნავად.⁴⁹

სსკ-ის 399-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, მხარემ შეიძლება განაცხადოს შეწყვეტის შესახებ გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე, რაც იწვევს ხელშეკრულების „მოშლას“. ⁵⁰ ასეთი შეწყვეტის შედეგი კი, პრინციპში ისაა, რომ აქამდე განხორციელებული შესრულება ძალაში რჩება. ამგვარად, ამ შემთხვევაში არ წარმოიშვება ახალი სამართლებრივი ურთიერთობა, უბრალოდ მთავრდება ძველი სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობა. „ხელშეკრულების მოშლა“ ასევე მოხსენიებულია სსკ-ის 557-ე, 558-ე მუხლებში⁵¹ და ასევე გულისხმობს მხარ(ებ)ის შესაძლებლობას დაამთავრონ არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა ისე, რომ არ წარმოიშვას შესრულების და მიღებული სარგებლის უკან დაბრუნების ვალდებულება.

⁴⁷ ფიფია ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მონესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, // ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ., 2008, გვ. 120

⁴⁸ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 399

⁴⁹ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge სსკ. კარი მე-6 „ვალდებულების შეწყვეტა“

⁵⁰ იქვე, მუხლი: 399.

⁵¹ იქვე, მუხლები: 557-558

სსკ. აგრეთვე არ იძლევა „ხელშეკრულების მოშლის“ დეფინიციას. ამ ინსტიტუტის ცნება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს. ხელშეკრულების მოშლა არის სამართლის ინსტიტუტი/სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც გულისხმობს პირ(ებ)ის უფლებას გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობისას, მაშინ როდესაც შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება შეუძლებელია, პატივსადები საფუძვლების არსებობისას ცალმხრივი ნების გამოვლენით (ან შეთანხმებით) მოახდინოს სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა. სსკ-ის 399-ე მუხლი (სათაური: „უარი გრძელვადიან ურთიერთობაზე“⁵²) ახსენებს ცნებას „ხელშეკრულების მოშლა“. ეს ნორმა ანესრიგებს ე.წ. „გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებს“, ისეთ ვალდებულებით ურთიერთობებს რომელთა მოქმედების განმავლობაში, პერიოდულად წარმოიშობა შესრულების ახალი ვალდებულებები.

ამგვარად, გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლის შედეგად, აქამდე განხორციელებული შესრულება ძალაში რჩება და არ წარმოიშობა ახალი სამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ მთავრდება ძველი სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობა. სსკ-ს 399-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოშლა არ იწვევს უკვე შესრულებულის უკან დაბრუნების ვალდებულების წარმოშობას.⁵³ ამ წესიდან გამონაკლისი დადგენილია სსკ-ის 399 მუხლის მე-4 ნაწილით („თუ უკვე შესრულებული აღარ წარმოადგენს უფლებამოსილი პირისათვის რაიმე ინტერესს ხელშეკრულების მოშლის შედეგად, მაშინ ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ამ შესრულებაზეც გავრცელდეს ...“).⁵⁴

ხელშეკრულების მოშლისას (ისევე როგორც გასვლისას) წყდება სახელშეკრულებო ურთიერთობა, სუბიექტური უფლებები და მოვალეობები, „სუბიექტური უფლება გულისხმობს უფლებამოსილი პირის შესაძლო ქცევის

⁵² იქვე, მუხლი: 399

⁵³ იქვე, მუხლი 399

⁵⁴ იქვე, მუხლი 399.4

სამართლებრივად უზრუნველყოფილ საშუალებას, ხოლო სუბიექტური ვალდებულება - ვალდებული პირის სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი ქცევაა კონკრეტული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში⁵⁵. ხელშეკრულების მოშლა ორიენტირებულია მომავალში შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებაში და მისი ფუნქციაა შესრულებაზე მომავალში უარის თქმა.⁵⁶

სსკ-ში კონკრეტულად ხელშეკრულების მოშლას ვალდებულებითი სამართლის არც ერთი თავი არ ეძღვნება. ამ ინსტიტუტს სხვადასხვა თავში რამდენიმე მუხლი აქვს დათმობილი. სსკ-ის ვალდებულების დარღვევის კარის, ზოგადი დებულებების თავში, მუხლი 399 „უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე“⁵⁷ (სსკ-ისაგან განსხვავებით გსკ-ში მოშლის მარეგულირებელი ძირითადი ნორმები განაწილებულია ორ მუხლში - 313-ე და 314-ე მუხლები⁵⁸) რომელიც 5 ნაწილისაგან შედგება,⁵⁹ აწესრიგებს ხელშეკრულების მოშლის წინაპირობებს, მისი განხორციელების გზებსა და შედეგებს.

ხელშეკრულების მოშლა მხოლოდ გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება. გრძელვადიანი ისეთი სახელშეკრულებო ურთიერთობაა, რომელიც ერთჯერადი შესრულებით არ შემოიფარგლება და მხარეები მრავალჯერადად განსახორციელებელ შესრულებებს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ითვალისწინებენ. გერმანულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში ასეთ ხელშეკრულებებს

⁵⁵ ციტირებულია: თოდუა მ. // ვალდებულებითი სამართალი, დასახელებული ნაშრომი (სტატია)

⁵⁶ მაჭარაძე მ., სამაგისტრო ნაშრომი, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), // ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა, თბ., 2008. გვ 147-148

⁵⁷ აქ ტერმინოლოგიური აღრევაა. ტერმინი „უარი“უნდა შეიცვალოს ტერმინი „მოშლით“. ეს მუხლი გსკ-ის 314-ე მუხლის ანალოგიაა, რომლის სათაურიც არის „Kündigung von Dauerschuldverhältnissen aus wichtigem Grund“ სიტყვა „Kündigung“ კი ითარგმნება როგორც „მოშლა“

⁵⁸ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 313-314

⁵⁹ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 399.5

განგრძობადი ხელშეკრულებები ეწოდება,⁶⁰ ვინაიდან ეს სახელშეკრულებო ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობებია, რომლებიც შესრულების ერთიანი აქტით არ ამოიწურება და შესრულების განმეორებად აქტებს საჭიროებენ.⁶¹ გრძელვადიანი ხელშეკრულებები დროის განსაზღვრულ პერიოდზეა განწესებული.

ხელშეკრულების მოშლა ხორციელდება ისეთ გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში, როგორებიცაა ქირავნობის ხელშეკრულება, იჯარა, ფრენშიაზინგი, სადაზღვეო ხელშეკრულება, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, ერთობლივი საქმიანობა-ამხანაგობა, კრედიტი, შენახვა და ა.შ.

ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის შესწავლისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ 2003 წლის - ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (შემდგომში-PECL.),⁶² რომელიც თანამედროვე კერძო სამართალში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია და ევროპაში სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად აქტიურად გამოიყენება. იგი დიდ როლს თამაშობს ევროპის სასამართლოს პრაქტიკაში და ექსპერტების აზრით საერთო საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბების კუთხით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.⁶³

PECL. რიგ საკითხებს, ქართული სამართლისაგან განსხვავებულად აწესრიგებს. PECL-ში მე-9 თავის სათაურია - სამართლებრივი დაცვის სპეციალური საშუალებები ვალდებულების დარღვევისას, ამ თავში მე-3 ნაწილი ეხება ხელშეკრულების მოშლას (სულ 9 მუხლი), შესაბამისად PECL-ში გვხვდება ტერმინი Termination of the Contract - ხელშეკრულების მოშლა.

⁶⁰ Markesinis B, Unberath H, Johnston A. დასახელებული ნაშრომი, pp. 436-437

⁶¹ გოგუა ქ. სადისერტაციო ნაშრომი, ხელშეკრულებიდან გასვლის შედარებით სამართლებრივი დახასიათება, სტუ. თბ., 2012, გვ. 104-111

⁶²იხ: The Principles Of European Contract Law 2002. ხელმისაწვდომია <http://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/>

⁶³იხ: Lando O. Beale H. Principles of European Contract Law, Parts I and II, Hague-London-Boston. 2000

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მიერ 2014 წელს გამოცემული PECL-ის ქართული ვერსია⁶⁴ გვთავაზობს ტერმინი „Termination“-ის (Termination - მოშლა) ორ ვერსიას: შეწყვეტა და გასვლა, რაც ვფიქრობთ სამართლის ადრესატისათვის ძალიან დამაბნეველია. ტერმინი „Termination“ ნიშნავს მოშლას და მუხლებში 9:302, 9:305 და 9:507-ში სადაც გამოყენებულია ხელშეკრულებიდან გასვლა უნდა იყოს ხელშეკრულების მოშლა. ასე მაგალითად:

1) PECL. მუხლი 9:305 (ძვ. 4.305) - ხელშეკრულების მოშლის) ზოგადი შედეგები

(1) „ხელშეკრულებიდან გასვლა (აქ მოყვანილია ტერმინი “termination” რაც ნიშნავს, რომ გასვლის ნაცვლად უნდა იყოს მოშლა) ათავისუფლებს ორივე მხარეს ვალდებულების სამომავლო შესრულებისაგან, მაგრამ PECL-ის 9.306 – 9:308 მუხლების თანახმად, გავლენას არ ახდენს უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც მხარეებმა ხელშეკრულების მოშლით მოიპოვეს“.⁶⁵

აქ უდაოდ საუბარია ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტზე ვინაიდან მხოლოდ გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლა ათავისუფლებს მხარეებს მომავალი ვალდებულებებისაგან. ამასთან, იგი არ ეხება იმ შესრულებას, რომელიც ხელშეკრულების მოშლამდე მოხდა. ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი (PECL. 9:306-9:308). გამონაკლისი ეხება - რესტიტუციის ვალდებულებას და იმ შესრულების უკან დაბრუნებას, რომელსაც არ მოჰყვა შემხვედრი შესრულება.⁶⁶

2) PECL. მუხლი 9:507 (ძვ. 4.506) - მიმდინარე ფასი

„თუ დაზარალებული მხარე ხელშეკრულებიდან გავიდა (იგივე: – უნდა იყოს მოშლა) და სანაცვლო ხელშეკრულება არ დაუდია, მაგრამ სახეგა მიმდინარე ფასი შესრულებისათვის, რომელზეც ხელშეკრულება დაიდო,

⁶⁴იხ: ბგეკალავა ე. ჭალიძე თ. ცერცვაძე ა. გეგენავა დ. [ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები](http://www.library.court.ge). თბ., 2014. ხელმისაწვდომია www.library.court.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 07.04.2016)

⁶⁵ ბგეკალავა ე. ჭალიძე თ. ცერცვაძე ა. გეგენავა დ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 60

⁶⁶Lando O. Beale H. დასახელებული ნაშრომი, გვ. 41

შესაძლებელია მან აინაზღაუროს ძველ და ახალ ფასს შორის განსხვავება, რაც ხელშეკრულებიდან გასვლისას (იგივე: _ უნდა იყოს მოშლა) არსებობდა, ასევე, ზიანი ნებისმიერი სხვა დანაკლისისათვის, რაც ამ თავით ანაზღაურებადია“.

PECL. ხელშეკრულების მოშლის უფლებას ანიჭებს პირს თუ: 1. მეორე მხარემ მნიშვნელოვნად დაარღვია ვალდებულება; 2. მეორე მხარე აგვიანებს შესრულებას და ეს არ იწვევს ხელშეკრულების არსებით დარღვევას, დაზარალებულმა მხარემ მეორე მხარეს შეუძლია ხელშეკრულება შეუწყვიტოს შეტყობინებით განსაზღვრული დამატებითი გონივრული ვადის ამოწურვისას (PECL. მუხლი 8:106.3 (ძვ. 3.106)); 3. თუ ვალდებულების შესრულების დროის დადგომამდე ნათელია, რომ ვალდებულება დაირღვევა (PECL. მუხლი 9:304 (ძვ. 4.304)). მოშლისათვის აუცილებელი პირობაა მსგავსად სსკ-ისა შეტყობინების გაგზავნა. პატივსადები საფუძვლის არსებობისას, შეტყობინების გარეშე, პატივსადები საფუძვლის წარმოქმნისთანავე ხელშეკრულება ავტომატურად მოშლილად მიიჩნევა (PECL. მუხლი 9:303 (ძვ. 4.303)).⁶⁷

PECL-ს მიხედვით, ხელშეკრულების მოშლისას აუცილებელია შეტყობინება მეორე მხარეს მიუვიდეს, ხელშეკრულებიდან გასვლისას აღნიშნულ წინაპირობას სსკ-ც ითვალისწინებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ PECL-ს 9:303 (4) მუხლის მიხედვით თუ ხელშეკრულების მოშლა პატივსადები საფუძველია, მეორე მხარისთვის შეტყობინება საჭირო არ არის და ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება.⁶⁸

PECL. არეგულირებს ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ქონების ბედს, ხელშეკრულების მოშლის შემდეგ მხარეს შეუძლია უარი თქვას მიღებულ ქონებაზე თუ მისი ღერებულება მისთვის არსებითად შემცირებულია ვალდებულების დარღვევის გამო (PECL. მუხლი 9:306 (ძვ. 4.306)).⁶⁹

⁶⁷ბეკალავა ე. ჭალიძე თ. ცერცვაძე ა. გეგენავა დ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 61

⁶⁸Lando O. Beale H. დასახელებული ნაშრომი, გვ. 41

⁶⁹იქვე გვ. 41

PECL. აგრეთვე ითვალისწინებს გადახდილი თანხის დაბრუნებას. თუ მხარე ვერ მიიღებს გადახდილი თანხის საფასურ შესრულებას (ან მართებულად უარს აცხადებს მის მიღებაზე) მას შეუძლია უკან მოითხოვოს ეს თანხა (PECL. მუხლი 9:307 (ძვ. 4.307)).

PECL-ის თანახმად ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია გამოითხოვოს ქონება, რომელიც მან მიანოდა მეორე მხარეს, თუ სანაცვლოდ თანხა ან საპასუხო შესრულება არ მიუღია (PECL. მუხლი 9:308 (ძვ. 4.308)).

თუ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელია, მხარეს უფლება ენიჭება, მეორე მხარისაგან შესრულების გონივრული ღირებულება მოითხოვოს (PECL. მუხლი 9:309 (ძვ. 4.309)).

ევროპის ქვეყნები და ევროპის სახელმძღვანელო პრინციპები აღიარებენ, რომ უვადო ხელშეკრულების შემთხვევაში ცალმხრივად ხელშეკრულების მოშლა ნებადართულია (PECL. მუხლი 6:109 (ძვ. 2.109)). სამართლებრივი ნორმების დაცვა ხდება გაფრთხილების შესახებ შეტყობინებით (PECL. მუხლი 8:106 (ძვ. 3.106)). გსკ-ში უვადო ხელშეკრულების დროს თითოეული მხარე, როგორც ეს საფრანგეთის კანონშია, ცალმხრივად ასრულებს სახელშეკრულებო ურთიერთობას, ხელშეკრულების მოშლა ჩვეულებრივ ქმედებად კვალიფიცირდება. არ არის საჭირო ხელშეკრულების მოშლა დასაბუთებული იყოს მაგრამ, უნდა მოხდეს შეტყობინების ვადების დაცვა ისე როგორც ეს კანონმდებლობითაა გათვალისწინებული ან ხელშეკრულებითაა განსაზღვრული. იქ სადაც მოქმედებს პრეცედენტული სამართალი, მაგალითად საფრანგეთში, სწორედ პრეცედენტული სამართალი ერევა და გაფრთხილების თუ შეტყობინების გონივრულ ვადას განსაზღვრავს.

თუ გადავხედავთ საქართველოს სასამართლო პრაქტიკას ვნახავთ, რომ აქაც ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ტერმინები ერთმანეთშია აღრეულია. ასე მაგალითად: საქართველოს უზენაესი

სასამართლოს გადაწყვეტილებაში (საქმე № ას-533-501-2010⁷⁰) ვკითხულობთ „კ. მ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ბ-შვილის მიმართ, მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, მხარეთა შორის 2007 წლის 12 აპრილს გაფორმებული სამისდღემიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტისა და მოსარჩელის კუთვნილი ქ.თბილისში, ...¹²⁴ კორპუსში მდებარე¹⁵ საცხოვრებელი ბინის დაბრუნების მოთხოვნით.“ ამ დავის საგანი რეალურად ხელშეკრულებიდან გასვლაა და არა ხელშეკრულების შეწყვეტა (მოშლა), რადგან მოსარჩელე მოითხოვს მიღებული სარგებლის უკან დაბრუნებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში (საქმე № ას-1383-1219-2010⁷¹) ნათქვამია „ზ. ს-ოვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. მ-შვილის მიმართ სამისდღემიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: მხარეებს შორის 2008 წლის 18 იანვარს დაიდო სამისდღემიო რჩენის ხელშეკრულება. ვინაიდან მოპასუხე არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს მხარეთა ურთიერთობები დაიძაბა“. აქაც ამ დავის საგანი რეალურად ხელშეკრულებიდან გასვლაა და არა ხელშეკრულების შეწყვეტა (მოშლა), რადგან მოსარჩელე ითხოვს მიღებული სარგებლის უკან დაბრუნებას. პრივატიზაციის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით სასამართლო იყენებს ხელშეკრულების გაუქმებას, რაც, როგორც ზემოთ ვიმსჯელებთ, ხელშეკრულებიდან გასვლას ნიშნავს (შემდგომი ვალდებულებისაგან გათავისუფლება).

⁷⁰საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. საქმე № ას-1383-1219-2010, თარიღი: 28/02/2011. ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.04.2017)

⁷¹იქვე, საქმე № ას-1383-1219-2010, თარიღი: 28/02/2011. ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.04.2017)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე № ას-308-290-2014⁷²) დავის საგანია ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურება კი გულისხმობს თანხის ნაწილის გაქვითვას (ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა) და ნაწილის დაბრუნებას. ეს შემთხვევა რეალურად ხელშეკრულებიდან გასვლაა.

თავი 2. ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი

2.1. ვალდებულების დარღვევა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა

ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადამოსული მოთხოვნის შეუსრულებლობა⁷³ ან ისეთი აშკარა ვარაუდის არსებობა, რომელიც კრედიტორს აფიქრებინებს, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლები⁷⁴ (ამ საკითხთან მიმართებით ინგლისურ და გერმანულ სამართალს ერთი და იგივე მიდგომა აქვს). თუმცა ის თუ რა კრიტერიუმით განისაზღვრება აშკარა ვარაუდის საფუძვლები, კანონი სრულ დისკრეციულ უფლებას ანიჭებს მხარეს გადაწყვიტოს კონკრეტული შემთხვევის დროს, კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე რაც უდაოდ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ვალდებულების შინაარსზე. ინგლისური სამართლის მიხედვით მოსალოდნელი დარღვევისას ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია თუ მოვალე თავისი ქცევით ან გან-

⁷² იქვე, საქმე № ას-308-290-2014, თარიღი: 24/07/2014. ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.04.2017)

⁷³ შემდგომში გამოყენებული იქნება როგორც ვალდებულების დარღვევა ან ხელშეკრულების შეუსრულებლობა. „ხელშეკრულება“ და „ვალდებულება“ ერთმანეთისაგან განსხვავდება. ხელშეკრულება იურიდიული ფაქტია, რომელიც იწვევს ვალდებულების წარმოშობას, ვალდებულება კი სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც წარმოიშობა არა მხოლოდ ხელშეკრულებიდან, არამედ სხვა საფუძვლებიდანაც. ტერმინი „ხელშეკრულება“ ყოველთვის ერთი და იმავე მნიშვნელობით არ გამოიყენება. გარდა იმისა, რომ ასე ეწოდება მხარეთა შეთანხმებას, ზოგჯერ ხელშეკრულებაში გულისხმობენ თვით იმ ვალდებულებას, რომელიც ასეთი ხელშეკრულებიდან წარმოიშობა, ზოგჯერ კი ის ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ვალდებულების წარმოშობას მისი მონაწილეობით. (იხ: ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999, გვ. 10-11)

⁷⁴ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 405.4

ცხადებით უარს ამბობს ან შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას.⁷⁵ გერმანული სამართლის მიხედვით ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლა შესაძლებელია თუ მოპასუხე ვალდებულების უარყოფით არღვევს ხელშეკრულებას.⁷⁶ ფრანგულ სამოქალაქო სამართალში კი მოსალოდნელი დარღვევის ცნება საერთოდ არ არსებობს და ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია მხოლოდ შესრულების ვადის დადგომის შემდეგ.⁷⁷

არსებობს გამონაკლისი როდესაც მყიდველი ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლებას კარგავს, ესაა ის შემთხვევა, როდესაც მან იცოდა ნივთის ნაკლის შესახებ ხელშეკრულების დადების დროს, ან თუკი მყიდველი მენარმეა და ნაკლის აღმოჩენიდან გონივრულ ვადაში არ წარადგინა მოვალესთან თავისი პრეტენზია.⁷⁸ წინააღმდეგ შემთხვევაში მენარმე კარგავს, ნივთის ნაკლის გამო, მეორადი მოთხოვნის უფლების განხორციელების შესაძლებლობას.⁷⁹ ნივთის შემონმების და ნაკლის შესახებ პრეტენზიის შესაბამის ვადაში და შესაბამისი ფორმით განხორციელების შესახებ მტკიცების ტვირთი ეკისრება მყიდველს. თუ ნაკლი ლატენტურია და მისი გამოვლენა მოხდა მოგვიანებით მყიდველმა უნდა ამტკიცოს რომ სახიფეა დაფარული ნაკლი, რომლის აღმოჩენა გულისხმიერი შემონმების შედეგადაც შეუძლებელი იყო.⁸⁰

ასევეა ინგლისურ სამართალში. მაგ. შუმპტერ ვ. ჰედგესის, საქმეში სადაც მშენებელმა იკისრა ვალდებულება, რომ შეასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს კონკრეტულ საფასურად. დამკვეთმა, თავის მხრივ, საფასურის გადახდა დაუკავშირა მშენებლის მიერ სამუშაოს სრულად გან-

⁷⁵ გოგუა ქ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 61

⁷⁶ იქვე, გვ. 62

⁷⁷ Hugh Beale, Hein Kötz, Arthur Hartkamp, Denis Tallon (Gen. ed.), Casebooks on the Common Law of Europe, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 780-781. მითითებულია გოგუა ქ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 62

⁷⁸ ფიფია ა., დასახელებული ნაშრომი, გვ. 99. იხ: აგრეთვე სსკ. მუხლი 495.1

⁷⁹ <http://www.gccc.ge> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. ინტერნეტ ვერსია. მუხლი 451. I ველი

⁸⁰ იქვე, 36-ე ველი

ხორციელებას. აქ სახეზეა დროის განსაზღვრულ პერიოდზე განაწილებული, მაგრამ ერთჯერადი და თანაც, გაუყოფადი ვალდებულება. მშენებელმა დაარღვია ნაკისრი ვალდებულება, განახორციელა რა მშენებლობა სანახევროდ, მყიდველმა კი მიმართა ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად მოთხოვნის უფლებას და მთლიანი გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება მოითხოვა. სასამართლომ მშენებელს არ დაუკმაყოფილა მოთხოვნა შესრულებული სამუშაოს ფულადი რესტიტუციის სახით ანაზღაურების შესახებ, სწორედ სახელშეკრულებო ვალდებულების სპეციფიკის გათვალისწინებით.⁸¹

XIX საუკუნეში, ინგლისში სასამართლომ განმარტა ხელშეკრულების სავალდებულოობა: „თუ ვალდებულებას ან უფლებას კანონი წარმოშობს და პირს არ შეუძლია მისი შესრულება, კანონი აპატიებს მას ...მაგრამ, როდესაც პირი ხელშეკრულებით კისრულობს ვალდებულებას, მან უნდა შეასრულოს ის ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად“.⁸²

სსკ-ის ვალდებულებითი სამართლის, მესამე კარი არეგულირებს ვალდებულებათა დარღვევის (გერმ: – „pflichtverletzung“⁸³) პირობებსა და შედეგებს.⁸⁴ სსკ-ის 361.2 მუხლის თანახმად „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად დათქმულ დროსა და ადგილას“.⁸⁵ სსკ-ის 8.3 მუხლის თანახმად "სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი",⁸⁶ (გერმ: - მუხლი 242 – „nach Treu und

⁸¹ იქვე, გვ. 120

⁸² ტაბატაძე დ. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, // ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, თბ., 2013. გვ. 31

⁸³ ქართულ-გერმანულ-ქართული ინტერნეტ იურიდიული ლექსიკონი. ხელმისაწვდომია <http://gil.ge/gergeo.php>

⁸⁴ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 361.2

⁸⁵ შენგელია რ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, გვ. 364

⁸⁶ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 8.3

Glauben”⁸⁷). ესაა ზოგადი დათქმა მხარეთა ვალდებულებების შესახებ, თუ ეს დათქმა ირღვევა, ერთი მხარე არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, მეორე მხარეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან.⁸⁸

ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველია მხოლოდ ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო ვალდებულების დარღვევა. თუ ვალდებულება ჯერ კიდევ არ არის შესასრულებელი, მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი და შესაბამისად უფლება არ აქვს.⁸⁹

ვალდებულების დარღვევა კონკრეტულად გულისხმობს ვალდებულების ვადის გადაცილებით შესრულებას,⁹⁰ ვალდებულების შეუსრულებლობას ან ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებას. ხელშეკრულებიდან გასვლისას აუცილებელია ადგილი ჰქონდეს ამ პირობათაგან ერთ-ერთს.

სსკ. აწესრიგებს: არსებით და უმნიშვნელო დარღვევას.⁹¹ არსებით დარღვევაზეა საუბარი „ვენის კონვენციაში სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“⁹² რომლის 60.1 მუხლის თანახმად: არსებითი დარღვევა არის ორმხრივი ხელშეკრულების მოქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტის ან შეჩერების საფუძველი.

არსებითია დარღვევა, თუკი ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელია, ან იკარგება მომავალში მისი შესრულების იმედი, ანდა, როდესაც კრედიტორი მთლიანად ვალდებულების მიმართ დაკარგავს ინტერესს.⁹³ არსებითია თუ უმნიშვნელო დარღვევა განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რისი მოთხოვნისა და მოლოდინის უფლება ჰქონდა მხარეს ხელშეკრულების დადების დროს და რა მიიღო მან

⁸⁷ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 242

⁸⁸ ჭამტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, გვ. 231

⁸⁹ ძლიერიშვილი ზ. ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. თბ., 2011, გვ. 141

⁹⁰ ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანი ეს მოქმედებით მიყენებული ზიანია

⁹¹ იხ: სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 405.3.ა

⁹² ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ. 1969. ხელმისაწვდომია <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi78.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.09.2017)

⁹³ იხ: თოდუა მ., // ვალდებულებითი სამართალი, დასახელებული ნაშრომი (სტატია).

რეალურად, რა მიზანს ისახავდა მხარე ხელშეკრულების გაფორმებისას და რისი მოლოდინის უფლებას აძლევდა მას კანონი და ხელშეკრულების პირობები.⁹⁴ არსებითია თუ არა დარღვევა, ეს უნდა გადაწყდეს ყოველი კონკრეტული ფაქტის შეფასებისას.⁹⁵ შეფასება კი უნდა მოხდეს საქმის გარემოებიდან გამომდინარე. უმნიშვნელოა დარღვევა, როცა ნივთის ნაკლის გამოსწორება შეიძლება უმნიშვნელო ზომების მიღების შედეგად, და ისეთი ნაკლის შემთხვევაში, რომელიც კრედიტორს არ აფიქრებინებს, რომ შესრულება მისთვის ინტერესმოკლებულია.⁹⁶

არსებით დარღვევას განმარტავს გაეროს 1980 წლის „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ კონვენციის⁹⁷ 25-ე მუხლი: რომელიც არსებით დარღვევას უკავშირებს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც ერთი მხარე მნიშვნელოვანწილად კარგავს იმას, რისი იმედიც ხელშეკრულების საფუძველზე სამართლიანად უნდა ჰქონოდა იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ვერ ითვალისწინებდა ასეთ შედეგს და გონიერი პიროვნება მის ადგილზე ანალოგიურ ვითარებაში ვერ გაითვალისწინებდა ამას.⁹⁸

UNIDIT-ის პრინციპების 7.3.1. (2გ) და (დ) მუხლის მიხედვით არსებით პირობად მიიჩნევა ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების დარღვევას განზრახი ხასიათი აქვს, ან უხეში შეუსაბამობით მოხდა, ანდა მეორე მხარეს საბაზს აძლევს ეჭვი შეიტანოს თავისი პარტნიორის სანდობაში. PECL-ის 8.103(გ) მუხლის თანახმად არსებითია დარღვევა „თუ მკაცრი

⁹⁴ გოგუა ე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 24

⁹⁵ ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III, დასახელებული ნაშრომი, გვ. 441

⁹⁶ მაჭარაძე მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 130

⁹⁷ კონვენცია საქართველოსთვის ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის 03.02.1994 წლის დადგენილებით

⁹⁸ თუმანიშვილი გ., შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, ნაწილი 2, თბ., 2010, გვ. 170

შესატყვისობაა შეუსრულებელ ვალდებულებასთან⁹⁹. მაგალითად: დარღვევა დაზარალებულ მხარეს ხელშეკრულებით მინიჭებულ მოსალოდნელ უფლებას სრულიად უკარგავს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეორე მხარემ არ გაითვალისწინა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა ეს შედეგი, ან; ვალდებულების დარღვევა განზრახია და დაზარალებულ მხარეს აძლევს საშუალებას ივარაუდოს, რომ ვალდებულების დარღვევა მომავალშიც გაგრძელდება.

გსკ-ის მიხედვით არსებითია ყველა დარღვევა, რომელიც დამატებით ვადაში არ შესრულდა. საერთო სამართლის მიხედვით ვადა არსებითი პირობაა თუ არა, განისაზღვრება კონკრეტულ ხელშეკრულებაში კონკრეტული გარემოებების მიხედვით, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში კომერციულ გარიგებებში ვადას განიხილავენ არსებით პირობად. თუ ხელშეკრულებაში ვადა განსაზღვრული არ არის ერთ-ერთი მხარე ადგენს მას მეორე მხარისთვის სასამართლო წესით. თუ სასამართლოს აზრით ეს თარიღი გონივრულია, ამ თარიღის ვადის გადაცილება იქნება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი.

ხელშეკრულების დარღვევის ტიპებს განიხილავს ბრიტანელი იურისტი გარი კრისტალი თავის სტატიაში: „ხელშეკრულების დარღვევა“ – „Breach of Contract“. იგი ხელშეკრულების დარღვევას ყოფს შემდეგ ძირითად სახეებად: უმნიშვნელო, არსებითი, ფუნდამენტური და გამათრახილებელი. უმნიშვნელო დარღვევის მაგალითი შეიძლება იყოს მშენებელი, რომელმაც ხელშეკრულებაში დაკონკრეტებული მასალა შეცვალა სხვა მსგავსი მასალით, რომელიც ისევე წარმატებით ასრულებს დანიშნულებას როგორც ხელშეკრულებაში აღნიშნული მასალა. არსებითი დარღვევაა ისეთი ქმედება, რომელმაც გამოიწვია სერიოზული უარყოფითი შედეგის დადგომა. ფუნდამენტური დარღვევა კი შეიძლება იმდენად სერიოზული იყოს, რომ

⁹⁹კოტცი ჰ., ცვაიგერტი კ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტ 2, თბ., 2000, გვ. 206

გამოიწვიოს ხელშეკრულების ავტომატური გაუქმება. გამაფრთხილებელი დარღვევა ისეთი დარღვევაა, როდესაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს, რომ ვერ ახერხებს შეთანხმებული პირობების შესრულებას.¹⁰⁰

გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ე.წ. „ხელშეკრულების პოზიტიური დარღვევა“. ხელშეკრულების პოზიტიურ დარღვევას ადგილი აქვს მაშინ თუ ერთმა მხარემ ხელშეკრულებაში მითითებული ვადის გასვლამდე, წინასწარ აცნობა კრედიტორს, რომ არ აპირებს ხელშეკრულების შესრულებას. მეორე მხარეს შეუძლია ხელშეკრულების ვადის გასვლამდე გამოიყენოს თავისი მოთხოვნის უფლება ზიანის ანაზღაურებასა და ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ დამატებითი ვადის დაწესების გარეშე (გსკ. მუხლი 326).¹⁰¹

ხელშეკრულების პოზიტიურ დარღვევას აქვს ადგილი დამატებითი ვალდებულებების დარღვევისას ან იმდაგვარი მოქმედების შესრულებისას, რომელიც ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული. ეს შემთხვევები პოზიტიურ დარღვევად მოიაზრება რადგან ამდაგვარი შეუსაბამო შესრულებები არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს არც ვადის გადაცილებად და არც შესრულების შეუძლებლობად.

ამერიკელი და ინგლისელი იურისტები აღიარებენ ცნების: „არსებითი პირობა“ („condition“) – ფორმალიზმს, ხელშეკრულების მუხლების არსებითობის და არა არსებითობის რეალურად განსაზღვრის სირთულეს. აშშ-ში სახელშეკრულებო სამართლის 1981 წლის მეორე გადამუშავებულ პრინციპებში,¹⁰² კანონმდებლმა შემოიტანა ტერმინი „მთლიანობაში ხელშეკრულების დარღვევა“ („total breach“). რაც გულისხმობს, რომ ერთი მხარის მიერ მთლიანობაში ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში,

¹⁰⁰ იხ: www.contractsandagreements.co.uk/breach-of-contract (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 01.04.2016)

¹⁰¹ კოტცი ჰ., ცვაიგერტი კ., ტ. 2, დასახელებული ნაშრომი, გვ. 184

¹⁰² Restatement (second) of Contracts)

http://www.lexinter.net/LOTWVers4/restatement_%28second%29_of_contracts.htm

მეორე მხარეს უფლება აქვს უარი თქვას თავის ამ მომენტისათვის ჯერ კიდევ შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

ვალდებულების დარღვევისას, ხელშეკრულებიდან გასვლის კანონის-მიერ წინაპირობას არეგულირებს სსკ-ის 359 მუხლი.¹⁰³ მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას მოჰყვება მისი ყველა უფლების დაკარგვა. აღნიშნული მუხლის თანახმად მხარეების მიერ ასეთის შეთანხმების შემთხვევაში ნაკისრ ვალდებულების შეუსრულებლობისას კრედიტორი არჩევანის მიხედვით: ან აგრძელებს ხელშეკრულებას და მოვალე კარგავს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა უფლებას ან გადის ხელშეკრულებიდან და მოვალეს უნარჩუნდება უფლება, მიიღოს ის რაც მან ვალდებულების შესასრულებლად გადასცა მეორე მხარეს. მაგალითად: სადაზღვეო ხელშეკრულების დადებისას გარკვეული ვადის გასვლამდე თუ მეორე მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების საგნის გაფუჭების შესახებ იგი კარგავს მისი უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებას. ეს ნორმა გამოიყენება მხოლოდ შეთანხმების დროს რასაც ადგენს კონკრეტული შემთხვევისას სასამართლო განმარტებით.¹⁰⁴

სსკ-ის 358-ე მუხლის თანახმად ვალდებულების შეუსრულებლობას არ აქვს ადგილი და ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია თუ მოვალეს შეუძლია გაქვითვის გზით შეასრულოს ვალდებულება. ეს ნორმა გულისხმობს, რომ მოვალეს ყოველთვის აქვს საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლება, რომელმაც შეიძლება გაქვითოს კრედიტორის მოთხოვნა. გაქვითვის მოთხოვნის მიუხედავად თუ კრედიტორი მაინც განაცხადებს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნას, მოვალეს უფლება აქვს დაუყოვნებლივ

¹⁰³ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 359

¹⁰⁴ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. დასახელებული ნაშრომი, გვ. 263

განაცხადოს გაქვითვის შესახებ, რაც იწვევს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის (შეტყობინების) ბათილობას.¹⁰⁵

ამერიკის სასამართლო პრაქტიკაში დადგენილია, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ძირითადი ელემენტებია: 1. მოქმედი ხელშეკრულების არსებობა; 2. მეორე მხარის მიერ თავისი ვალდებულების შესრულება; 3. მხარის მიერ თავისი ვალდებულების შეუსრულებლობა; 4. ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილი ზიანი.¹⁰⁶

ფლორიდის შტატის სასამართლო პრაქტიკა ადგენს ვალდებულების შეუსრულებლობის შემდეგ ძირითად ელემენტებს:

1. მოქმედი ხელშეკრულება, რაც გულისხმობს ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურებას, რაც მარტივი არ არის ზეპირი გარიგებისას;

2. არსებითი შეუსრულებლობა. მხარემ უნდა დაამტკიცოს რომ მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა არსებითია და არა წვრილმანი. შეუსრულებლობად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არაარსებითი შეუსრულებლობა;

3. ზიანი. იმისათვის რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშვას დადასტურებულ უნდა იქნეს რომ აღნიშნული ზიანი დადგა სწორედ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

ზოგიერთი მოსამართლე სავალდებულოდ მიიჩნევს მე-4 ელემენტს – გაფრთხილებას. ვალდებულება შეუსრულებლობად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი გაფრთხილების მიუხედავად მხარე არ ასრულებს ვალდებულებას.¹⁰⁷

კანონით გათვალისწინებული პირობების გარდა, ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ თვითონაც განსაზღვრონ ხელშეკრულებიდან გასვლის სახელშეკრულებო პირობები (საფუძვლები). პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია: – მყიდველის მიერ ნივთის ფასის დათქმულ

¹⁰⁵ ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. დასახელებული ნაშრომი, გვ. 261

¹⁰⁶ გოგუა ე. დასახელებული ნაშრომიდან. გვ. 27

¹⁰⁷ იქვე, გვ. 27

დროზე გადაუხდელობა, საქონლის მიწოდების ვადების დარღვევა, ნაყიდი ნივთის დროზე წაუღებლობა და ა.შ. ყველა ეს პირობა დაკავშირებულია მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობასთან.¹⁰⁸

არ არის გამორიცხული, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მოვალესაც ჰქონდეს. ასეთი შემთხვევები იშვიათია და მისი ყველაზე გავრცელებული მაგალითია დაუძლეველი ძალა, ე.წ. force-majeure, როდესაც მოვალეს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებიდან გასვლა არ დაუკავშირონ რაიმე კონკრეტულ პირობებს და მისი განხორციელება თავიანთ ნებაზე დამოკიდებული გახადონ. ეს ხდება მაშინ, როდესაც ხელშეკრულების განხორციელებისას არ მართლდება ერთ-ერთი მხარის მოლოდინი. აუცილებელია, რომ მხარეები წინასწარ შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის პირობებზე.¹⁰⁹

ხელშეკრულებიდან გასვლის პირობებზე მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ხელშეკრულების დადების შემდეგაც, ოღონდ ამ შემთხვევაში აუცილებელია იმ მესამე პირთა უფლებების უზრუნველყოფა, რომელთა მდგომარეობაც შეიძლება შეილახოს ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ პირობებზე შეთანხმებისათვის კანონი რაიმე სპეციალურ ფორმას არ ითვალისწინებს. იმ ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხზეც, რომლის ნამდვილობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმა, მხარეები შეიძლება ზეპირად შეთანხმდნენ, ოღონდ გასვლა უნდა გაფორმდეს იგივე წესით, რაც დადგენილია ამ ხელშეკრულებისათვის.¹¹⁰

¹⁰⁸ ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. დასახელებული ნაშრომი, გვ. 240

¹⁰⁹ იქვე, გვ. 246

¹¹⁰ იქვე, გვ. 247

2.2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა,¹¹¹ როგორც ხელშეკრულების დარღვევის ერთ-ერთი სახე

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა განსხვავებული სამართლებრივი წინაპირობებით ფუნქციონირებს, რომელიც თანამდევ შედეგად შესრულების ვალდებულებისადმი გათავისუფლებას მოიპოვებს.¹¹² ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში კრედიტორი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. ამ დროს ხელშეკრულების შესრულება ჩვეულებრივ შესაძლებელი იყო, მაგრამ დადების შემდეგ გამოვლინდა ე.წ. გაუთვალისწინებელი გარემოებები. კრედიტორი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას ავტომატურად თავისუფლდება თავისი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან და უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. შესრულების შეუძლებლობა არ არის თუ მაგალითად: შესაძლებელია გვაროვნული, ფუნქციურად იდენტური ნივთის მიწოდება.¹¹³

მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა "გამართლებულია" თუ მოვალისათვის წინასწარ არ იყო გასათვალისწინებელი ის დამაბრკოლებელი გარემოებები, ან ვერ აიცილებდა თავიდან იმ მიზეზებს, რამაც განაპირობა შესრულების შეუძლებლობა. სსკ-ის 407-ე მუხლის თანახმად, კრედიტორი ვერ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას: თუ ზარალი მოვალის ბრალით არ ყოფილა გამოწვეული.¹¹⁴ მოთხოვნის შემთხვევაში, ზარალის არსებობისას, ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ვალდებულების, დარღვევის შესაძლო (და არა ძირითადი)

¹¹¹ ვალდებულების შეუძლებლობისას ვალდებულების არარსებობას ეძღვნება გსკ-ის მუხლი 306; შვეიცარიის კანონი ვალდებულებითი სამართლის შესახებ მუხლი 20; ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი მუხლი 878

¹¹² Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, European Review of Private Law, Vol. 15, No. 4, 2007, 483. მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, // სამართლის უერთნალი N2, თბ., 2011, გვ. 134

¹¹³ მაჭარაძე მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 132

¹¹⁴ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 407

სამართლებრივი შედეგი შეიძლება იყოს.¹¹⁵

შესრულების შეუძლებლობის არსებობს შემდეგი ფორმები: ა) ობიექტური შეუძლებლობა (შესრულება არავის შეუძლია, შესრულება შეუძლებელია „ნებისმიერი პირისათვის“, გერმ: _ anfangliche Unmöglichkeit) და სუბიექტური შეუძლებლობა (ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელია კონკრეტული მონაწილის მიერ, რომელსაც ევალება მისი შესრულება. (შესრულება შეუძლებელია „მოვალისათვის“ უუნარობის გამო, გერმ: _ “anfangliches Unvermogenes”) ბ) დასაწყისშივე შესრულების შეუძლებლობა (საწყისი შეუძლებლობა) და მოგვიანებით შესრულების შეუძლებლობა (შემდგომი შეუძლებლობა); გ) ნაწილობრივი შეუძლებლობა და სრული შეუძლებლობა; დ) დროებითი (გარდამავალი) შეუძლებლობა და მუდმივი (გარდაუვალი) შეუძლებლობა; ე) ბრალეული შეუძლებლობა და არა ბრალეული შეუძლებლობა; ვ) პრაქტიკული შეუძლებლობა და ეკონომიკური შეუძლებლობა. შეუძლებლობაზე საუბრისას მთავარია გავითვალისწინოთ, რომ შეუძლებლობა უნდა იყოს ნამდვილი.¹¹⁶

ობიექტური შეუძლებლობა შეიძლება იყოს იურიდიული და ბუნებრივი. იურიდიული შეუძლებლობის მაგალითია სახელმწიფოს მხრიდან ისეთი აქტის გამოცემა, რაც კრძალავს რაიმე მოქმედების შესრულებას, ე.ი. შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას. ბუნებრივი შეუძლებლობის მაგალითია შესრულების საგნის განადგურება. სუბიექტური შეუძლებლობა შეიძლება იყოს ფაქტობრივი და პრაქტიკული. ფაქტობრივი შეუძლებლობა დაკავშირებულია მოვალის პიროვნებასთან, მის ფიზიკურ, ფინანსურ, ინტელექტუალურ, ემოციურ, მორალურ თუ სხვა უუნარობასთან. მაგალითად ხელოსანმა ხელშეკრულების დადების შემდეგ დაკარგა ხელი რაც

¹¹⁵ ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი ჰ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009. გვ. 31

¹¹⁶ იხ: თოდუა მ. და ვილემსი ჰ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 151

შეუძლებელს ხდის მის ფიზიკურ მუშაობას და შესაბამისად მის მიერ ვალდებულების შესრულებას.¹¹⁷

პრაქტიკული შეუძლებლობის მაგალითია: თუ ხელოსანი პირველი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მეორე ხუთჯერ უფრო მაღალ ანაზღაურებად ხელშეკრულებას გააფორმებს სხვასთან და ამით მისთვის ინტერესს კარგავს პირველი ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში ხელოსანი განაცხადებს, რომ პირველი ხელშეკრულების მიმართ დაკარგული აქვს ინტერესი, თუმცა შესრულება ფაქტობრივად შესაძლებელია და ამიტომაც დამატებითი ვადის დანესება მიზანშეწონილია.

როდესაც საუბარია ვალდებულების პრაქტიკულ ან ეკონომიკურ შეუძლებლობაზე, მხედველობაში მიიღება თუ რამდენად შეიძლება შეესაბამებოდეს კრედიტორის ინტერესს ის ღონისძიება, რაც გაკეთდა შესრულებისათვის. პრაქტიკული შეუძლებლობის მაგალითია, როცა გაყიდული ნივთი მყიდველისათვის გადაცემამდე, დაუძლეველი ძალის¹¹⁸ გამო ისე დაზიანდა, რომ მისი შეკეთება გაცილებით მეტ თანხებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ამ ნივთის შექენაში იქნა გადახდილი, ამიტომ მყიდველი გამყიდველს ვერ მოსთხოვს ვალდებულების შესრულებას. ეკონომიკური შეუძლებლობის მაგალითია: თუ შექენილია ავტომობილი უცხოურ ვალუტაში და ავტომობილის გადაცემამდე მოხდა ინფლაცია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა კი აშკარა შეუსაბამოა არსებულ კურსთან, ამ შემთხვევაში მოვალეს არ მოეთხოვება შესრულება, რადგან პირობები არსებითად შეიცვალა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. „შესრულების მოთხოვნა გამოირიცხება იქ სადაც შესრულებამ მოვალისათვის არაგონივ-

¹¹⁷ მაჭარაძე მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 133

¹¹⁸ დაუძლეველი ძალა – განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში, აუცილებელი (გადაუღალავი) გარემოებაა. დაუძლეველი ძალისა და შემთხვევითობის ურთიერთმიმართება ასეთია: თუ შემთხვევითობა სუბიექტური გადაუღალავობაა, დაუძლეველი ძალა ობიექტური გადაუღალავობაა. (ციტირებულია: თოდუა მ. და ვილემსი ჰ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 52)

რული ზომების ან ხარჯების განწევა შეიძლება გამოიწვიოს“.¹¹⁹ ასეთ დროს შეიძლება მოთხოვნილ იქნეს გამყიდველის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლა ან შეცვლილ პირობებთან მისადაგება, რაც გულისხმობს გადაისინჯოს ხელშეკრულების შინაარსი და შესრულების ხასიათი. ეკონომიკური შეუძლებლობის ცნება გერმანულ სამართალში შესრულების გართულების ცნებაში მოიაზრება.¹²⁰

რომაული სამართლის თანახმად „ხელშეკრულება ყოველთვის და ყველა გარემოებაში ბათილია, თუ გამოვლინდა, რომ დადების მომენტისთანავე მისი შესრულება ობიექტურად შეუძლებელი იყო (impossiblum nulla obligatio)“.¹²¹

გსკ-ში ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას არეგულირებს მუხლი 275, რომლის სათაურიც შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „ვალდებულების შესრულების გამორიცხვა“. ციტირება: „შესრულების მოთხოვნის უფლება გამოირიცხება, თუ იგი მოვალისათვის ან ნებისმიერი პირისათვის შეუძლებელია“. ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს შეუსაბამო ხარჯების გამო. ნორმა ათავისუფლებს მოვალეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებში. გერმანული სამართლის თანახმად, ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როდესაც დაბრკოლება მხარის კონტროლის მიღმაა.¹²²

გაეროს კონვენციაში „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“¹²³ მხოლოდ ერთი ნორმაა, მუხლი 79, რომელიც ათავისუფლებს მხარეს ვალდებულებებისაგან¹²⁴ თუ დაამტკიცებს, რომ იგი

¹¹⁹ ციტირებულია: კოტცი შ., ცვაიგერტი კ. ტ. I, დასახელებული ნაშრომი, გვ. 150

¹²⁰ იხ: ჩიტაშვილი ნ., მითითებული ნაშრომი, გვ. 135

¹²¹ ციტირებულია: კოტცი შ., ცვაიგერტი კ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 178

¹²² ჩიტაშვილი ნ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 134

¹²³ [Sale of Goods \(of England\) 1979. ხელმისაწვდომია www.Legislation.gov.uk](http://www.Legislation.gov.uk) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 03.03.2017)

¹²⁴ იხ: Schwenzer I. Kee C. Hachem P. Global Sales and Contract Law. Oxford. 2012. გვ. 1450. ხელმისაწვდომია <http://www.twirpx.com> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 09.03.2017)

გამონწვეული იყო მისი კონტროლის გარეშე არსებული წინააღმდეგობით და იგი: 1. ვერ მიიღებდა მხედველობაში მოცემულ წინააღმდეგობის არსებობას ხელშეკრულების დადების მომენტში, 2. ვერ აიცილებდა თავიდან მას ან 3. ვერ გადალახავდა მოცემულ წინააღმდეგობას ან მის შედეგებს.

გერმანული სამართალი აწესრიგებს „თავდაპირველ შეუძლებლობას“ და „შემდგომ დამდგარ შეუძლებლობას“ („nachträglicher (tatsächlicher) Unmöglichkeit“¹²⁵). თავდაპირველი შეუძლებლობის მაგალითია, როდესაც ხელშეკრულების დადების დროს მხარეებმა არ იციან ხელშეკრულების საგნის ნაკლის შესახებ. შემდგომ დამდგარი შეუძლებლობა კი ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოვალე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან მოგვიანებით წარმოშობილი დაბრკოლებების გამო. ამის მაგალითია: მუსიკალური დარბაზის ქირავნობის ხელშეკრულების დადება და კონცერტის ჩატარებამდე ხანძრის გამო დარბაზის განადგურება.

გსკ-ის 275.I მუხლი ბრალეულობის თვალსაზრისით ათანაბრებს დასაწყისშივე და მოგვიანებით შეუძლებლობის შემთხვევებს, ორივე შემთხვევა გამორიცხავს მოვალის მხრიდან ბრალეულობის მომენტს. შესრულების შეუძლებლობისას კრედიტორი განსხვავებულ ვითარებაშია, მაშინ, როცა შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია და იმ შემთხვევაში, როცა კრედიტორის მიერ მოვალისაგან შესრულების მოლოდინი არაგონივრულია საქმის გარემოებების გათვალისწინებით. გსკ-ის 275.2 მუხლის მიხედვით, მოვალე უფლებამოსილია უარი თქვას შესრულებაზე, თუ ეს შესრულება მოითხოვს კრედიტორის ინტერესებისათვის აშკარად შეუსაბამო ზომების მიღებას ვალდებულების შინაარსისა და კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნათა გათვალისწინებით.¹²⁶

გსკ-ის 307 მუხლი ითვალისწინებს პირის პასუხისმგებლობას, როდესაც ხელშეკრულების მონაწილე ერთმა მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მისი

¹²⁵ ქართულ-გერმანულ-ქართული ინტერნეტ იურიდიული ლექსიკონი. ხელმისაწვდომია <http://gil.ge/gergeo.php>

¹²⁶ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 275.2

შესრულების შეუძლებლობა.¹²⁷ ამ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე კეთილსინდისიერ მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების ნამდვილობისადმი რწმენით მიყენებული ზარალი.¹²⁸

ინგლისური სამართალი უფრო მკაცრად უდგება ამ საკითხს. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებს შეცდომის შედეგად წარმოქმნილად მიიჩნევს და მხარეთა „ორმხრივ შეცდომაზე“ დაფუძნებულ გარიგებებს უწოდებს. მაგალითად ინგლისის კანონის, საქონლის გაყიდვის შესახებ¹²⁹, მე-6 პუნქტი საუბრობს ნასყიდობის ხელშეკრულებაში იმგვარ შეცდომაზე, როდესაც ხელშეკრულების დადებამდე ნივთი განადგურდა თუმცა ამის შესახებ მხარეებმა არაფერი იცოდნენ. კანონი ამგვარ ხელშეკრულებებს ბათილად მიიჩნევს.

აშშ-ის ერთიან კომერციულ კოდექსში, მუხლი 2-613,¹³⁰ გამოკვეთილია მსგავსება შეცდომასა და ძირითად ვარაუდს, შეუძლებლობასა და მიზნის იმედგაცრუებას შორის.¹³¹

2.3. ხელშეკრულებიდან გასვლის გამოყენების წინაპირობები

2.3.1. დამატებითი ვადის დაწესება/გაფრთხილება

ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის წინაპირობაა დამატებითი ვადის განსაზღვრა, რაც ნამდვილია თუკი შეტყობინებულია მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა.

დამატებითი ვადის დაწესებას ეძღვნება სსკ-ის 405.2 მუხლი. პასუხისმგებლობა ყოველთვის ვერ იძლევა ვალდებულების შესრულების შედეგს. სსკ. შესრულებაზეა ორიენტირებული, მთავარი შესრულებაა და არა

¹²⁷ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 307

¹²⁸ იხ: Charman M. Contract Law. 4th edition. 2007. pp., 239. ხელმისაწვდომია twirpx.com (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 01.04.2017)

¹²⁹ Sale of Goods. Act 1979, www.Legislation.gov.uk

¹³⁰ Uniform Commercial Code (1952) www.law.cornell.edu/ucc (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 09.04.2017)

¹³¹ Markesinis B., Unberath H., Johnston A. დასახელებული ნაშრომი, გვ. 342

პასუხისმგებლობა.¹³² დამატებითი ვადის წინაპირობა არ არის აბსოლუტური, მისი განსაზღვრა არ ხდება როცა შესრულება შეუძლებელია და დამატებითი ვადის განსაზღვრა ფორმალურ ხასიათს ატარებს. დამატებითი ვადის დაწესება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იმედი არაა გადაწურული, რომ მხარე შესრულებას განახორციელებს და როდესაც შეიძლება ველოდოთ დამატებითი ვადის შედეგუნარიანობას.¹³³

შედარებით მარტივია ე.წ. „ვადიანი გარიგებები“ (გერმ: _ Fixgeschäft¹³⁴), როცა ხელშეკრულებაში პირდაპირ ან ირიბად მითითებულია მისი შესრულების ვადა („dies interpellat pro homine“ – „ადამიანის ნაცვლად აფრთხილებს დრო“).¹³⁵ მაგ. დაბადების დღის ტორტის შეკვეთა (ანალოგიურ საკითხს ითვალისწინებს გსკ-ის მუხლი 284.2¹³⁶, შვეიცარიის კანონი ვალდებულებითი სამართლის შესახებ - მუხლი 102.2¹³⁷). ამ შემთხვევაში დამატებითი ვადის დანიშვნა არ არის კრედიტორის ვალდებულება, რადგანაც დაწესებული დღე არ საჭიროებს შეხსენებას. ასეთ შემთხვევაში შეხსენება მხარის უფლებაა და არა მოვალეობა. ხელშეკრულების შესრულების ვადის ამოწურვასთან ერთად იწურება მხარეთა უფლება-მოვალეობის შესრულების ვადა. „ხელშეკრულების დასრულების ვადა სპობს უფლება-მოვალეობას, რადგან ამ ვადის ამოწურვასთან ერთად ილევა მხარეთა უფლება-მოვალეობის შესრულების ვადა“.¹³⁸ ამ მოსაზრებას ითვალისწინებს სსკ-ის 356-ე მუხლი, რომლის თანახმადაც გასვლის უფლება ქარწყლდება, თუ უარი ვადის გასვლამდე არ იქნა გაცხადებული.

¹³² ზარანდია თ. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები. (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი). თბ., 2002, გვ. 3

¹³³ ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი ჰ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 302

¹³⁴ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de

¹³⁵ Цвайгерт К. Кётц Х. Введение в сравнительное правоведение в сфере частного права. Том 2. М., 1998, ст., 227

¹³⁶ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de

¹³⁷ Federal Act on the Amendment of the Swiss Civil Code (1883, (Part Five: The Code of Obligations) ხელმისაწვდომია www.admin.ch/gov/de (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 03.03.2017)

¹³⁸ იხ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებანი. 06.06.2012 ხელმისაწვდომია www.supremecourt.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 01.04.2017)

სსკ-ის 365-ე მუხლის თანახმად იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ვალდებულების შესრულების კალენდარული ვადა შესრულება შეიძლება განხორციელდეს სურვილისამებრ, თუმცა კრედიტორის მიერ შესრულების მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულება უნდა შესრულდეს გონივრულ ვადაში. მხოლოდ ამის შემდეგაა კრედიტორი ვალდებული გააფრთხილოს მოვალე, შესრულების ვადის დადგომის შესახებ და მხოლოდ დამატებითი ვადის დაწესების ან გაფრთხილების შემდეგაა უფლებამოსილი, გავიდეს ხელშეკრულებიდან.¹³⁹

დამატებითი ვადის განსაზღვრა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობაა, ხოლო მისი უშედეგოდ ამონურვა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველია. დამატებითი ვადის დაწესებას პოზიტიური მნიშვნელობა აქვს, იგი მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად ან ნაკლის გამოსწორებისათვის მიცემული მეორე შანსია. „დამატებით ვადას მოვალის ინტერესების დაცვის ფუნქცია აქვს“.¹⁴⁰ მისი მიზანია სახელშეკრულებო ურთიერთობების შენარჩუნება, ხელშეკრულების მიზნების მიღწევა და ორმხრივი ინტერესების დაკმაყოფილება.¹⁴¹ გაფრთხილება, ვადის გადაცილების შესახებ, ასრულებს შესენების ფუნქციას, ამით კრედიტორი აფრთხილებს მოვალეს, რომ დაუყოვნებლივ შეასრულოს ვალდებულება.

ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილებისას¹⁴² კრედიტორი: ა) ან ნიშნავს დამატებით ვადას (აუცილებელ დროს, გონივრულ ვადას, შეღავათიან დროს), ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე თუ არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება, რის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კრედიტორი ვადის ხელშეკრულებიდან¹⁴³ ან ბ) არ ნიშნავს დამატებით ვადას:¹⁴⁴

¹³⁹ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge

¹⁴⁰ ციტირებულია: მაჭარაძე მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 136

¹⁴¹ გოგუა ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 32

¹⁴² ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არაა გამონეული. სსკ. მუხლი 401

¹⁴³ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 400

1. თუ აშკარაა, რომ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვება და ფორმალური ხასიათი აქვს (ეს წესი ვრცელდება შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებზეც);¹⁴⁵

2. თუ მოვალემ შესრულება არ განახორციელა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორს სწორედ დროული შესრულების მიმართ ჰქონდა ინტერესი (ამის ნათელი მაგალითია საქორწილო კაბის ან/და დაბადების დღის ტორტის შეკვეთა,¹⁴⁶ სსკ-ის 405.2. "ა"¹⁴⁷);

3. თუ განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე ან ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით ხელშეკრულების გაგრძელებას აზრი არ აქვს¹⁴⁸ და გამართლებულია ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივ გასვლა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამოცენა.

დამატებითი ვადა უნდა იყოს გონივრული, რათა მოვალეს მიეცეს რეალური შესაძლებლობა, შეასრულოს ვალდებულება. მოვალე უფლება-მოსილია განუსაზღვროს კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა.¹⁴⁹ ვადის გონივრულობის მოთხოვნა უნდა ემსახურობდეს ასევე კრედიტორის ინტერესებს, მით უმეტეს, როცა შესრულებისას ვადის დაცვას კრედიტორისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს. „გონივრული ვადა“ შეფასებითი კატეგორიაა. ყველა შემთხვევაში მისი ფარგლები მოიზარება შესრულების თავისებურებით. გონივრული ვადის ხანგრძლივობა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით. „კრედიტორი შებოჭილია დამატებითი ვადის გამოცენების ვალდებულებით. მისი თავისუფლება მხოლოდ ამ ვადის სიდიდის

¹⁴⁴ იქვე, მუხლი 394. 3

¹⁴⁵ იხ: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 507

¹⁴⁶ ჩაჩავა ს., სადისერტაციო ნაშრომი, მოთხოვნები და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თსუ. 2010, გვ. 43

¹⁴⁷ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 405.2.ა

¹⁴⁸ მაჭარაძე მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 128

¹⁴⁹ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 405.5

განსაზღვრაში შეიძლება მდგომარეობდეს, თუკი კანონით არაა განსაზღვრული“.¹⁵⁰ ეს გამონაკლისები ასახულია სსკ-ის 405.2 მუხლში.¹⁵¹

დამატებითი ვადის დაწესებას ითვალისწინებს ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 6:82 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც: მოვალე ვადის გადამცილებლად ითვლება და პასუხისმგებელია შეუსრულებლობაზე ფორმალური შეტყობინების შედეგად, როდესაც კრედიტორი აძლევს მას დამატებით გონივრულ ვადას შეასრულოს ვალდებულება და მიუხედავად ამისა ამ პერიოდში იგი მაინც ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.¹⁵²

ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში (შემდგომში-ფრსკ)¹⁵³ განსხვავებით სსკ-გან დამატებითი ვადის დაწესების უფლებას ანიჭებს სასამართლოს გადაწყვეტილებით.¹⁵⁴ ფრსკ-ის 1184.3 მუხლი ითვალისწინებს დამატებითი ვადის (შელავათიანი ვადა – *délai de grâce*) დაწესებას.¹⁵⁵ რა დროსაც გადაწყვეტილებას ემატება ფრაზა – შეუსრულებელი ხელშეკრულება ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ითვლება გაუქმებულად. თუ ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო გარკვეული რიცხვისათვის და სარჩელის შეტანის დროს ეს რიცხვი უკვე გასულია, შელავათიანი ვადა აღარ დაწესდება. იტალიის სამოქალაქო კოდექსში კი გათვალისწინებულია, რომ თუ მხარემ დაადგინა შელავათიანი ვადა, შეუძლია მიუთითოს, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების შეუსრულებლობისას ის ავტომატურად ითვლება გაუქმებულად.

¹⁵⁰ ციტირებულია: მაჭარაძე მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 136-137

¹⁵¹ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლები 405.2 და 394.3

¹⁵² ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 6:82.1: „The debtor is in default when he is held liable for his nonperformance by a letter of formal notice, in which the creditor grants him a reasonable period of time during which he still may perform in conformity with his obligation, and he nevertheless fails to accomplish the indebted performance within that period“

¹⁵³ იხ: Le Code civil français 1804 an. ხელმისაწვდომია www.legifrance.gouv.fr . Гражданское право Франции. (1804). ხელმისაწვდომია www.twirpx.com . Civil code (france). 1804. ხელმისაწვდომია www.lexinter.net (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 01.04.2017)

¹⁵⁴ Barry N. The French Law of contract, 2nd ed. Oxford, 2002

¹⁵⁵ Raymond Y. English, French & German Comparative Law. Routledge, 2014. pp. 744

ასეთ შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვა საჭირო არ არის.¹⁵⁶

2.3.2. შეტყობინება

ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტებს შორის ყველაზე მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, სამართლებრივი შედეგებია, თუ მხარეთა ან სასამართლოს მიერ არასწორად შეფასდება სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა და გამოყენებულ იქნება ის სამართლებრივი რეჟიმი რაც კონკრეტული ურთიერთობისათვის შეესაბამო იყო, მხარეები მოექცევიან არასათანადო პირობებში, რასაც წესით მათი სამართლებრივი მდგომარეობა არ ითვალისწინებდა. ამ მხრივ საინტერესოა სასამართლოს პრაქტიკა. ჩემ მიერ შესწავლილი პირველი ინსტანციის საქმეებიდან გამომდინარე ხშირია შემთხვევა როდესაც მხარე მიმართავს სასამართლოს მოპასუხის მიერ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო და ითხოვს ხელშეკრულების მოშლას, საქმის შესწავლისას კი აღმოჩნდება რომ ხელშეკრულების მოშლის გადაწყვეტილების შესახებ მეორე მხარისათვის ცნობილი საერთოდ არ ყოფილა. სარჩელის აღმძვრელ მხარეს ავიწყდება, რომ სსკ-ის 52-ე მუხლის მიხედვით, გარიგების მხარის მიერ მართლოდენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა არ ნიშნავს, რომ მან გამოხატა ხელშეკრულებიდან გასვლის ნება. ხელშეკრულებიდან გასვლის ძალით ხორციელდება არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის გაუქმება. თავისი სამართლებრივი ბუნებით იგი სავალდებულო ცალმხრივი გარიგებაა, ე.ი. მისი სამართლებრივი ძალისათვის საკმარისია ერთი პირის ნების გამოვლენა, თუმცა, ხელშეკრულების მოშლისათვის საჭიროა ხელშეკრულების მხარის გამოვლენილი ნება კონტრაქტს მიუვიდეს, მართალია სამოქალაქო სამართლისთვის პრობლემაა როცა ხდება ხელშეკრულების გასვლისა და მოშლის საკითხის აღრევა, ვინაიდან ერთ შემთხვევაში მხარე შეიძლება დაზარალდეს თუ

¹⁵⁶ კოტცი ჰ., ცვაიგერტი კ., ტ. II. დასახელებული ნაშრომი, გვ. 187

სასამართლო სწორად არ იმსჯელებს საკითხზე და მეორე შემთხვევაში სასამართლოს რესურსი იხარჯება ტყუილად როდესაც, მხარე ვერ ხვდება როგორ უნდა მოახდინოს უფლების დაცვა და რა პროცედურულ საკითხებს უნდა მისდიოს. ხშირ შემთხვევაში სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, ხელშეკრულების მოშლის შესახებ მხარე სასამართლოს ყველაზე ხშირად მიმართავს ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თუმცა ასევე იჯარის და სამისდღეშიო ხელშეკრულებების მოშლის შესახებაც. როგორც პრაქტიკული ანალიზიდან იკვეთება, ხელშეკრულების მოშლის შესახებ სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში ხშირად საქმის წარმოებაში მითითებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება გამოდის, რასაც განაპირობებს ერთ შემთხვევაში არასწორად ჩამოყალიბებული დავის საგანი, ხოლო მეორე შემთხვევაში ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეუტყობინებლობა.

ხელშეკრულებიდან გასვლის ფაქტის დასადგენად აუცილებელია დადგინდეს შეტყობინების გაგზავნის ფაქტი. ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინება ეს აღმჭურველი განცხადებაა. შეტყობინება ცალმხრივი გარჩევაა, რადგან იგი ითვალისწინებს სსკ-ის 51.1,2.-ე მუხლში განსაზღვრულ პირობებს 1) ერთი მხარის ნების გამოვლენა¹⁵⁷ და 2) ნების გამოვლენის მიღების სამართლებრივი შედეგის დადგომა, რომლისათვისაც საჭირო არ არის მეორე მხარის ნების გამოვლენა. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინების მიღების მომენტიდან სახეზეა ორი მხარე: ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილი პირი და შესრულების უკან დაბრუნების მოვალე.

ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინება ეს ნების გამოვლენაა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას. სსკ-ის 51-ე მუხლის¹⁵⁸ თანახმად, ნების გამოვლენა ნამდვილად ჩაითვლება მეორე მხარისთვის

¹⁵⁷ ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III, დასახელებული ნაშრომი, გვ. 231

¹⁵⁸ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 57

მისვლის მომენტიდან. თუ მეორე მხარე განაცხადებს უარს შეტყობინების მიღებაზე იგი არ ჩაითვლება ნამდვილად.

ხელშეკრულებიდან გასვლისას შეტყობინების გაგზავნის აუცილებლობის იმპერატიულ ნორმას ითვალისწინებს სსკ-ის 355 მუხლი „ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისთვის შეტყობინებით“.¹⁵⁹ თუ რამდენიმე მონაწილეა მეორე მხარეს, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება მეორე მხარის ყველა მონაწილისათვის შეტყობინებით.¹⁶⁰ სსკ-ის 355 მუხლი გსკ-ის 349 მუხლის ანალოგიაა, რომლის სათაურია „განცხადება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ“, ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისთვის გაკეთებული განცხადებით (გერმ: _ Erklärung¹⁶¹). ეს მუხლი შეიცავს იმპერატიულ ნორმას შეტყობინების აუცილებლობის შესახებ და არ უშვებს გამონაკლისებს.¹⁶²

ვადის დანესებასა და შეტყობინებას შორის განსხვავება ისაა, რომ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ კრედიტორს მაინც შეუძლია მოითხოვოს შესრულება, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინებით¹⁶³ წყდება ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, რის შედეგადაც ხელშეკრულება დგება უკუქცევის რეჟიმში.¹⁶⁴

აქვე მართებული იქნება განვმარტოთ, რომ უკუქცევის ურთიერთობა წარმოიშობა ხელშეკრულებიდან გასვლის განცხადებით. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ ცოდნა მესაკუთრეს ვერ დააკისრებს ვალდებულებას, ნასყიდობის ნივთი არ დააზიანოს (გსკ. მუხლი 903-ის პირველი წინადადება). მაშასადამე, იმისათვის, რომ მეორე მხარეს წარმოეშვას ნივთის გულისხმიერად მოპყრობის ვალდებულება საჭიროა,

¹⁵⁹ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 355

¹⁶⁰ იქვე, მუხლი 357

¹⁶¹ ქართულ-გერმანულ-ქართული ინტერნეტ იურიდიული ლექსიკონი. ხელმისაწვდომია <http://gil.ge/gergeo.php>

¹⁶² ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 506

¹⁶³ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 349

¹⁶⁴ კროპჰოლერი ი., დასახელებული ნაშრომი, გვ. 227

რომ ჯერ ხელშეკრულებიდან გასვლის განცხადება გაკეთდეს. ამ პრინციპის თანახმად ხორციელდება ხელშეკრულებიდან გასვლამდე გაუარესებისათვის ღირებულების ანაზღაურებისა და გასვლის შემდგომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.¹⁶⁵ თუმცა არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც კერძოდ: არგუმენტები შეიძლება კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობდეს. უკან დაბრუნების მოვალეობა მას მერე, რაც უკვე იცის, რომ აქვს გასვლის უფლება შეიძლება განზრახ დააზიანოს ნივთი და მერე გააკეთოს შეტყობინება გასვლის თაობაზე. ეს უფლების ბოროტად გამოყენების კლასიკური მაგალითია. მართალია მტკიცების ტვირთის თამასა საკმაოდ მაღალია, მაგრამ თეორიულად ზიანის დაკისრების შანსები მაინც რჩება დელიქტური მოთხოვნით.

ხელშეკრულებიდან გასვლის წესის განსაზღვრის უფლება აქვს მხარეებს. მათ შეუძლიათ განსაზღვრონ ხელშეკრულებიდან გასვლისას შეტყობინების გაგზავნის და მისი მიღების, როგორც პირობები ისე შედეგები. ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შეტყობინების შემდგომ რამდენ დღეში თუ თვეში იქნება შესაძლებელი ხელშეკრულებიდან გასვლა. ამ შემთხვევაში ვადის ათვლა იწყება შეტყობინების მიღების მომდევნო დღიდან. შეტყობინების წერილობითი ფორმა ემსახურება მხოლოდ მტკიცების მიზანს. შეტყობინების სავალდებულო წერილობითი ფორმა დადგენილი არ არის. შეტყობინებაში ითვლება როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული და ფაქსიმილური შეტყობინებები. როდესაც აღრესატს არ აქვს ნების გამოვლენის მიღების ტექნიკური შესაძლებლობა, სახეზეა არა ფორმის დარღვევა, არამედ შეტყობინების მისვლის ხარვეზი. არასწორი ან დაგვიანებული შეტყობინების მიღების რისკი ეკისრება მიმღებს. ნების გამოვლენა უნდა გაკეთდეს გარეგნულად ცნობილი ხერხით, მაგ. ბეჭედდასმული ან სკანირებული ხელმოწერით, თარიღის დასმითა და სხვა ანალოგიური საშუალებით. თუმცა, ხელმოწერა აუცილებელი პირობა

¹⁶⁵ კროპპოლერი ი., დასახელებული ნაშრომი, გვ. 247

არ არის. თუ დაზღვეული ფოსტით წერილის გაგზავნისას მისამართზე არმყოფ მიმღებს უტოვებენ წერილის შესახებ შეტყობინების ბარათს, მაშინ წერილი ჩაბარებულად ითვლება არა შეტყობინების ბარათის გადაცემის მომენტიდან, არამედ შეტყობინების წერილის ადრესატისათვის ფაქტობრივად გადაცემის მომენტიდან.¹⁶⁶

2.4. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შეზღუდვის წინაპირობები

ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველია მხოლოდ ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო ვალდებულების დარღვევა.¹⁶⁷

სსკ-ის 405.3 მუხლის დისპოზიციის თანახმად ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია თუ: ა) ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა; ბ) დარღვეულია 316.2 მუხლის მოთხოვნები და, ამის მიუხედავად, კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება; გ) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონაა პასუხისმგებელი; დ) მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ.¹⁶⁸

გსკ-ის 323.6 მუხლის თანახმად კრედიტორს არ შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან: თუ მხოლოდ კრედიტორი ან უმთავრესად კრედიტორი არის პასუხისმგებელი იმ გარემოებისათვის, რომელიც მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს ანდა თუ იმ გარემოებას, რომლისათვისაც მოვალე პასუხისმგებელი არ არის, ადგილი ჰქონდა კრედიტორის მიერ მიღების ვადის გადაცილების დროს.

ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგადი წესებიდან არსებობს გამო-
ნაკლისები. 1) ხელშეკრულებიდან გასვლა დასაშვებია დამატებითი ვადის

¹⁶⁶ კროპჰოლერი ი., დასახელებული ნაშრომი, გვ. 52-58

¹⁶⁷ ძლიერიშვილი ზ. ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. თბ., 2011, გვ. 141

¹⁶⁸ იხ: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014. გვ. 509-510

გარეშე, როდესაც, მისი დაწესება აზრს კარგავს შესრულების შეუძლებლობის გამო; (ასეთი საფუძველი შეიძლება გახდეს მოვალის ვალაუვალობა¹⁶⁹) და როდესაც მოვალემ შესრულება არ განახორციელა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორს სწორედ დროული შესრულების მიმართ ჰქონდა ინტერესი.¹⁷⁰

და 2) ხელშეკრულებიდან გასვლა დასაშვებია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გარეშე, შესრულების ვადის დადგომამდე, როდესაც არსებობს სერიოზული საფრთხე ვალდებულების დარღვევის და აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები.¹⁷¹ (მაგ.; თუ მოვალის მიმართ გაიხსნა საგაკოტრებო წარმოება¹⁷²).

2.5. სამომხმარებლო ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობა

გსკ-ის თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია, როგორც პროდუქტის ყიდვა-გაყიდვის ისე მომსახურეობის განწესის ხელშეკრულებებში. ამგვარი ხელშეკრულებიდან გასვლაზე უარის თქმის უფლების შეზღუდვა გამოწვეულია ხელშეკრულების საგნის ვარგისიანობის, აქტუალობისა და ღირებულების დროში შეზღუდულობით. ასე მაგალითად: ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია როდესაც:

1. ხელშეკრულების საგანი მომხმარებლის შეკვეთის მიხედვით წარმოებული საქონელია¹⁷³ – მაგალითად: საკუთარი დიზაინით შეკვეთილი ავეჯი და ა.შ. რადგან ის უშუალოდ პირადი ინდივიდუალური გემოვნებით შეკვეთილი და შემდეგ წარმოებული/დამზადებული საქონელია;

2. ხელშეკრულების საგანი პირადი საჭიროების მიხედვით შეკვეთილი საქონელია¹⁷⁴ – მაგალითად: პალტო, სამკაული, საფლაავის ქვა და ა.შ.

¹⁶⁹ მაჭარაძე მ., დასახელებული ნაშრომი, გვ.135

¹⁷⁰ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 405.2.“ა“

¹⁷¹ იქვე, მუხლი 405.4

¹⁷² მაჭარაძე მ., დასახელებული ნაშრომი, გვ.139

¹⁷³ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet. § 312 დ. 4. 1

¹⁷⁴ იქვე, § 312 დ. 4. 1

რადგან ისინი პირადი საჭიროების მიხედვით შეკვერილი საქონელია;

3. საქონელი თავისი თვისებებით არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას¹⁷⁵ – მაგალითად: ნავთი, ბენზინი, ზეთი და ა.შ. რადგან დაბრუნების შემთხვევაში ვერ დამტკიცდება გაგზავნილ საქონელთან ნივთის იდენტობა;

4. საქონელი რომელთა ასლების დამზადების გზით, მომხმარებელს ეძლევა საშუალება სურვილისამებრ გამოიყენოს ისინი და მიიღოს მოგება – მაგალითად: სამეცნიერო ან ლიტერატურული ნაშრომი, კომპიუტერული პროგრამები, ბაზები და მსგავსი პროდუქტები;¹⁷⁶

5. საქონელი, რომელიც თავიანთი შემადგენლობითა და მდგომარეობით მალფუჭებად საქონელს მიეკუთვნება¹⁷⁷ – მაგალითად: საკვები პროდუქტი, კოსმეტიკა, მედიკამენტები, ყვავილები და ა. შ.

6. საქონელი რომლის ვარგისიანობის ვადა შემლუღულია დროში¹⁷⁸ – მაგალითად: მედიკამენტები, საკვები ნივთიერებები, აქ იგულისხმება ისეთი საქონელი რომელთაც თუმცა აქვთ ვარგისიანობის/ღირებულების გარკვეული ვადა მაგრამ ის იმდენად შემლუღული, რომ მათი უკან დაბრუნებით რისკის ქვეშ ვარდება მენარმე;

7. დალუქული საქონელი¹⁷⁹ – მაგალითად: აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, კომპიუტერული პროგრამა და ა.შ. კონკრეტულად: კასეტა, ციფრული აუდიო/ვიდეო დისკი, მესხიერების ბარათი, რადგან ასეობს ალბათობა იმისა, რომ მხარემ მოახდინოს თავისთვის სასურველი ინფორმაციის კოპირება და შემდეგ თქვას უარი ხელშეკრულებაზე. ეს საავტორო უფლების დარღვევაა;

8. გაზეთები, ჟურნალები და სხვა პერიოდული გამოცემები¹⁸⁰ – რადგან მათი აქტუალობა შემლუღულია დროში და ხელშეკრულებაზე უარის თქმის

¹⁷⁵ იქვე, § 312 დ. 4. 1

¹⁷⁶ ფაჩუაშვილი ნ. დისტანციური ხელშეკრულებები და მათზე უარის თქმის უფლება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. // სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი. თბ., 2014. გვ. 149. www.library.court.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.03.2017)

¹⁷⁷ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet. § 312 დ. 4. 1

¹⁷⁸ იქვე, § 312 დ. 4. 1

¹⁷⁹ იქვე, § 312 დ. 4. 2

¹⁸⁰ იქვე, § 312 დ. 4. 3

შემთხვევაში გაყიდვას ვეღარ დაეცემდებარებიან.

9. სანაძლეოსა და ლატარიის მომსახურება¹⁸¹ – ამ მუხლთან დაკავშირებით არსებობს დამატებითი გსკ-ს 763-ე მუხლი¹⁸², რომელიც აძლიერებს ამ მუხლს და ამგვარ ხელშეკრულებებს მავალდებულებელად აწესებს, რადგან მათი მოქმედებაც დროშია შეზღუდული, რომლის გასვლის შემდეგაც, სანაძლეოს არსებობა აზრს კარგავს, ხოლო ლატარიის ბილეთი – საბაზრო ღირებულებას.

10. აუქციონის წესით დადებული ხელშეკრულება¹⁸³ – გსკ-ს 156-ე მუხლის¹⁸⁴ თანახმად, „აუქციონზე ვაჭრობისას ხელშეკრულება იდება ჩაქურჩის ბოლო დარტყმით. ფასის შეთავაზება ძალას კარგავს, თუ შეთავაზებულია უფრო მაღალი ფასი ან აუქციონი მთავრდება ჩაქურჩის ბოლო დარტყმის გარეშე“. მოხმარებელს აუქციონის დასრულების შემდეგ უფლება აღარ აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მენარმე კარგავს შესაძლებლობას კვლავ გაყიდოს დაბრუნებული ნივთი და ამით აინაზღაუროს მიყენებული ზარალი. აუქციონში იგულისხმება როგორც ონლაინ-აუქციონები ისე ტელეფონით ან ფაქსით, როგორც კერძო პირის ისე სახელმწიფოს მიერ მონყობილი აუქციონები, თავიანთი სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე აქ არ იგულისხმება ისეთი ინტერნეტაუქციონები როგორებიცაა (მაგ. “Ebay”, “Amazon” და ა.შ.)¹⁸⁵

11. საქონლის მიწოდება ან ფინანსური მომსახურების განევა რომლის ფასიც მერყეობს საფინანსო ბაზარზე, რაზეც მენარმეს არ შეუძლია იქონიოს გავლენა¹⁸⁶ – მაგალითად: საინვესტიციო კომპანიის ან უცხოური საინვესტიციო კომპანიის მიერ გამოშვებულ აქციებთან, წილებთან, სხვა გადაცემად ფასიან ქალაქდებთან, უცხოურ ვალუტასთან, ანაბარზე დამატებით დარიცხულ

¹⁸¹ იქვე, § 312 დ. 4. 4

¹⁸² იქვე, § 763

¹⁸³ იქვე, § 312 დ. 4. 5

¹⁸⁴ იქვე, § 156

¹⁸⁵ იხ: ფაჩუაშვილი ნ. დასახელებული ნაშრომი (სტატია)

¹⁸⁶ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet. § 312 დ. 4. 6

პროცენტებთან თუ ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მომსახურება;

12. ტელეკომუნიკაციაზე დამყარებული მომსახურება¹⁸⁷ – მაგალითად: ტელეფონის ან ტელეფაქსის საშუალებით, რადგან ამგვარი მომსახურება მომხმარებლის ინიციატივით, ერთჯერადად განხორციელებული მომსახურებაა.

ეს უკანასკნელი შემთხვევა გულისხმობს დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით დადებულ ხელშეკრულებებს. სსკ-საგან განსხვავებით გსკ-ის მიერ რეგულირდება დისტანციური ხელშეკრულებები. დისტანციურ ხელშეკრულებაში იგულისხმება სახელშეკრულებო ურთიერთობის ისეთი ფორმა რომელიც არ უკავშირდება მხარეთა პირდაპირ ურთიერთობას. ასეთი ხელშეკრულებები იდება ტელეფონით, ინტერნეტით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა დისტანციური კომუნიკაციის მეთოდით. გსკ-ის 312.ბ მუხლის¹⁸⁸ თანახმად დისტანციურია ხელშეკრულება რომელიც იდება მხოლოდ და მხოლოდ კავშირგაბმულობის საშუალებით. დისტანციურ ხელშეკრულებებში მომსახურების მიწოდების დროს, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამომრიცხავ გარემოებებს გსკ-ის 312.დ მუხლის მეოთხე ნაწილი¹⁸⁹ ითვალისწინებს. იმისათვის რომ ამგვარი ხელშეკრულება ნამდვილად ჩათვალოს საჭიროა 3 ეტაპის გავლა: წინადადების შეთავაზება, მისი მიღება და შემდეგ დადასტურება.

დისტანციური ხელშეკრულებების დროს ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეები ერთგვარად არათანაბარ პირობებში იმყოფებიან, ერთ მხარეს არ აქვს საშუალება იხილოს/დაათვალიეროს, შეამოწმოს ან გასინჯოს ხელშეკრულების საგანი, აქედან გამომდინარე გერმანიის კანონმდებელმა აუცილებლად ჩათვალა მხარეთა უფლებების დაბალანსებისათვის მათი

¹⁸⁷ იქვე, § 312 დ. 4. 7

¹⁸⁸ იქვე, § 312. b

¹⁸⁹ გსკ. (ქართული თარგმანი – ზ. ჭეჭელაშვილი), თბ., 2010, გვ. 61. (ამ მუხლს ქართული ანალოგი არა აქვს)

მდგომარეობის საკანონმდებლო დონეზე დაცვა, რაც უდაოდ ქართულ სამოქალაქო კოდექსშიც გასათვალისწინებელია.

თავი 3. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები

ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების არ შესრულება, კეთილსინდისიერ მხარეს უფლებას ანიჭებს ხელშეკრულებიდან გავიდეს. მას შემდეგ, რაც დაზარალებული მხარე ხელშეკრულებიდან გავა, იგი ორმხრივი რესტიტუციის ვალდებულების ქვეშ ექცევა. ამ ვალდებულების არ განხორციელება სარჩელის წარდგენის უფლების საფუძველია.

3.1. ორმხრივი რესტიტუციის პრინციპი საქართველოს სამოქალაქო სამართალში

ორმხრივი რესტიტუცია ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგია. ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება აღარ ექვემდებარება განხორციელებას და ვალდებულება წყდება, ხოლო განხორციელებული ექვემდებარება დაბრუნებას. ამ პრინციპის მიზანია ხელშეკრულებიდან გასვლისას ყოველი მხარე აღმოჩნდეს იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იმყოფებოდნენ ხელშეკრულების დადებამდე. კანონი არც ერთ მხარეს არ ანიჭებს უპირატესობას, იგი ამ საკითხს დემოკრატიულად წყვეტს იმისდა მიუხედავად თუ ვინაა ხელშეკრულებიდან გასვლის ინიციატორი. „ორმხრივი რესტიტუციის პრინციპი თავისი შინაარსით მხარის მხოლოდ მინიმალურ ინტერესს აკმაყოფილებს, ინტერესს, არ დაზარალდეს და აღიდგინოს ის მდგომარეობა, რაც ჰქონდა სახელშეკრულებო ურთიერთობის წამოწყებამდე“.¹⁹⁰

¹⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. საქმე № ას-319-303-2011, თარიღი: 21.06.2011, ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx> მითითებულია: ქოჩიაშვილი ა. სტატია:

ორმხრივი რესტიტუციის პრინციპის მთავარი მიზანი ხელშეკრულების შეუსრულებლობისას ძველი უფლებრივი მდგომარეობის აღდგენაა, მხარეების პირვანდელ (სამართლებრივად ხელშეკრულების დადებამდე არსებულ) მდგომარეობაში დაბრუნება, რომელიც ხელშეკრულების დადების გარეშე არსებობდა¹⁹¹. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, „მოვალემ უნდა აღადგინოს status quo ante“¹⁹² (ამ წესს ითვალისწინებ სსკ-იც).¹⁹³ ხელშეკრულებიდან გასვლა მხარეთათვის მაშინ აღწევს მიზანს როცა ორმხრივი რესტიტუციის პრინციპი განხორციელდება.

რესტიტუციის ინსტიტუტი რთული სამართლებრივი მექანიზმია, რომელიც სამართლებრივი სიტუაციის (ხელშეკრულებიდან გასვლის) ლოგიკური შედეგია.¹⁹⁴ ტერმინი „რესტიტუცია“ სამართლიანობის უფლების სასამართლო წესით დაცვის გამომხატველია.

ხელშეკრულებიდან გასვლისას ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა ტრანსფორმირდება და წარმოიშობა უკუშესრულების ვალდებულება,¹⁹⁵ რომელსაც „ვალდებულებათა რესტიტუციური ურთიერთობა“ ეწოდება.¹⁹⁶ ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ რეჟიმში მხარეთა შესრულების ვალდებულებები გადაიქცევა ვალდებულებად დააბრუნონ მიღებული შესრულებები.¹⁹⁷

„ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების საკითხები ქართული სამართლის მიხედვით. // ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა. მე-2 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 58

¹⁹¹ ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. დასახელებული ნაშრომი, გვ. 231

¹⁹² თოდუა მ. და ვილემსი ჰ, დასახელებული ნაშრომი, გვ. 129

¹⁹³ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 408.2.1

¹⁹⁴ ყანდაშვილი ი. სტატია. ქონებრივი რესტიტუცია ქართული კანონმდებლობისა და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე. სტატიათა კრებულიდან. კ. კორკელია. ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები. თბ., 2010, გვ. 199. ხელმისაწვდომია www.library.court.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.04.2017)

¹⁹⁵ მაჭარაძე მ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 142

¹⁹⁶ გოგუა ქ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 109

¹⁹⁷ იქვე, გვ. 111

ხელშეკრულებიდან გასვლისას ჯერ კიდევ შეუსრულებელი ძირითადი ვალდებულებები განხორციელებას აღარ ექვემდებარება.

რესტიტუცია მატერიალური პასუხისმგებლობის სახეა, იგი ლათინური სიტყვაა (restituere) და აღდგენას, ანაზღაურებას, დაბრუნებას, დაფარვას, მონესრიგებას ნიშნავს.¹⁹⁸ რესტიტუცია გამოყენებული იქნა ადრეულ საერთო სამართალში დაბრუნების ან რაიმე საგნის თუ მდგომარეობის აღდგენის აღსანიშნავად. თანამედროვე სამართალში, ხშირად მას კომპენსაციის მნიშვნელობითაც იყენებენ. საერთო სამართალში რესტიტუციის შესახებ კანონს ხშირად კომპენსაციის შესახებ კანონადაც მოიხსენიებენ.¹⁹⁹

რომის სამართალში რესტიტუციას გაუქმების სამართლებრივი ეფექტი ჰქონდა.²⁰⁰ თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში, რესტიტუციის ნორმატიული განმარტება შეიცვალა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის რესტიტუცია რომის სამართლის რესტიტუციისაგან განსხვავებით, მიმართული არ არის ხელშეკრულების გაუქმებისკენ (ასეთ ფუნქციას კანონით სასამართლო ასრულებს თავისი გადაწყვეტილებით), რადგან თუ გაუქმდა ხელშეკრულება, ის რის საფუძველზეც მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ რესტიტუციის უფლება, მაშინ მხარეებს მოთხოვნის საფუძველი აღარ ექნებათ.

იმ შემთხვევაში თუ ერთმა მხარემ დაარღვია ხელშეკრულება, მეორე ზარალდება. ხელშეკრულების მიზანია მოსარჩელეს არ მიაღვეს ზარალი, არ აღმოჩნდეს ხელშეკრულების დარღვევის წინაშე, რაც გულისხმობს ე.წ. „მოლოდინის ინტერესის“ და „ნდობის ინტერესის“ („expectation interest’ and ‘reliance interest“) დაცვას. ბრიტანელი იურისტი გრაჰამ ვირგოს წიგნში რესტიტუციის პრინციპი²⁰¹, ერთ-ერთი თავი ეძღვნება „რესტიტუციას ხელშეკ-

¹⁹⁸ Суханов Е. А. Гражданское право. В 4. Т.1. М. 2006. Ст. 508

¹⁹⁹ www.en.wikipedia.org/wiki/Restitution (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.03.2017)

²⁰⁰ Суханов Е. А. დასახელებული ნაშრომი, გვ. 508

²⁰¹ Virgo G. *The Principles of the Law of Restitution*. third edition (chapter _Restitution for Breach of Contract). Oxford. 2006. www.oxfordscholarship.com. ხალმისაწვდომია: www.books.google.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.05.2016)

რულების დარღვევისას“. (Restitution for Breach of Contract) სადაც განხილულია ის ფაქტი, რომ არსებობს მესამე ტიპის ინტერესი სახელწოდებით „რესტიტუციის ინტერესი“, რომელიც გამოიყენება ზიანის ასანაზღაურებლად იმ შემთხვევაში თუ მხარემ დაარღვია ხელშეკრულება.²⁰²

რესტიტუციის შესახებ ზოგადი წესი ჩამოყალიბებულია გსკ-ის მუხლი 346.1-ში, რომლის დანაწესის თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მიღებული შესრულება და სარგებელი დაბრუნებას ექვემდებარება.²⁰³ ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში-ნსკ.) 271-ე მუხლის დანაწესის თანახმად: ...მხარეებისათვის წარმოიბოძა ვალდებულება, რომ ვალდებულების განხორციელების შედეგად წარმოშობილი სარგებელი უკან იქნეს დაბრუნებული.²⁰⁴

რესტიტუცია ინგლისურ სამართალში საშუალებაა, რომლის მიზანი კეთილსინდისიერი პირის არასასურველი მდგომარეობის აღდგენაა. ინგლისური სამართალი პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ რესტიტუციის პრინციპი არ განხორციელდება ადგილი ექნება უსაფუძვლო გამდიდრებას.²⁰⁵

ფრსკ-ში რესტიტუციის რეგულირების პრინციპი ბუნდოვნადაა განხილული. მისი 1183-ე მუხლი რესტიტუციის შესახებ სასამართლო პრაქტიკამ განავრცო.²⁰⁶

თავდაპირველად რესტიტუციის კანონი სამართლის ყველა სფეროს არ ეხებოდა.²⁰⁷ დღესდღეობით მას საერთაშორისო სამართალშიც გამოიყენებენ. საერთაშორისო სამართალში რესტიტუციას სანქციის მნიშვნელობა

²⁰² Virgo G. დასახელებული ნაშრომი, pp. 376–88

²⁰³ Joussen J. Schuldrecht I - Allgemeiner Teil (Sr-Studienreihe Rechtswissenschaften. German Edition). W. Kohlhammer. 2008. p.304

²⁰⁴ თოლუა მ. და ვილემსი ჰ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 126. ვრცლად იხ: New Netherlands Civil Code: patrimonial law (property, obligations, and special contracts), 1990. ხელმისაწვდომია www.lib.ugent.be

²⁰⁵ იხ: 1. Johnston D. Zimmermann R. Unjustified Enrichment: Key Issues in Comparative Perspective. 1st Edition. 2002

2. Beatson J. and Schrage E. Cases, Materials and Texts on Unjustified Enrichment 2003

3. Birks P. Unjust Enrichment. 2nd ed. 2005

²⁰⁶ იხ: Bell J. Boyron S. and Whittaker S. Principles of French Law, Oxford. 1998

²⁰⁷ Markesinis B. Unberath H. Johnston A. დასახელებული ნაშრომი, p. 298

აქვს. დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს სამართალდამრღვევის მიმართ სანქციები გამოიყენოს. არსებობს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ორი სახე: პოლიტიკური და მატერიალური. მატერიალური პასუხისმგებლობის სახეებია რესტიტუცია და რეპარაცია - პირველ შემთხვევაში დამნაშავეს ეკისრება ვალდებულება, აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა გატაცებული ნივთის დაბრუნებით ან დანგრეული შენობის აშენებით, ხოლო მეორე შემთხვევაში - მას მხოლოდ მატერიალური ზარალის ფულადი ან გარკვეული სახის საქონლით ანაზღაურება მოეთხოვება.²⁰⁸ საერთაშორისო სამართალში რესტიტუცია ცალმხრივია, რადგან მხოლოდ დამნაშავე მხარეს ეკისრება ვალდებულება აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა (დააბრუნოს ნივთი, აღადგინოს დანგრეული) და მხოლოდ კეთილსინდისიერ მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს დარღვეული/დაკარგული უფლების აღდგენა.

თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოების სისხლის სამართალში სასჯელის საშუალებების მიზნიდან (სამაგიეროს გადახდა, პრევენცია, ინდივიდუალური დამნაშავეს გაუვნებელყოფა, რეაბილიტაცია) რესტიტუცია ერთ-ერთი დომინანტია: სისხლის სამართალში რესტიტუცია დანაშაულის მსხვერპლზე ორიენტირებული სასჯელის თეორიაა, რომლის მიხედვით დანაშაულის მსხვერპლს მიყენებული ზიანი უნაზღაურდება, თუმცა ზიანის ანაზღაურების მექანიზმი სამოქალაქო სამართალშია უმეტესად განხორციელებადი.²⁰⁹

PECL²¹⁰ რესტიტუციის პრინციპი ვალდებულების შესრულების სამართლიანი მოთხოვნის საშუალებად განიხილება. 9:101 და 9:102 მუხლების დანაწესის თანახმად ვალდებულების შეუსრულებლობისას

²⁰⁸ იხ: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინტერნეტ ლექსიკონი ხელმისაწვდომია www.nplg.gov.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 06.05.2016)

²⁰⁹ იხ: myadvokat.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.04.2016)

²¹⁰ იხ: The Principles Of European Contract Law 2002 (Parts I, II, and III) European Union. ხელმისაწვდომია <http://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 03.04.2017)

კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს გადახდილი თანხა ან ნატურით (არაფულადი) შესრულება.

ორმხრივი რესტიტუციის პრინციპს ითვალისწინებს გაეროს 1980 წლის „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ კონვენცია,²¹¹ რომლის 81.2 მუხლის დანაწესის თანახმადაც „იმ მხარემ რომელმაც მთლიანად ან ნაწილობრივ შეასრულა ხელშეკრულება, შეუძლია მოითხოვოს რესტიტუციის პრინციპის განხორციელება, მეორე მხარისაგან ყოველივე იმის დაბრუნება, რაც მიანჭოდა გადაიხადა (has supplied or paid) ხელშეკრულების თანახმად. თუ ორივე მხარემ უნდა დაიბრუნოს მიღებული სარგებელი, მათ ეს ერთდროულად უნდა გააკეთონ“.²¹²

სსკ-ში ხელშეკრულებიდან გასვლის თავი იწყება შედეგების მოწესრიგებით კერძოდ, ორმხრივი რესტიტუციის პრინციპის მარეგულირებელი ნორმით. სსკ-ის 352.1 მუხლის დისპოზიციის თანახმად: ორმხრივი ვალდებულების შეუსრულებლობისას ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ.²¹³ ორმხრივი რესტიტუციის პრინციპზეა საუბარი სსკ-ის 508-ე მუხლში,²¹⁴ ნასყიდობის ხელშეკრულების მაგალითზე, რომლის მიხედვითაც გამყიდველს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, როცა მყიდველი დაკისრებულ ვალდებულებებს არ ასრულებს, რა დროსაც ყოველი მხარე ვალდებულია დაუბრუნოს ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს.

მაგალითად ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, მყიდველი ავტომანქანასთან, ხელშეკრულების უშუალო ობიექტთან, ერთად უკან აბრუნებს იმ სარგებელს რაც მან ხელშეკრულების შესრულებიდან მიიღო. ხოლო გამყიდველი - ნასყიდობის თანხას იმ სარგებელთან ერთად,

²¹¹ United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (Vienna, 1980) (CISG). ხელმისაწვდომია <https://www.uncitral.org/pdf/english/texts/sales/cisg/V1056997-CISG-e-book.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.04.2017)

²¹² იქვე, მუხლი 81.2

²¹³ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი: 352.1

²¹⁴ იქვე, მუხლი 508

რომელიც ხელშეკრულების შესრულების შედეგად მიიღო.²¹⁵ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ მაგალითის სახით განვიხილავთ ნასყიდობის ხელშეკრულებას, თუმცა სსკ 352.1 მუხლში²¹⁶ ჩამოყალიბებულია ზოგადი წესი და იგი ყველა ტიპის ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევებზე ვრცელდება).

ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ერთი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.²¹⁷ რისი დარღვევისათვის პირველმა, კეთილსინდისიერმა მხარემ, შეიძლება სსკ-ის 491-ე მუხლით მინიჭებული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება გამოიყენოს, (სსკ-ის 491.1 მუხლში საუბარია „მოშლაზე“ თუმცა ჩვენ მივიჩნევთ, რომ აქ გვხვდება ტერმინოლოგიური ხარვეზი და მოშლის ნაცვლად უნდა იყოს „გასვლა“) რასაც მოჰყვება ორმხრივი რესტიტუციის პრინციპის გამოყენება ან ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებისადმი²¹⁸. ხელშეკრულებაში ამ პირობებზე შეიძლება ზუსტად იყოს მითითებული ან გამომდინარეობდეს კანონიდან.

ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში ხელშეკრულების ორივე მხარეს წარმოეშობა უფლებები და მოვალეობები. უფლება მოითხოვოს ის, რაც გადასცა მეორე მხარეს და ვალდებულება უკან დააბრუნოს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღო. დაბრუნების მექანიზმი შემდეგნაირია უნდა დაბრუნდეს კონკრეტულად განსაზღვრული ქონება, ან მისი ღირებულება. კანონი არანაირ გამონაკლისს არ უშვებს და უფრო მეტიც, საწინააღმდეგო შეთანხმებას ბათილად მიიჩნევს. ამ უფლება-მოვალეობებს მხარეები ასრულებენ ერთდროულად (სსკ. მუხლი 354,²¹⁹ ანალოგიაა გსკ. მუხლი 348²²⁰),

²¹⁵ გოგუა ქ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 109

²¹⁶ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 352.1

²¹⁷ იქვე, მუხლი 487

²¹⁸ იქვე, მუხლი 492

²¹⁹ იქვე, მუხლი 354

²²⁰ იხ: BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 348

ისინი ერთმანეთს ფიზიკურად გადასცემენ იმას, რაც ხელშეკრულების ფარგლებში მიიღეს. ეს ორმხრივი რესტიტუციის პრინციპია.²²¹

საქართველოს სინამდვილეში ორმხრივი რესტიტუციის შესახებ საქმეები ხშირად სასამართლო განხილვის საგანი ხდება. საქართველოს უზენაესი სასამართლოში - საქმე № ას-1020-963-2015²²² შპს „___“, მოქალაქის ნ. ნ.-ს წინააღმდეგ განხილულია ხელშეკრულების დარღვევისას ორმხრივი რესტიტუციის საკითხი მობილური ტელეფონის ნასყიდობის ხელშეკრულებაში. ორმხრივ რესტიტუციის პრინციპთან პირდაპირ პროპორციულადაა დაკავშირებული სსკ-ის 496 მუხლში²²³ მითითებული ნივთის ვარგისიანობის ვადა (საგარანტიო ვადა). ხელშეკრულება ხშირად საგნის საგარანტიო ვადას ითვალისწინებს, ამ შემთხვევაში უკვე ეს ვადა განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნას და შემდგომი ორმხრივი რესტიტუციის პრინციპის განხორციელებას. სსკ-ის 496-ე მუხლის დანაწესის თანახმად, თუ გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას დაადგენს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ნორმის ანალიზიდან გამომდინარე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში (საქმე № ას-1020-963-2015²²⁴) განმარტა, რომ თუ გაყიდულ ნივთს გამყიდველის მიერ განსაზღვრულ ვარგისიანობის (საგარანტიო) ვადაში აღმოაჩნდება ნაკლი, მყიდველს ავტომატურად გაუჩნდება მოთხოვნის უფლება, ხოლო გამყიდველმა უნდა დაადასტუროს საწინააღმდეგო. პალატამ აღნიშნა, რომ გამყიდ-

²²¹ იხ: თოდუა მ. // ვალდებულებითი სამართალი. დასახელებული ნაშრომი (სტატია)

²²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. საქმე № ას-1020-963-2015, თარიღი: 25.11.2015 ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.04.2017)

²²³ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 496. ნივთის ვარგისიანობის ვადა “თუ გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას“

²²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. საქმე № ას-1020-963-2015, თარიღი: 25.11.2015. ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.04.2017)

ველის პასუხისმგებლობის თავისებურება სწორედ იმაში ვლინდება, რომ საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში ნივთის ნაკლის დაფიქსირების შემთხვევაში, პრეზუმირებულია მისი ბრალეულობა და გაყიდული ნივთის ნაკლის არსებობა. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი გამყიდველს ეკისრება. თუ ვერ შესრულდა ხელშეკრულების პირობები ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ორმხრივი რესტიტუციის პრინციპი. ვერ ან არ შესრულებაში იგულისხმება გადაუღახავი შემთხვევები, გარე პირობები (მაგალითად ნაყიდი ნივთის ხარვეზი გამონწვეულია ნივთზე გარე ზემოქმედების შედეგად). თუ ეს ვერ ან არ შესრულება გამონწვეულია არა გარეშე პირობებით, ამ შემთხვევაში ორმხრივი რესტიტუციის პრინციპი ვერ განხორციელდება. ნასყიდობის ურთიერთობიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი და პასუხს აგებს ამ ვალდებულების დარღვევისათვის, მეორე მხრივ, ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე გამოვლენილი ნაკლი მყიდველს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს.

განხილულ საქმეში წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მობილური აპარატის შეძენისას საგარანტიო ფურცელში პირდაპირ წერია, რა შეიძლება ჩაითვალოს ნივთზე გარე ზემოქმედებად: „...გარანტია არ ვრცელდება: თუ მონყობილობა დაზიანებულია წყლის, ნესტის, დავარდნის, ფიზიკური ზემოქმედების ან დენის ძაბვის ცვალებადობის შედეგად არალიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შეთხვევაში, თუ მონყობილობა დაზიანებულია არაორიგინალური აქსესუარების ზემოქმედებით; თუ მონყობილობას აღენიშნება შპს „ ___ „ -ის გვერდის ავლით მექანიკური ჩარევის კვალი....“.²²⁵

²²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. საქმე № ას-1020-963-2015, თარიღი: 25.11.2015. ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> (უკანასკნელად იქნა ვადამონებული - 20.04.2017)

3.2. ნატურით ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას

რესტიტუციის პრინციპის განხორციელება შესაძლებელია ორი გზით: ნატურით დაბრუნებით (უკუქცევით) და ფულადი კომპენსაციით. ნივთები და უფლებები მხარეებმა ერთმანეთს ნატურით უნდა დაუბრუნონ, ხოლო ფულადი ვალდებულების შესრულება შესაბამისი ეკვივალენტური თანხის (გონივრული თანხის) და არა ინდივიდუალურად განსაზღვრული ფულადი ბანკნოტების მეშვეობით ხორციელდება.²²⁶

საქართველოს კანონმდებელმა საჭიროდ არ ჩათვალა ნატურით დაბრუნებისათვის და ფულადი კომპენსაციისათვის ცალკე მუხლი დაეთმო. ეს საკითხი ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგების მუხლში თითო-თითო პუნქტით რეგულირდება (სსკ-ის მუხლი 352 - "ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები"²²⁷, ვსკ. მუხლი 346 - "ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი ძალა"²²⁸).

მიღებული სარგებელის ნატურით დაბრუნება (იგივე რეალური შესრულება), ფიზიკურად ერთმანეთისათვის იმის დაბრუნებას გულისხმობს, რაც მათ ხელშეკრულებით მიიღეს. ნატურით ანაზღაურების წესი ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, თუმცა აბსოლუტური არ არის და კანონი გამონაკლის შემთხვევებს ითვალისწინებს, როდესაც ნივთის თავდაპირველი სახით დაბრუნება შეუძლებელი გახდება. ასეთ შემთხვევებში ნატურით დაუბრუნებლობა საპატიოა.²²⁹ ნატურით შესრულების ვალდებულება არ არსებობს თუ შექცნილის ხასიათიდან ან საგნის ობიექტური გარემოებებიდან ანდა ბუნებრივი თავისებურებებიდან გამომდინარე ნატურით დაბრუნება ვერ განხორციელდა. ეს ის შემთხვევებია, როდესაც საგანი ხელშეუხებელია (მაგალითად: ფიზიკურად შესრულებული სამუშაო) ან განადგურებულია, დაზიანებულია ან ჩამორთმეულია. ეს აგრეთვე ის შემთხ-

²²⁶ იხ: თოდუა მ. // ვალდებულებითი სამართალი. დასახელებული ნაშრომი (სტატია)

²²⁷ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 352

²²⁸ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 346

²²⁹ ფიფია ა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 109

ვევებია, როდესაც მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს, გადაამუშავებს ან გადააკეთებს. (ამის მარტივი მაგალითია როდესაც პირი ყიდულობს რაიმე საკვებს და შეჭამს მას).

ნატურით დაბრუნების ვალდებულება არ არსებობს თუ მიღებული საგანი გაფუჭდა ან განადგურდა. დაბრუნება აგრეთვე შეუძლებელია, თუ საგანზე უფლება მესამე პირს გადაეცემა.

მიღებული სარგებლის გადაცემის ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას და ის მიზეზი, რომ სარგებლის ვერ მიიღება გამონწვეული იყო საგნის სათანადო გამოყენების წესების დარღვევის გამო²³⁰ არ მიიღება და იგი გამამართლებელი მიზეზი არ არის.

ორმხრივი რესტიტუციის პრინციპის განხორციელებისას აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების საგნის დაბრუნება თავდაპირველ მდგომარეობაში მოხდეს. ნივთის მფლობელობაში გადაცემით მყიდველზე (მფლობელზე) გადადის მისი დაზიანების რისკიც.

როდესაც ნატურით დაბრუნების საგანი უძრავი ნივთია, ნივთის გადაცემა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით უნდა განხორციელდეს.²³¹

3.3. ფულადი ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას

1996 წლის რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის²³² (შემდგომში-რფსკ) თანახმად რესტიტუცია შეიძლება დავეყთ ორ ნაწილად: საკუთრების (ნატურით) და ფულადი (გამოხატული ფულით ან ფასიანი ქაღალდით).²³³ ფულად რესტიტუციას მიმართავენ მაშინ, როდესაც გვაროვნული ნივთით დაბრუნება ბუნებრივად შეუძლებელია, ხელშეკრულების საგანი გამოიხატება გამოყენებადი საგნით ან შესრულებული სამუშაოთი ანდა

²³⁰ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 353.1

²³¹ ზოიძე ბ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 243

²³² Гражданский кодекс Российской Федерации (ГК РФ.) 1996. ხელმისაწვდომია www.ГПАНТ.ru (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.04.2016)

²³³ იხ: Смоленский М.Б. Гражданское право. Часть вторая, Д 2004

მომსახურების მიღებით. ამგვარ რესტიტუციას პირობითად საკომპენსაციო რესტიტუციასაც უწოდებენ.²³⁴

სსკ.-ის 352.2 მუხლის²³⁵ ანალოგიაა, გსკ.-ის მუხლი 346.2,²³⁶ რომლის დანაწესის თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში თუ მიღებული შესრულებისა და სარგებელის დაბრუნება შეუძლებელია იგი ღირებულების ანაზღაურებას ექვემდებარება (რაც ფულად ანაზღაურებას გულისხმობს),²³⁷

ხელშეკრულებიდან გასვლისას ფულადი ანაზღაურების ვალდებულება ზოგჯერ არ წარმოიშობა. სსკ.-ის 352.4²³⁸ მუხლი გამოყოფს რამდენიმე შემთხვევას: თუ საგნის ნაკლი, რაც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევა, ამ საგნის გადამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა, მაგ. თუ პურის გამოცხობისას გამოვლინდა, რომ ფქვილი უხარისხო იყო, ფქვილის მიმწოდებელს შეუძლია, დარჩენილი ფქვილი მოითხოვოს, თუმცა უკვე გამოყენებული ნაწილის ნაცვლად ფულად ანაზღაურებას, ვერ მოითხოვს, რადგან საგნის გადამუშავების პროცესში ნაკლი გამოვლინდა, ხელშეკრულებაზე უარის თქმას დაედო საფუძვლად.²³⁹ ფულადი ანაზღაურებისაგან გათავისუფლდება მხარე როცა ხელშეკრულების საგანი გადაცემულია კრედიტორისათვის, რომელიც უფრთხილდება და ეპყრობა საგანს ისეთივე გულისხმიერებით როგორც საკუთარ ნივთს (*diligentia quam in suis*), თუმცა, მისი ბრალის მიუხედავად, ნივთი ნადგურდება. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს არ ეკისრება ფულადი ანაზღაურების მოვალეობა.²⁴⁰ ნივთის გადაცემის მიუხედავად თუ ნივთი კრედიტორის გავლენის სფეროშია, მაინც გამყიდველზე რჩება მისი შემთხვევითი დალუპვის ან განადგურების რისკი.

²³⁴ Суханов Е. А. დასახელებული ნაშრომი, გვ. 510

²³⁵ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 352.2

²³⁶ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 346.2

²³⁷ იხ: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014. გვ. 511

²³⁸ იქვე, გვ. 512

²³⁹ ზოიძე ბ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 249

²⁴⁰ Markesinis B. Unberath H. Johnston A. დასახელებული ნაშრომი, გვ. 389

ფულად ანაზღაურებას ვერ მოითხოვს კრედიტორი, როცა ნივთის დაზიანება ან განადგურება მისი ბრალია. ამ შემთხვევის მაგალითად გამოდგება კრედიტორის ბრალით მიწოდებული უნაკლო ნივთის არასწორად დამონტაჟება. ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა არ წარმოიშობა მაშინაც, როდესაც მოვალე არ იღებს სარგებელს საგნის სათანადო გამოყენების წესების დარღვევის გამო, თუმცა მას სარგებლის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა. ამის საპირისპიროდ, სსკ-ის 353.2-ე მუხლის²⁴¹ (გსკ. მუხლი 347.2) დანაწესის თანახმად, მოვალეს უნდა აუნაზღაურდეს აუცილებელი დანახარჯები.

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებისას ფულადი ანაზღაურების თაობაზე საუბარია სსკ-ის 6:272.1 მუხლში, რომლის დანაწესის თანახმადაც, შესრულების ან ვალდებულების ღირებულების კომპენსაციით ჩანაცვლება მაშინ უნდა მოხდეს როდესაც, იგი თავისი ხასიათიდან გამომდინარე, არ შეიძლება დაბრუნებულ იქნეს იმ დროისათვის.²⁴²

რუს მეცნიერთა ნაწილი (მ. ბრეგინსკისა და ვ. ვიტინსკის მიმდევრები) სრულიად რადიკალურია და იცავს მოსაზრებას რომ: არც ერთ მონაწილე მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს იმის დაბრუნება, რაც ხელშეკრულებით მიიღო. თუმცა გამყიდველი ინარჩუნებს უფლებას ზიანის ანაზღაურების სახით მყიდველს თანხა მოსთხოვოს.²⁴³

თუმცა ეს თეორია ყველა შემთხვევაში ვერ იქნება განხორციელებადი. ვფიქრობთ ყოველი კონკრეტული საქმის დროს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს უნდა განხორციელდეს ნატურით დაბრუნება თუ ფულადი კომპენსაცია.

ხელშეკრულებიდან გასვლისას დგება 3 სახის შედეგი: ნატურით უკუქცევა, ფულადი კომპენსაცია და სამაგიეროს შესრულება, რომელიც გამოიყენება ღირებულების ანაზღაურების მოცულობის განმსაზღვრელად. ეს წესი ცალსახად არ გამომდინარეობს, სსკ-ის 352.3 მუხლიდან რაც შეიძლება

²⁴¹ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 353.2

²⁴² თოდუა მ. და ვილემსი ჰ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 127

²⁴³ Суханов Е. А. დასახელებული ნაშრომი, გვ. 508

ქართველი კანონმდებლის შეცდომად ჩაითვალოს, რომელმაც ზუსტად ვერ გადმოიტანა ქართულ კანონში შესაბამისი გერმანული დანაწესი.²⁴⁴

სამაგიეროს შესრულება ნიშნავს რომ, ხელშეკრულებით დათქმულია პირობა იმის თაობაზე, რომ ნაკისრი მოქმედების სამაგიეროდ მოვალეს სხვა მოქმედების შესრულება შეუძლია. თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სამაგიერო შესრულება, მაშინ ფულადი ანაზღაურება ამ შესრულებით შეიცვლება.

3.4. ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლისას

მოთხოვნის საფუძვლების მიხედვით, კრედიტორი უფლებამოსილია მოვალეს წარუდგინოს შემდეგი მოთხოვნები: პირველადი მოთხოვნა – კრედიტორი ითხოვს ვალდებულების შესრულებას (შესაძლებელია კომბინაცია ზიანის ანაზღაურებასთან ერთად²⁴⁵).

მეორეული მოთხოვნა – კრედიტორი მოითხოვს იმ კონკრეტული ზიანის ანაზღაურებას, რომელიც წარმოიშვა მოვალის ქმედების გამო ან კრედიტორი მოითხოვს ხელშეკრულებიდან გასვლას (შესაძლებელია კომბინაცია ზიანის ანაზღაურებასთან ერთად).

დამხმარე (არაძირითადი) მოთხოვნები – კრედიტორი ისეთ მოთხოვნას აყენებს, რომელიც უშუალოდ ძირითადი ვალდებულებისაგან არ გამომდინარეობს და არსებობს ძირითადი მოთხოვნებისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ხელშეკრულების შესრულების აუცილებელი წინაპირობაა.²⁴⁶

²⁴⁴იხ. <http://www.gccc.ge> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. ინტერნეტ ვერსია. მუხლი 532.3 მე-5 ველი

²⁴⁵ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 31.6. 1

²⁴⁶ კროპჰოლერი ი., დასახელებული ნაშრომი, გვ. 38

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა პირველადი მოთხოვნაა, რომლის შეუსრულებლობა იწვევს მეორეული მოთხოვნის უფლებას (ზიანის ანაზღაურებას).²⁴⁷

სსკ-ისაგან განსხვავებით საკმაოდ შეკუმშულ ფრსკ-ში არის მუხლი 1152, რომელიც ითვალისწინებს იმპერატიულ ნორმას ხელშეკრულებით განსაზღვრული იყოს პირობა: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვალე ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი გარკვეული თანხით (თუმცა, იქვე გაკეთებულია დათქმა, რომ მოსამართლემ საკუთარი შეხედულებისამებრ შეიძლება შეამციროს ან გაზარდოს დადგენილი ჯარიმის თანხა). ფრსკ. მუხლი 1149-ში პირდაპირ მითითებულია ასევე იმის შესახებ თუ რა არის ზარალი. იგი გულისხმობს დანაკარგს, რომელიც კრედიტორმა განიცადა და მოგებას, რომელიც მან ვერ მიიღო.²⁴⁸

ვალდებულების დარღვევის წინაპირობების გათვალისწინებით ვალდებულების დარღვევას ან მოჰყვება პასუხისმგებლობა ან არა. ვალდებულების დამრღვევ მხარეს (ან კანონიერ წარმომადგენლს ან იმ პირ(ებ)ს, რომელსაც ვალდებულების დამრღვევი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად) პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალის დროს ისე შემთხვევითობისათვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზარალი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც. ვალდებულების დარღვევა უნდა დაადასტუროს კრედიტორმა მოვალეს კი ეკისრება მისი არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი. გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზარალისას, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება არ წარმოიშვას, თუ

²⁴⁷ ბაჩიაშვილი ვ. დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლის და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოს და გერმანიის სამართლის მიხედვით), // ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ., 2008, გვ. 160

²⁴⁸ Civil code (france). 1804. ხელმისაწვდომია www.lexinter.net

ამაზე იარსებებს მხარეთა წინასწარი შეთანხმება (სსკ. მუხლი 497) ან თუ კანონი გამორიცხავს მას (სსკ. მუხლი 527).²⁴⁹

ფრსკ. ითვალისწინებს ვალდებულების დარღვევისას განზრახი ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. მოვალე ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი რომელიც გამონვეულია განზრახი ბრალით.²⁵⁰ ფრსკ-ის მუხლი 1147 ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის ინსტიტუტს²⁵¹, რომლის თანახმადაც მოვალე ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა ან დაგვიანებით შესრულება გამონვეულია მისი არაბრალეულობით და გარეშე პირობებით/გარეგანი მიზეზებით. მოვალე თავისუფლდება მტკიცების ტვირთისაგან თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამონვეულია დამაბრკოლებელი გარემოებებით. ხელშეკრულების შესრულების დაბრკოლებად კი ითვლება ბრალის არარსებობა²⁵² („Absence de faute“) და ფორს-მაჟორული („force majeure“) სიტუაცია (ფრსკ. მუხლი 1148²⁵³). ამასთან სასამართლო გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ თუ მხარემ ვერ გამოიყენა დაბრკოლების, თუნდაც მნიშვნელოვანი სიძნელეების თავიდან აცილებისათვის ყველა საჭირო ძალისხმევა, რაც უნდა გამოეყენებინა მის მდგომარეობაში გონიერ ადამიანს, იგი არ გათავისუფლდება სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისაგან.²⁵⁴

საერთო სამართალი ხელშეკრულებას განიხილავს როგორც საგარანტიო ვალდებულებას და მისი დარღვევისათვის, მიუხედავად ბრალეულობისა, უპირობოდ ზარალის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას აღიარებს. საერთო სამართლისათვის მნიშვნელოვანია წარუმატებლობა, მოვალის მი-

²⁴⁹ თოდუა მ. და ვილემსი ჰ., დასახელებული ნაშრომი გვ. 45

²⁵⁰ Civil code (france). 1804. ხელმისაწვდომია www.lexinter.net მუხლი 150

²⁵¹ იქვე; მუხლი 1147

²⁵² შემთხვევითი/გაუთვალისწინებელი/გადაუღალახავი დაბრკოლებები, პირის კონტროლის გარეშე არსებული წინააღმდეგობები (“per suite d’une force majeure ou d’un cas fortuity”) რომელიც მხარეს ვერ დაბრალდება

²⁵³ Civil code (france). 1804. ხელმისაწვდომია www.lexinter.net

²⁵⁴ კოტცი ჰ., ცვაიგერტი კ., ტ. II. დასახელებული ნაშრომი, გვ. 190-191

ერ ნაკისრი გარანტიის დაუცველობა, ხელშეკრულების დარღვევის ფაქტის არსებობა.²⁵⁵

ევროპული პრინციპების (მუხლი 3.108 და 4.501) თანახმად მეორე მხარე შეიძლება გათავისუფლდეს ზიანის ანაზღაურებისაგან (to claim damages) თუ მოიყვანს პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელ მტკიცებულებას.²⁵⁶

გსკ. განმარტავს თუ რა ითვლება განზრახ და გაუფრთხილებელ ვალდებულების დარღვევად. განზრახვა უფლების ან ვალდებულების დარღვევის ცოდნა და სურვილია. არაპირდაპირი განზრახვა ყოველთვის საკმარისია. განზრახვა უნდა მოიცავდეს უფლებისა და ვალდებულების დამრღვევ გარემოებებს. გსკ-ის 276.2 მუხლი განმარტავს გაუფრთხილებლობას: „გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ წინდახედულობას“.²⁵⁷ აუცილებელი წინდახედულობა ეფუძნება ობიექტურ მასშტაბებს, არა რომელიმე კონკრეტული მოვალის შესრულების შესაძლებლობას, არამედ მისი სამოქალაქო ბრუნვის წრიდან ან ასაკობრივი ჯგუფიდან საშუალოდ აღებული პირისადმი სავალდებულო წინდახედულობას.

გსკ-ში ქმედების განხორციელების ვალდებულების კარში მხოლოდ ერთი მუხლი არეგულირებს ზიანის ანაზღაურებას ვალდებულების დარღვევისას.²⁵⁸ უმნიშვნელო ვალდებულების დარღვევა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასშტაბური სამართლებრივი შედეგების მისაღებად (მაგ. ხელშეკრულებაზე უარის თქმისთვის)²⁵⁹

²⁵⁵ იქვე, გვ. 193

²⁵⁶ კოტცი ჰ., ცვაიგერტი კ., ტ. II. დასახელებული ნაშრომი გვ. 205

²⁵⁷ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de

²⁵⁸ იქვე, § 280

²⁵⁹ იქვე, § 281.1

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემცირებას იწვევს თანაბრალე-
ულობის დადგენა, ხოლო კრედიტორის განსაკუთრებული ბრალეულობის
არსებობა – მოთხოვნას სრულად გამორიცხვას.²⁶⁰

ინგლისის ერთ-ერთი გადანწყვეტილება პრეცედენტი გახდა საერთო
სამართლისათვის: საქმეში მოვაჭრე უარს აცხადებს საიჯარო გადასახადის
გადახდაზე იმ მიზეზით, რომ ფეოდალმა ჩამოართვა საიჯარე მიწა. ეს მიზეზი
სასამართლოსათვის გამამართლებელი არ აღმოჩნდა და გადანწყვე-
ტილებაში მიუთითეს, რომ: „თუ მხარე ხელშეკრულების დადების დროს
ვალდებულებებს იღებს, მოვალეა კარგად შეასრულოს ისინი გარდაუვალი
აუცილებლობით გამონვეული შემთხვევითობების მიუხედავად, რადგან ამის
გათვალისწინება ხელშეკრულებაში შესაძლებელი იყო“. აქედან შეიძლება
დავასკვნათ, რომ ინგლისის სასამართლოები მოვალეს საშუალებას არ
აძლევენ გადაუხვიონ ხელშეკრულების პირობებს, მხარეებს მიუთითებენ,
რომ ნებისმიერი შემთხვევა ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ დათქმის
სახით.²⁶¹

რესტიტუციის ვალდებულების არ შესრულებისას მხარეს ზიანის
ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელე-
ბული საშუალება ხელშეკრულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურების
ფულადი კომპენსაციაა, როდესაც დარღვევისას მხარეს უნაზღაურდება მე-
ორე მხარის მიერ მიყენებული ზიანი და სხვა ხარჯები.²⁶² მაგალითად თუ
დამსაქმებელი დასაქმებულს გაათავისუფლებს უსამართლოდ, გათავისუფ-
ლებულ თანამშრომელს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების დარღვევის
შედეგად მიუღებელი ანაზღაურების დაბრუნება.²⁶³

²⁶⁰ იქვე, § 254

²⁶¹ კოტცი ჰ., ცვაიგერტი კ., ტ. II. დასახელებული ნაშრომი გვ. 199

²⁶² იხ: Clarke P. Breach-of-contract. www.legalmatch.com (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 11.05.2017)

²⁶³ Crystal G. Internet Article_Breach of contract. www.contrancsandagreements.co.uk (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 11.05.2017)

სსკ-ის 352.5 მუხლის დანაწესის თანახმად²⁶⁴ (გსკ-ით ანალოგია მუხლი 325²⁶⁵) ხელშეკრულებიდან გასვლისას რესტიტუციის განხორციელება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას არ გამოირიცხავს და მათი კომბინაცია შესაძლებელია.²⁶⁶ ხელშეკრულებიდან გასვლა და ზიანის ანაზღაურება ორივე მეორეული მოთხოვნის უფლებებია და მათი ერთად გამოყენება შესაძლოა, თუ ზიანის ანაზღაურების წინაპირობები სახეზეა.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ მაშინ თუ კრედიტორს ვალდებულების ბრალეულად დარღვევით ზარალი მიადგა. ზიანის ანაზღაურება თანხის იმ ოდენობით ხდება, რაც ზიანის ანაზღაურებისათვისაა საკმარისი.²⁶⁷

ზიანის ანაზღაურების დანესებისას ბრალის არსებობის აუცილებლობაზე საუბარია PECL-ის მუხლი 9:501.1 (ძვ. 4.501)– ში:²⁶⁸ „დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის შეუსრულებლობით გამონვეული არასაპატიო ზიანის ანაზღაურება“.²⁶⁹ იქვე მოცემულია ზიანის თუ რა შემთხვევები შეიძლება იქნეს გათვალისწინებული: ესაა მორალური ზიანი და ზიანი, რომელიც შეიძლება მომავალში დადგეს.

ხელშეკრულების დადებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მიზანი მოსალოდნელი სარგებლის ანაზღაურებაა.²⁷⁰

²⁶⁴ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 352.5

²⁶⁵ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 325

²⁶⁶ ბერიშვილი ქ. ინტერნეტ სტატია – ხელშეკრულების შეწყვეტა VS ხელშეკრულებიდან გასვლა ქართული კანონმდებლობისა და ევროპის სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით. www.legalclinic.iliauni.edu.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 29.04.2017)

²⁶⁷ იხ: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი. თბ., 2014. გვ. 516

²⁶⁸ იხ: The Principles Of European Contract Law. (part I, II, III.) 2002. ხელმისაწვდომია www.jus.uio.no/lm/eu (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.04.2017)

²⁶⁹ PECL-9:501.1 (4.501)– „(1) The aggrieved party is entitled to damages for loss caused by the other party's nonperformance which is not excused under Article 8:108. (2) The loss for which damages are recoverable includes: (a) non-pecuniary loss; and (b) future loss which is reasonably likely to occur.“

²⁷⁰ მაჭარაძე მ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 143

გსკ-ის 346.1 მუხლი²⁷¹ მხარეებს უფლებას ანიჭებს ხელშეკრულებიდან გავიდნენ, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ დაარღვია იგი, ან იყო თუ არა დამრღვევი მხარე ბრალეული, ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ფულადი კომპენსაციის ვალდებულებას ნებისმიერი მხარისთვის აწესებს იმის განურჩევლად ნივთის განადგურება ან ვალდებულების შეუსრულებლობა ვის გამო მოხდა.

ბრიტანელი იურისტი პიტერ კლარკი თავის ნაშრომში „ხელშეკრულების დარღვევა“ კონტრაქტის დარღვევისათვის სასამართლო დაცვის მექანიზმებზე საუბრობს. მისი თქმით: ზოგიერთი კონტრაქტის დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურება შეიძლება ადეკვატური მოთხოვნა არ იყოს, ან კანონი არ ითვალისწინებდეს. ასეთ შემთხვევებში, სასამართლომ შესაძლოა „სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებს მიმართოს“. სამართლიან საშუალებებად ავტორი მიიჩნევს:

1. კონკრეტულ, განსაკუთრებულ შესრულებას (Specific performance), რომლის დროსაც სასამართლოს შეუძლია დამრღვევი მხარისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება მოითხოვოს.

2. გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებას (Rescission) სასამართლოს მხარეებისაგან შეუძლია მოითხოვოს ისეთი შესრულება, თითქოს ხელშეკრულება არასდროს არსებობდა. თუ ერთი მხარის მიერ ხელშეკრულება შესრულებულია, სასამართლო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ის მხარე ჩააყენოს იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი ხელშეკრულების დადებამდე იმყოფებოდა.²⁷² (საქართველოს კანონმდებლობის მაგალითზე ეს წესი ორმხრივი რესტიტუციის პრინციპია).

რესტიტუციის პრინციპის განხორციელებისას ხელშეკრულების საგნის დაბრუნებისას არსებული ფასთა სხვაობის არსებობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

²⁷¹ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 346.1

²⁷² Clarke P. დასახელებული ნაშრომი

(საქმე № ას-546-518-2015)²⁷³ განმარტა, რომ „სამოქალაქო კოდექსი აბსტრაქტული ზიანის ანაზღაურებას არ ითვალისწინებს და ნივთის ბუნებრივი ცვვითა არ შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა იყოს“.

ზიანი და რესტიტუცია რა თქმა უნდა სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტებია. პირველი არ ანაზღაურდება მეორეს საფუძველზე. ამ უკანასკნელის მიზანია მოპასუხეს ჩამოერთვას სარგებელი, რომელიც მიღებულია მოსარჩელის ხარჯზე. „რესტიტუცია“ და „ჯარიმაც“ (disgorgement) განსხვავდება ერთმანეთისაგან. ორივე რათქმაუნდა ეხება მოსარჩელის ქონების დაქვითვას. ის რაც მხარემ უნდა გადაიხადოს ზიანის ასანაზღაურებლად ჯარიმაა, ხოლო ის რასაც მხარე იხდის მოგების სარგებლიდან - რესტიტუცია.²⁷⁴

ფრანკ-ის 1147 მუხლის დისპოზიციის თანახმად,²⁷⁵ მოვალე ხელშეკრულების დარღვევისას ვალდებულია ზიანი აანაზღაუროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ მას ამაში ხელი შეუშალა „გარე მისგან დამოუკიდებელმა მიზეზებმა“, ფრანკ-ის 1148 მუხლი²⁷⁶ კი მოვალეს ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურებისაგან „ფორს მაჯორის“, ან „გაუთვალისწინებელ შემთხვევაში“. თუმცა კოდექსი არ აკონკრეტებს და სასამართლო პრაქტიკის გადასაწყვეტია როგორ განისაზღვრება ეს სამი ცნება „გარე მიზეზები“, „ფორს მაჯორი“ და „გაუთვალისწინებელი შემთხვევა“.²⁷⁷

აშშ-ში სასამართლოები დაუდევრად და ამიტომ ბრალეულად მიიჩნევენ ისეთ მოქმედებას, როდესაც მოპასუხეს შეეძლო, მაგრამ არ მიიღო ზო-

²⁷³საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. საქმე № ას-546-518-2015, თარიღი: 10.09.2015. ხელმისაწვდომია <http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 23.04.2017)

²⁷⁴ Marquesinis B. Unberath H, Johnston A. დასახელებული ნაშრომი, გვ. 443

²⁷⁵ Civil code (france). 1804. ხელმისაწვდომია www.lexinter.net მუხლი 1147

²⁷⁶ იქვე, მუხლი 1148

²⁷⁷ კოტცი ჰ., ცვაიგერტი კ. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტ I. თბ., 2000. გვ. 100

მეტი ზიანის ასაცილებლად და როდესაც ამ ღონისძიებების ხარჯი ბევრად მცირე იქნებოდა, ვიდრე მიყენებული ზიანისა.²⁷⁸

²⁷⁸ იქვე, გვ. 268

თავი 4. ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი

4.1. ხელშეკრულების მოშლის წინაპირობები

სსკ-ში არ გვაქვს ზოგადი ნორმა, რომელიც დაადგენდა ხელშეკრულების მოშლის უფლების შეზღუდვის თაობაზე შეთანხმების დაუშვებლობას. იმ შემთხვევაში თუ მოშლის უფლების შეზღუდვაზე სპეციალური აკრძალვა არ გვაქვს, ამ საკითხზე შეთანხმება დასაშვებია როგორც ეს ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაშია ნებადართული.

ხელშეკრულების მოშლის წინაპირობა შეიძლება იყოს ხელშეკრულებით დათქმული (ან კანონით პირდაპირ მითითებული) ვადის გასვლა. თუ ვადა არ არის დადგენილი ერთ-ერთი მხარის მიერ განცხადების წარდგენით - რეგულარული მოშლის გზით, ან ვადამდე პატივსადები საფუძვლის არსებობისას არარეგულარული მოშლის გზით. პატივსადები ინტერესი როგორც ხელშეკრულების მოშლის ისე ტრანსფორმაციის საფუძველია. ინტერესს კი განსაზღვრავს როგორც შესრულების პროცესი ისე მის გარეთ არსებული გარემოებანი.²⁷⁹

4.1.1. პატივსადები საფუძვლის არსებობა

გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში დაწესებულ სპეციალურ ვადებს პატივსადები საფუძველის არსებობა აბათილებს და ვადის დაუცველად ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას იძლევა. ხელშეკრულების ვადამდე მოშლის პატივსადები საფუძველი შეიძლება იყოს მაგალითად დაუძლეველი ძალა. აქაც საუბარია ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიცემული ვადის უშედეგო გასვლაზე და უშედეგო გაფრთხილებებზე. ესა თუ ის შემთხვევა მიეკუთვნება თუ არა პატივსადები საფუძველს განსაზღვრავს სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით. პატივსადები საფუძ-

²⁷⁹ ზოიძე ბ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 300

ველზე განსხვავებული მოსაზრებაა სსკ-ის კომენტარებში.²⁸⁰ აქ აღიარებულია პატივსადები საფუძვლის არსებობა როგორც ხელშეკრულების მოშლის წინაპირობა ისე მისი არ მოშლის მიზეზი. მაგალითად: თუ დამქირავებელს აქვს პატივსადები საფუძველი იმის დასადასტურებლად, რომ არ მოიშალოს ხელშეკრულება, ხელშეკრულება არ მოიშლება. რომელი მხარის საფუძველი უფრო პატივსადებია და შესაბამისად გასათვალისწინებელი ამას სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვისას წყვეტს. თუ ერთის მხრივ მინის ნაკვეთი სასიცოცხლოდ აუცილებელია მოიჯარის მეურნეობის შესანარჩუნებლად და იჯარის ხელშეკრულების მოშლა, თუნდაც ხელშეკრულების შესაბამისად, მისი და მისი ოჯახისათვის იმდენად მტკივნეულია, რომ მას არ აქვს გამართლება თვით მეიჯარის პატივსადები ინტერესებითაც კი, მაშინ მოიჯარის პატივსადები ინტერესი ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე მეიჯარის პატივსადები ინტერესს აბათილებს ხელშეკრულების მოშლის შესახებ.²⁸¹

4.1.2. ვალდებულების დარღვევა

მოშლისათვის აუცილებელია პატივსადები საფუძვლის არსებობა, თუმცა შეიძლება საფუძველი ვალდებულების დარღვევაც იყოს, უფრო სწორად ვალდებულების დარღვევის გამოსწორებისათვის მიცემული ვადის უშედეგოდ გასვლა ან უშედეგო გაფრთხილება.

სსკ. ადგენს, რომ მხარეს შეუძლია გონივრულ ვადაში მოშალოს ხელშეკრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარის უფლებაა, ხელშეკრულების მოშლის შესახებ, ხელშეკრულების მოშლის საფუძვლის შეტყობინების მომენტიდან გონივრულ ვადაში განაცხადოს. არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული დანაწესი არ არის აქტუალური ხელშეკრულების მოშლის იმ შემთხვევაში, როცა მისი საფუძველი შეუსრულებლობაა, სსკ-ის 399.2-ე

²⁸⁰ იხ: ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. დასახელებული ნაშრომი, გვ. 412-413

²⁸¹ მაჭარაძე მ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 148

მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მოშლას წინ უნდა უძლოდეს ნაკლის აღმოფხვრისათვის გაფრთხილება ან დამატებითი ვადის დაწესება. ხელშეკრულების მოშლის შესახებ გადაწყვეტილების გონივრულ დროში გაცხადება აუცილებელია, რასაც ადგენს როგორც გსკ-ის 314.3-ე მუხლი,²⁸² ისე სსკ-ის 399.3-ე მუხლი, რაც დაცული უნდა იყოს ხელშეკრულების ნებისმიერი სამართლებრივი საფუძვლით მოშლის შემთხვევაში.²⁸³

ხელშეკრულების მოშლის დროს, მოშლის ინიციატივა ერთ-ერთი მხარის მიერაა ინიცირებული, შესაბამისად ეს ინიციატივა სწორედ მისი ინტერესიდან გამომდინარეობს, თუმცა კოდექსის თანახმად ხელშეკრულების მოშლა უნდა მოხდეს ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით რაც იმას ნიშნავს, რომ ინიციატორის ინტერესების დაცვით არ უნდა შეილახოს მეორე მხარის ინტერესები.

4.1.3. დამატებითი ვადის დაწესება/გაფრთხილება

გსკ. ითვალისწინებს საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის უფლებას. ეს არის უჩვეულო მოშლა (ausserordentliche Kündigung aus wichtigem Grunde). ეს მუხლი პრეტორიანული სამართლის მთავარი პრინციპების (Praetorian general principle) კოდიფიკაციის შედეგია.²⁸⁴ ქართული კანონმდებლობის თანახმად ვალდებულების დარღვევისას პატივსადები საფუძვლის არსებობისას განისაზღვრება დამატებითი ვადა. გსკ-ის 314.2-ე მუხლის მიხედვით კი მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას განისაზღვრება ვადა და არა ვალდებულების დარღვევისას.²⁸⁵

განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებებს ცალკე ადგილი აქვთ დათმობილი ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში. ავსტრიის,

²⁸² გსკ. (ქართული თარგმანი – ზ. ჭეჭელაშვილი) დასახელებული ნაშრომი, მუხლი 314.3

²⁸³ ფიფია ა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 118

²⁸⁴ GUIDING PRINCIPLES OF EUROPEAN CONTRACT LAW. pp. 24 ხელმისაწვდომია www.legiscompare.fr/web/IMG/pdf/19 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 26.04.2017)

²⁸⁵ კროპპოლერი ი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 219

ბელგიის, ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი და ევროპის სახელმძღვანელო პრინციპები აღიარებენ, რომ უვადო ხელშეკრულების შემთხვევაში ცალმხრივად ხელშეკრულების მოშლა ნებადართულია. სამართლებრივი ნორმების დაცვა ხდება გაფრთხილების შესახებ შეტყობინებით. ტექსტის არ არსებობის შემთხვევაში პრეცედენტული სამართალი ერევა და მოითხოვს შეტყობინებების გზით მხარეებისაგან გაფრთხილების გონივრულ ვადას. ამის გარდა ფრანგული პრეცედენტული სამართალი მოითხოვს, რომ მოშლა არ იყოს ბოროტად გამოყენებული. ეს ფაქტი იქნა აღიარებული 1999 წლის ნოემბერში საკონსტიტუციო საბჭოს (conseil constitutionnel) გადაწყვეტილებით (სამოქალაქო სოლიდარობის პაქტები - Pacs (Pactes civil de solidarité)).²⁸⁶

ესპანურ სამართალში პრეცედენტული სამართალი უშვებს ცალმხრივად ხელშეკრულების მოშლას, როდესაც ხელშეკრულების გაფორმება ხდება ხანგრძლივობის დადგენის გარეშე. ესპანელი იურისტების აზრით ცალმხრივი უფლებების გამოყენება და ხელშეკრულების მოშლა უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში კეთილსინდისიერებასთან, რაც თავის მხრივ გულისხმობს შეტყობინების ვადას.²⁸⁷

ჰოლანდიური კანონი ამ საკითხს სხვაგვარად განიხილავს, კანონის თანახმად: რაიმე სამართლებრივი ან სახელშეკრულებო უზრუნველყოფის არარსებობის შემთხვევაში უვადო ხელშეკრულების მოშლა გაურკვეველია და კითხვის ნიშნის ქვეშაა საკმარისია თუ არა მისთვის საფუძვლიანი გაფრთხილება. მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს მოხდა თუ არა ხელშეკრულების მოშლა გაუთვალისწინებელი გარემოებებით (termination for unforeseen circumstances) და მოხდეს თუ არა ხელშეკრულების მოშლა შეტყობინების ვადის დაცვით.²⁸⁸

²⁸⁶ GUIDING PRINCIPLES OF EUROPEAN CONTRACT LAW. დასახელებული ნაშრომი, pp. 23-24

²⁸⁷ იქვე, გვ. 25

²⁸⁸ იქვე, გვ. 25

4.2. ხელშეკრულების მოშლის ვადები ცალკეული ხელშეკრულების მაგალითზე (ქირაფლობა, იჯარა, ლიზინგი, დაზღვევა, საკრედიტო ხელშეკრულება, სამისდრეშო რჩენა)

სსკ-ით არ არის დადგენილი ხელშეკრულების მოშლის ზოგადი ვადა, იგი სხვადასხვა მუხლებშია გათვალისწინებული და ცალკეული ხელშეკრულებებისათვის განსხვავებულია.

ამერიკელი პროფესორი სტივენ ბურტონი მიუთითებს: ხელშეკრულების მოშლა ზოგადად გულისხმობს, რომ თითოეულ მხარეს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ნებისმიერ დროს, ერთი წლის ვადის დაცვით. არსებობს გამონაკლისები ფორს მაჟორული მოვლენებისა და დაუძლეველი სიტუაციების დროს.²⁸⁹ ხოლო ნებისმიერი მიზეზით 2 წლის შემდეგ.²⁹⁰

სახელშეკრულებო ურთიერთობა შეიძლება დაიდოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. პირველი ეს ის შემთხვევაა როდესაც ხელშეკრულებაში პირდაპირ ან ირიბად განსაზღვრულია მისი შესრულების ვადები. ამ დროს სახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულებულია მხარეთა მიერ მითითებული ვადის გასვლისთანავე, ხოლო მეორე შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება კანონით დადგენილი მოშლის ვადის დაცვით. მაგალითად თუ დადგენილია ხელშეკრულებოს მოშლის ვადა, მაშინ მხარეს უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება, ამის შესახებ შეტყობინებიდან კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. თუმცა პატივსადები საფუძვლების არსებობისას მხარე უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება სპეციალური ვადის დაუცველადაც, სსკ-ის სამართლებრივ ფარგლებში. განვიხილოთ ზოგიერთი გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების მოშლის ვადები.

ყველაზე გავრცელებული გრძელვადიანი ურთიერთობაა ქირაფლობის

²⁸⁹ Burton S. Elements of Contract Interpretation. New York. 2009. pp. 14. ხელმისაწვდომია www.twirpx.com (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.05.2017)

²⁹⁰ იქვე, გვ. 164

ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. სსკ-ის 561-ე მუხლის²⁹¹ დისპოზიციის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა სამ თვეს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეს უფლება აქვს მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება, ამის შესახებ შეტყობინებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ. ხოლო პატივსადები საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება აღნიშნული სამი თვის ვადის დაუცველად სსკ-ის 399-ე მუხლის²⁹² სამართლებრივ ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლის განსაკუთრებული უფლება წარმოიძობა, ისე რომ საჭირო აღარ არის მოშლისათვის კანონით განსაზღვრული სპეციალური ვადის დაცვა.

დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, 405.1 მუხლის თანახმად: დამქირავებელს უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება. თუმცა, ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი ითვალისწინებს ზოგად ნორმას (სსკ. მუხლი 542), რომლის მიხედვითაც, თუ არსებობს პატივსადები საფუძველი, დამქირავებელს შეუძლია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება ვადის დაცვის გარეშე.²⁹³ ამ მუხლის ზუსტ ანალოგს ითვალისწინებს გსკ-ის 569.1-ე მუხლი²⁹⁴.

ხელშეკრულების მოშლის ვადა განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა საფუძველი აქვს ხელშეკრულების მოშლას. ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის უფლება აქვს როგორც დამქირავებელს, ისე გამქირავებელს. დამქირავებლის უფლება მოშალოს ხელშეკრულება წარმოიძობა თუ:

- დაქირავებული ფართის გამოყენება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას (სსკ-ის 542-ე მუხლი²⁹⁵);

- თუ დამქირავებელი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს ამის შესახებ გამქირავებელს და შესთავაზებს მას გადახდისუნარიან და მისაღებ

²⁹¹ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 561

²⁹² იქვე, მუხლი 399

²⁹³ ბილინგი ჰ. ლუტრინგჰაუსი ჰ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 21-22

²⁹⁴ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 569.1

²⁹⁵ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 542

დამქირავებელს, რომელიც თანახმა იქნება ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქირავებელი (სსკ-ის 555-ე მუხლი²⁹⁶).

გამქირავებლის უფლება მოშალოს ხელშეკრულება წარმოიშობა:

- თუ დამქირავებელი, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას (სსკ-ის 557-ე მუხლი²⁹⁷);

- თუ დამქირავებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში. (სსკ-ის 558-ე მუხლი²⁹⁸). გსკ. ამ შემთხვევაშიც აკონკრეტებს და მიუთითებს, რომ ვადის დაუცველად ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია თუ: ა) დამქირავებელი გადააცილებს ქირის მთლიან ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდის ორ ვადას ან ბ) დროის იმ მონაკვეთში, რომელიც მოიცავს ორზე მეტ ვადას, გადააცილა ქირის გადახდას ორი თვის ქირის თანხის ოდენობით (გსკ-ის 543.3-ე მუხლი²⁹⁹).

სსკ-ის 562.3-ე მუხლი ითვალისწინებს ნორმას, რომელიც ვფიქრობთ ძალზედ არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს ავეჯიანი ბინის დამქირავებლებს. მუხლის დისპოზიციის თანახმად: საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ პატივსაღებ მიზეზად გამქირავებლის მხრიდან ითვლება თუ ბინა ავეჯით განწყობილია.

გსკ. უფრო ართულებს ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადას სსკ-ის 562-ე მუხლი გსკ-ის 573.C.1 მუხლის ანალოგიაა, რომლის დისპოზიციის თანახმად: ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე სამუშაო დღიდან მომდევნო თვის ბოლომდე. ხელშეკრულების მოშლის ვადა საცხოვრებელი ფართის დამქირავებლი-

²⁹⁶ იქვე, მუხლი 555

²⁹⁷ იქვე, მუხლი 557

²⁹⁸ იქვე, მუხლი 558

²⁹⁹ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de § 543.1

სათვის გადაცემიდან ხუთი-რვა წლის გასვლის შემდეგ გამჭირავებლისათვის შეადგენს სამ თვეს.³⁰⁰

10 წელზე მეტი ვადით დადებული ქირავნოვების ხელშეკრულების მოშლის ვადებთან დაკავშირებით სსკ-ში არაერთგვაროვანი მუხლებია. არსებობს სსკ-ის 612.2-ე მუხლი³⁰¹, რომელიც ადგენს ერთ წლიან ვადას ზოგადად 10 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. თუმცა სსკ-ის 570-ე მუხლის³⁰² დისპოზიციის თანახმად: 3 თვიანი ვადა მოქმედებს 10 წელზე მეტი ვადით დადებულ ქირავნოვების ხელშეკრულების მოშლისას.

განსხვავებით სსკ-ისაგან, რომელითაც მოწესრიგებულია 10 წელზე მეტი ვადით დადებული ქირავნოვების ხელშეკრულებები გსკ-ით მოწესრიგებულია 30 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულებები (გსკ-ის 544-ე მუხლი). გსკ. აწესრიგებს სიცოცხლის ვადით დადებულ ქირავნოვების ხელშეკრულებებს, რომლის მოშლისათვის არ მოქმედებს მოშლის ზოგადი წესები (გსკ-ის 544-ე მუხლი).

მიწის ქირავნოვების ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით სსკ-ის 569-ე მუხლი შეიცავს იმპერატიულ ნორმას, რომლის თანახმადაც მიწის ნაკვეთის ქირავნოვების ხელშეკრულება ერთ წელზე მეტი ვადით უნდა გაფორმდეს და ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ ქირავნოვების პირველი წლის დამთავრების შემდეგ.

თუ მიწის ნაკვეთის ან უფლების იჯარისას განსაზღვრული არ არის იჯარის ვადა მაშინ ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ საიჯარო წლის ბოლოსათვის, კერძოდ საიჯარო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 1 თვისა (სსკ-ის 589-ე მუხლი³⁰³, გსკ. 584-ე მუხლი³⁰⁴). ხელშეკრულების მოშლის ეს პირობები გამოიყენება მაშინაც, როცა საიჯარო ურთიერთობა შეიძლება

³⁰⁰ Marquesinis B. Unberath H. Johnston A. დასახელებული ნაშრომი, pp. 150

³⁰¹ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 612.2

³⁰² იქვე, მუხლი 570

³⁰³ იქვე, მუხლი 589

³⁰⁴ BGB. 1984. ხელმისაწვდომია www.gesetze-im-internet.de

მოშალოს კანონით დადგენილ ვადაზე ადრე. თუ იჯარის ხელშეკრულება იდება ათ წელზე მეტი ვადით, მაშინ ათი წლის გასვლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს საიჯარო ურთიერთობა 3 თვის ვადაში. განსაზღვრული ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულებისას თუ მოიჯარე ქონებას უკან აბრუნებს, მოიჯარის მოთხოვნით შესაძლებელია ხელშეკრულების მოშლა ვადის დადგომამდე.

რფსკ-ის 610-ე მუხლის³⁰⁵ თანახმად ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, თუ 1 თვით ადრე ამის შესახებ გააფრთხილებს მოწინააღმდეგე მხარეს, ხოლო უძრავი ქონების იჯარისას 3 თვით ადრე. თუ იჯარის ხელშეკრულება არ შეწყდა ხელშეკრულებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულება ითვლება გაგრძელებულად და ასეთ დროს მასზე მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების წესები (განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების მოშლა ნებადართულია ამის შესახებ შეტყობინებიდან 3 თვის განმავლობაში).³⁰⁶

ეს ის კონკრეტული პირობებია, რომელიც განსაზღვრულია იჯარის ხელშეკრულებისათვის, დანარჩენ შემთხვევაში მოქმედებს ქირავნობის ხელშეკრულების ნორმები.

რფსკ-ის 619-ე და 620-ე მუხლების თანახმად იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივი მოშლა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში თუ:

- მოიჯარე იყენებს ქონებას ხელშეკრულების პირობების არსებითი დარღვევით, რასაც მოჰყვება ქონების დაზიანება (ამ შემთხვევას ადგენს სასამართლო);³⁰⁷
- 2-ჯერ ზედიზედ ირღვევა იჯარის ქირის გადახდა;
- ხელშეკრულების თანახმად ვერ ხორციელდება კაპიტალური რემონტის ჩატარება;

³⁰⁵ ГК РФ. 1996. ხელმისაწვდომია www.GARANT.ru

³⁰⁶ Брагинский М.И. Витрянский В.В. Договорное право. Книга вторая. М. 2004. ст. 245

³⁰⁷ Брагинский М.И. Витрянский В.В. Договорное право. Книга вторая. М. 2004. ст. 262

- მეიჯარე ვერ ანხორციელებს ქონების წარდგენას მოიჯარისათვის ან უქმნის დაბრკოლებას ქონების გამოყენებამდე;
- მოიჯარისათვის გადაცემულ ქონებას აქვს გამოყენებისათვის ხელშემშლელი ნაკლოვანებები, რომელიც არ იყო განხილული ხელშეკრულების დადებისას და აგრეთვე წინასწარ არ იყო აღმოჩენილი მისი დათვალიერების დროს;
- ქონება, რომელზეც მოიჯარე არ არის პასუხისმგებელი, გარემოებებიდან გამომდინარე აღმოჩნდება გამოყენებისათვის გამოუსადეგარი;
- როდესაც მოიჯარე აღარ საჭიროებს იჯარით აღებულ ფართს და სურს იჯარის ხელშეკრულების მოშლა, მაგრამ მეორე მხარე ამის წინააღმდეგია.

ხელშეკრულების მოშლას წინ უნდა უძღოდეს:

- მეიჯარის წერილობითი გაფრთხილება მოვალეობის დროულად შესრულებაზე;
- მოიჯარის მიერ საგადასახადო მოვალეობათა შეუსრულებლობა გაფრთხილების შემდგომ.

რფსკ-ის 619-ე და 620-ე მუხლებში³⁰⁸ მითითებული ვალდებულებები იჯარის ხელშეკრულების მხოლოდ ნეგატიურ მოვლენებთანაა დაკავშირებული: სურვილისამებრ იჯარის ხელშეკრულებაში შეაქვთ მხოლოდ კონკრეტული პირობები და გარემოებები, რომელზეც დაყრდნობით მხარეებს აქვთ უფლება ცალმხრივად უარი განაცხადონ ხელშეკრულების შესრულებაზე.³⁰⁹

იჯარით გადაცემული ქონების საკუთრების უფლების გადასვლა სხვა პირზე არ არის იჯარის ხელშეკრულების შეცვლის ან მოშლის საფუძველი.

³⁰⁸ ГК РФ. 1996. ხელმისაწვდომია www.GAPANT.ru

³⁰⁹ Юридические услуги в Москве. Статья: Односторонний отказ от исполнения, прекращения и расторжения договора аренды. 2010. ხელმისაწვდომია <http://www.mosuruslugi.ru/articles/216/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.05.2017)

საქმეზე № 08-3945/01 სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ რუსკ-ის 451-ე მუხლის³¹⁰ თანახმად დააკმაყოფილა მოთხოვნა, მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების ვადამდელი მოშლის შესახებ. ხელშეკრულების ვადამდელი მოშლა გამონვეული იყო გარემოებათა არსებითი ცვლილებით. მეიჯარემ დაკარგა საკუთრების უფლება გადაცემულ მიწაზე. საკასაციო ინსტანციის სასამართლო ამ შედეგებს არ დაეთანხმა და მიუთითა, რომ რუსკ-ის 617.1-ე მუხლის თანახმად სხვა პირისათვის საკუთრების უფლების იჯარით გადაცემა არ არის იჯარის ხელშეკრულების მოშლის საბაბი.³¹¹

ზოგადად განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს ნებისმიერ დროს, თუმცა იჯარის ხელშეკრულების დროს ეს ნორმა არ არის გამართლებული. ეს წესები მოქმედებდა რომაულ სამართალში მაშინ, როდესაც არ იყო ცნობილი შეტყობინების ინსტიტუტი, თუმცა თანამედროვე წესების თანახმად არსებობს ეს ინსტიტუტი, რომელიც გონივრულ მოვალეობას ითვალისწინებს, მოიჯარეს უნდა შეეძლოს ისარგებლოს ქონებით მინიმუმ ერთი წლით, ასე ვთქვათ მეურნეობის ერთი ციკლით (one farming cycle).³¹²

ლიზინგის ხელშეკრულების მოშლის უფლება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ როდესაც ლიზინგის მიმღები არსებითად არღვევს თავის ვალდებულებებს (სსკ-ის 579-ე მუხლი³¹³). ლიზინგის მიმღებს არ აქვს უფლება, მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება მას შემდეგ, რაც ლიზინგის საგანს მიიღებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ვეღარ ანხორციელებს მფლობელობას ლიზინგის საგანზე ან მფლობელობის უფლება შეიზღუდა იმ პირის მიერ,

³¹⁰ГК РФ. 1996. ხელმისაწვდომია www.GARANT.ru

³¹¹ Рыжков Ю.В. Махненко. Р.Н. Статья: Некоторые вопросы изменения и расторжения договора в практике Федерального арбитражного суда Северо-Кавказского округа. Журнал „Вестник Федерального арбитражного суда Северо-Кавказского округа“, № 6, ноябрь-декабрь 2003. ხელმისაწვდომია <http://fassko.arbitr.ru/novosti/vestnik/archive/14341.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.05.2017)

³¹² Zimmermann R. The Law of Obligations. (Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract), Oxford. 1996, გვ. 357-358

³¹³ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge

რომელსაც უპირატესი უფლება აქვს ქონებაზე და თუკი ეს უფლება ან პრეტენზიები გამომდინარეობს ლიზინგის გამცემის ბრალეული ქმედებიდან. სხვა შემთხვევაში, როდესაც ლიზინგის გამცემი არსებითად არღვევს თავის ვალდებულებებს, ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და არა ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა (სსკ-ის 580⁵-ე მუხლი).

სსკ-ის 811-ე და 813-ე მუხლების დისპოზიციის თანახმად: სადაზღვეო ხელშეკრულებისას ინფორმაციის შეუტყობინებლობიდან ერთი თვის განმავლობაში მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება. ვადა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მზღვეველმა გაიგო შეტყობინების მოვალეობის დარღვევის თაობაზე. აგრეთვე სსკ-ის 818-ე მუხლის დისპოზიციის თანახმად: დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება მოშალოს მზღვეველმა დამზღვევის გაფრთხილების ერთთვიანი ვადის დაცვით იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი დაარღვევს სადაზღვეო შესატანის გადახდის ვალდებულებას.³¹⁴ სსკ-ის 835-ე მუხლის³¹⁵ დისპოზიციის თანახმად: დაზღვევის ხელშეკრულების დროს ქონების გასხვისებისას ერთთვიანი ვადის დაცვით მზღვეველს შეუძლია მოშალოს დაზღვევის ხელშეკრულება შემძენთან (ახალ დამზღვევთან).

სსკ-ის 807-ე მუხლის³¹⁶ დისპოზიციის თანახმად: დაზღვევის ხელშეკრულებაში თუ მზღვეველმა მნიშვნელოვნად გაადიდა სადაზღვეო შესატანი, მაშინ დამზღვევს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ერთთვიანი ვადის დაცვით.

დამზღვევმა ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს უნდა შეატყობინოს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომლებსაც არსებითი³¹⁷ მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის

³¹⁴ ცისკაძე მ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი IV, ტომი II, დასახელებული ნაშრომი, გვ. 139

³¹⁵ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge

³¹⁶ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge

³¹⁷ არსებითია ის გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მზღვეველის გადანყვეტილებაზე, მოშალოს ხელშეკრულება, ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით. არსებითად ჩათვლება ასევე გარემოება, რომლის შესახებაც მზღვეველი წერილობით შეეკითხება დამზღვევს გარკვევით და არაორაზროვნად

დადგომისათვის. თუ მზღვეველს არ ეცნობა, ან არასწორი ინფორმაცია მიეწოდა ანდა დამზღვევმა განზრახ აარიდა თავი ინფორმაციის მიწოდებას, არსებითი გარემოების შესახებ, მაშინ მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება. მაგრამ არა იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველმა იცოდა დათარულ გარემოებათა შესახებ, ან დამზღვევს არ მიუძღვის ბრალი მათ შეუტყობინებლობაში. ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემების უზუსტობა მზღვეველისათვის ცნობილი იყო, ანდა თუ დამზღვევს ბრალი არ მიუძღვის არასწორ მონაცემთა მიწოდებაში. ამ მონაცემების შეტყობინებიდან ერთი თვის განმავლობაში მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება.

საკრედიტო ხელშეკრულებისას ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს ერთ თვეს, თუ განსაზღვრული პერიოდისათვის, კრედიტისათვის შეთანხმებულია მყარი საპროცენტო განაკვეთი. ამ შემთხვევაში კრედიტის ამღებს შეუძლია მოშალოს საკრედიტო ხელშეკრულება, თუკი საპროცენტო ვალდებულება მთავრდება დაბრუნებისათვის განსაზღვრულ ვადამდე და ამასთან საპროცენტო განაკვეთის შესახებ რაიმე ახალი შეთანხმება არ არის დადებული. თუ კრედიტის ამღები მომხმარებელია და ამასთან კრედიტი არ არის უზრუნველყოფილი იპოთეკით, მაშინ მოშლის უფლება წარმოიშობა კრედიტის აღებიდან ექვსი თვის შემდეგ და მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს. ათი წლის გასვლის შემდეგ მოშლის უფლება არსებობს ნებისმიერ შემთხვევაში და მისი ვადა შეადგენს ექვს თვეს. მოვალეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოშალოს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით აღებული სესხი, მოშლის სამთვიანი ვადის დაცვით. კრედიტის გამცემს შეუძლია მოშალოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას და ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

სსკ-ის 949-ე მუხლის³¹⁸ დისპოზიციის თანახმად მარჩენალს და სარჩენს თანაბარი უფლებები გააჩნიათ მოშალონ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ან/და სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას. გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების მოშლისას უბრუნდება სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების მოშლამდე განეული ხარჯები მარჩენალს არ უნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4.3. რესტიტუციის დასაშვებობა ხელშეკრულების მოშლისას

ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეჟიმი იგივე მიზანს ემსახურება, რასაც ხელშეკრულებიდან გასვლისა, თუმცა საბოლოო სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით მათ შორის განსხვავება მნიშვნელოვანია. გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგი თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის სახით გამართლებული არც ერთი მხარისთვის არ არის. ხელშეკრულების მოშლას ეფექტი აქვს მხოლოდ მომავალში შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ. ხელშეკრულების მოშლა არ იწვევს მხარეების მიერ უკვე მიღებული სარგებელის დაბრუნებას. სამართლებრივი შედეგი მოშლის მომენტისას დგება და არა დადებისას.³¹⁹

ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი: როცა ხელშეკრულების მოშლის შედეგად უკვე შესრულებული არანაირად აღარ არის საინტერესო უფლებამოსილი პირისათვის, მაშინ სსკ-ის 399.4-ე მუხლის³²⁰ დისპოზიციის თანახმად ხელშეკრულების მოშლა ამ შესრულებაზე შეიძლება გავრცელდეს. გამოდის, რომ თუ უკვე შესრულებული აღარ აინტერესებს უფლებამოსილ პირს ხელშეკრულების მოშლასაც შეიძლება მიეცეს უკუძალა ე.ი.

³¹⁸ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge

³¹⁹ ჭეჭელაშვილი ზ. სახელშეკრულებო სამართალი, თბ., 2014, გვ. 126

³²⁰ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge

შეიძლება ჰქონდეს ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები. კერძოდ, თუ ხელშეკრულების მოშლას აქვს უკუძალა, შესრულება დაბრუნდება ნატურით. ე.ი. განხორციელდება რესტიტუციის პრინციპი.³²¹ აქვე მივუთითებთ, რომ გსკ-ის შემქმნელებმა არ ჩათვალეს საჭიროდ მსგავსი ნორმა გაეთვალისწინებინათ თავიანთ კოდექსში (სსკ-ის მუხლი 399.4³²²) და ეს საკითხი გერმანიის სამართალში პრაქტიკის მონესრიგების საგანია.³²³

ამდენად, ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივ რეჟიმში თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხორციელდება. მაგალითად: ა-მ ბ-სთან გაათვორმა ხანგრძლივი ხელშეკრულება გარკვეული პირობით თუმცა პირობის ნაწილობრივ შესრულების შემდეგ ბ-მ შეიცვალა თავისი პროფილი და ის პირობა მისთვის უკვე უინტერესო და გამოუსადეგარი გახდა, უკვე შესრულებული და შეუსრულებელი პირობაც მას აღარ აინტერესებდა. ამ შემთხვევაში, თუკი შესრულებული პირობა ბ-ს მიერ დაბრუნებადია, შეიძლება მთლიან პირობასთან ერთად, ხელშეკრულების მოშლის პირობები მასზეც გავრცელდეს.³²⁴

4.4. ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების მოშლისას

სსკ-ის 361.2-ე მუხლის³²⁵ დისპოზიციის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამონვეული ზიანის ანაზღაურება. ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი ზიანისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც.

მიუღებლად ითვლება ის სავარაუდო შემოსავალი რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრუ-

³²¹ მაჭარაძე მ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 149

³²² სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge

³²³ იხ: Kotz H. Flessner A. Weir T. European Contract Law, Vol. 1, 1997

³²⁴ მაჭარაძე მ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 158

³²⁵ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 361.2

ლებულიყო. მისი დადგენისათვის აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი წინაპირობები შემოიფარგლება კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობებით და დამოკიდებულია ამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემოსავლის მიღების ალბათობაზე.

სსკ-ის 415-ე მუხლის³²⁶ დისპოზიციის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამ, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ზიანის მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, უფრო მეტად, რომელი მხარის ბრალითაა გამომწვეული ზიანი.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს საკასაციო სასამართლოს განმარტება, სსკ-ის 415-ე მუხლი³²⁷ განსაზღვრავს ვითარებას, როდესაც: „ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი წარმოადგენს როგორც მოვალის, ისე დაზარალებულის ერთობლივი მოქმედების განუყოფელ შედეგს, ამასთან, ზიანის შეფასებისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით“.³²⁸

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს იმ გარემოებაზე, ექვემდებარება თუ არა მიუღებელი შემოსავალი ანაზღაურებას და თუ ექვემდებარება, რა ოდენობით, ამასთან, შეეძლო თუ არა მოსარჩელეს თავიდან აეცილებინა ან შეემცილებინა მისთვის მიყენებული ზიანი, მხარეთა ბრალეულობა, მიზეზობრივი კავშირი მიყენებულ ზიანსა და დამდგარ შედეგს შორის. უნდა განისაზღვროს დაზარალებულის ბრალი გამოიხატებოდა თუ არა მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცილებინა ზიანი.

³²⁶ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge მუხლი 415

³²⁷ იქვე, მუხლი 415

³²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე № ბს-299-296(კ-11) 13.10.2011. „მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საფუძველი“. ხელმისაწვდომია <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/admin-2012-05-uni.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.04.2017)

ხელშეკრულების დადების საბოლოო მიზანია დაპირების შესრულება, თუ ეს დაპირება ვერ სრულდება მაშინ წარმოიშობა მისი იძულებითი წესით შესრულების უფლება, სწორედ ამ უფლების განხორციელების საშუალებაა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ე. ი. ხელშეკრულების მოშლა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას არ გამოიწვევს, უფრო მეტიც ხელშეკრულების დარღვევისას დაზარალებული მხარე დაინტერესებულია არა პირდაპირ ხელშეკრულების მოშლით, არამედ ზიანის ანაზღაურებით. თუმცა გსკ. ამის თაობაზე ზოგად წესს აყალიბებს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ მხარე ვერ დაამტკიცებს, რომ მას ამაში ხელი შეუშალა გარე, მისგან დამოუკიდებელმა მიზეზებმა. გსკ. მხარეს ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურებისაგან „ფორც მაჟორის“ და „გაუთვალისწინებელ“ შემთხვევაში. სსკ-ის 407-ე მუხლი³²⁹ მხოლოდ შეუსრულებლობით გამოწვეულ ზიანს უქვემდებარებს ანაზღაურებას, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი არა მხოლოდ შეუსრულებლობაა, არამედ სხვა პატივსადები გარემოებაც შეიძლება იყოს. მაშასადამე, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლისას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან განპირობებული ხელშეკრულების მოშლის დროს.

4.5. შრომითი ხელშეკრულების მოშლის პირობები

განვიხილოთ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და დარღვევადი სახელშეკრულებო ურთიერთობა _ შრომითი ხელშეკრულება.

შრომითი ხელშეკრულების მოშლის სხვადასხვა მიზეზები არსებობს, დასაქმებულის პენსიაზე გასვლა, სხვა უფრო ხელსაყრელი სამსახურის პოვნა, ხელშეკრულების ვადის ამოწურვა, სამსახურიდან გათავისუფლება და

³²⁹ სსკ. 1997. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge

სხვა. პირველი სამი მიზეზი დადებითია, ხოლო მეოთხე ინვესტს პრობლემებს.³³⁰

მოქალაქეები სასამართლოს უმეტესად, სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომ მიმართავენ. დავის საგანი, როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ შრომით დავებში, ყველაზე ხშირად, სამუშაო ადგილზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაა. აქვე აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში ასეთი სარჩელები არ არის დაკმაყოფილებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.

შრომითი ხელშეკრულება აწესრიგებს სხვა ხელშეკრულებისაგან განსხვავებულ ინსტიტუტს, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ შრომითი ურთიერთობებისათვის. ეს შრომითი ურთიერთობების შეჩერებაა. ეს ინსტიტუტი არ ნიშნავს ხელშეკრულების მოშლას. იგი დროებით შეჩერებაა, რომელიც ანაზღაურებადია თუ კონკრეტული შემთხვევისათვის კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შეჩერება შეიძლება გაგრძელდეს გონივრული ვადით. ვადის დენა იწყება მოთხოვნის წარდგენიდან და გაგრძელდება მის აღმოფხვრამდე. შეჩერების წინაპირობები პირდაპირაა მითითებული საქართველოს შრომის კოდექსის (შემდგომში-სშრკ) 36-ე მუხლში.³³¹

შრომითი ხელშეკრულება ერთ-ერთი გრძელვადიანი და პრობლემური სახელშეკრულებო ურთიერთობაა. შრომითი ურთიერთობისათვის მნიშვნელოვანია მისი სწორად მოშლა. მოშლის შედეგი ყოველთვის ერთი და იგივეა: _ მხარეები თავისუფლდებიან იმ უფლება-მოვალეობებისაგან, რაც ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. განსხვავება მხოლოდ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებშია. შრომითი ხელშეკრულების მოშლის

³³⁰Green Ch. Internet Article. Ways to Terminate Employment Contracts. ხელმისაწვდომია <http://smallbusiness.chron.com/ways-terminate-employment-contracts-1320.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-25.05.2017)

³³¹ სშრკ. 17.12.2010. ხელმისაწვდომია www.matsne.gov.ge/ka/document/view/1155567 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.05.2017)

დაშვებისა და დაუშვებლობის საფუძვლები იმპერატიულადაა ჩამოყალიბებული სშრკ-ის 37-ე მუხლში³³² და დაუშვებელია მისი სხვა მიზნით მოშლა.

სშრკ. ითვალისწინებს შეტყობინების ვალდებულებას. შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ დამსაქმებელი ვალდებულია, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გაათრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. თავის მხრივ დასაქმებული უფლებამოსილია, მოშალოს შრომითი ხელშეკრულება, საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე და ამის შესახებ არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გაათრთხილოს დამსაქმებელი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

რადგან შრომის ხელშეკრულება გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობაა აქ გამოიყენება ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტით გათვალისწინებული ნორმები. თამარ სურმაგას ნაშრომში „შრომითი ხელშეკრულების მოშლა“,³³³ ხელშეკრულებიდან გასვლის პირობებისა და რესტიტუციის პრინციპზე მითითება არასწორად მიგვაჩნია.

³³² იქვე

³³³ სურმაგა თ. დასახელებული ნაშრომი გვ. 71

თავი 5. ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი ვალაუვალობის (გაკოტრების) სამართალში

საქართველოს 2007 წლის კანონში „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“³³⁴ (შემდგომში-გაღკა) არაფერია ნათქვამი გადახდისუნარობის საქმის გახსნის შემდეგ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონესრიგების შესახებ. პასუხგასაცემია შემდეგი კითხვები: აქვს თუ არა მხარეს გადახდისუნარობის (გაკოტრების) საქმის გახსნის შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის ან ხელშეკრულების მოშლის უფლება და თუ აქვს - რა ეტაპზე და როგორ უნდა მონესრიგდეს ეს ურთიერთობა.

გაღკა-ში საუბარია, რომ: საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით სანარმო უფლებამოსილია მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით, მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ის აგრძელებს გახსნილ წარმოებაში სამეურნეო/ეკონომიკურ საქმიანობას, იკისროს ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებები,³³⁵ დადოს ახალი ხელშეკრულებები.

გადახდისუნარობის (გაკოტრების) საქმის გახსნის შემდეგ რეალურად გადახდისუნარო მხარის სამეურნეო/ეკონომიკური საქმიანობა დანიშნულმა მეურვემ ან გაკოტრებისა თუ რეაბილიტაციის მმართველმა შეიძლება გააგრძელოს, თუ ეს კრედიტორების ინტერესებიდან გამომდინარეობს. საქმიანობა შეჩერდება მხოლოდ მაშინ, თუ ის ვალაუვალობის მასას მეტ ბარალს მოუტანს. ამ შემთხვევაში რეალურად მოქმედებს ე.წ. ხელშეკრულების „შეყოვნების ინსტიტუტი“,³³⁶ რომელსაც გაღკა არ ითვალისწინებს და ითვალისწინებდა 1996 წლის კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების

³³⁴საქართველოს კანონი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ,“ 2007. ხელმისაწვდომია www.migri-law.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 05.03.2017)

³³⁵ იქვე, მუხლი 21.ე

³³⁶ მიგრიული რ. შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში (დამხმარე სახელმძღვანელო), მე-3 გადამუშავებული გამოცემა. თბ., 2017. გვ. 189

შესახებ³³⁷ (შემდგომში-განკა. ვფიქრობთ უპრიანი იქნება მისი მოქმედი კანონით მონესრიგება). „შეყოვნება“ გადახდისუნარო მხარეს მოფიქრების საშუალებას აძლევდა, რომ არჩევისას სწორი გადაწყვეტილება მიელო.

განკა-ში სახელშეკრულებო ურთიერთობებს მხოლოდ ერთადერთი მუხლი ეთმობოდა. განკას 16.1 მუხლის (სათაურით-„ორმხრივი ხელშეკრულების შესრულება“) დისპოზიციის თანახმად ვალაუვალობის (გაკოტრების) წარმოების გახსნის შემდეგ ვალაუვალობის (გაკოტრების) მმართველს³³⁸ ჰქონდა არჩევანის უფლება: მას შეეძლო შეესრულებინა ორმხრივი ხელშეკრულება ან დაერღვია ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება³³⁹ (აქ საუბარია ეკონომიკური ხასიათის ხელშეკრულებებზე). შესრულების შემთხვევაში ვალაუვალობის (გაკოტრების) მმართველი გაკოტრების მასიდან სრულად ასრულებდა ხელშეკრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულებები უქმდებოდა, დაზარალებულ მხარეს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშობოდა. შესაბამისად მხარეს მხოლოდ ხელშეკრულების მოშლის უფლებით შეეძლო ესარგებლა, რადგან რესტიტუციის პრინციპი ვალაუვალობის სამართლისათვის უცხოა და აქ მითითება მხოლოდ ზიანის ანაზღაურებაზე კეთდება.

რესტიტუციის პრინციპი სამოქალაქო სამართალში შესასრულებლად სავალდებულო პრინციპია, რომელიც უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებიდან გასვლისას, უფრო მეტიც გამონაკლის შემთხვევებში მას ხელშეკრულების მოშლის დროსაც იყენებენ. ვალაუვალობის სამართალი კი არ აღიარებს ამ პრინციპს, ვინაიდან მისი განხორციელება შეუძლებელია. ვფიქრობთ ვალაუვალობის სამართალი რეალურად არათანაბარ მდგომარეობაში ამყოფებდა მხარეებს, დაზარალებულ მხარეს აქვს

³³⁷ საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“. 1996. ხელმისაწვდომია www.migri-law.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.03.2017)

³³⁸ ვალაუვალობის წარმოების გახსნის შემდეგ საწარმოს მიერ დადებულ ორმხრივ ხელშეკრულებაში ერთი მხარეა ვალაუვალი მოვალე, რომლის ადგილს იკავებს ვალაუვალობის (გაკოტრების) მმართველი

³³⁹ განკა. მუხლი 16.1

მოთხოვნის საკანონმდებლო ბერკეტი და ვალაუვალობის წარმოებას კი თავს აფარებდა ვალაუვალი (გაკოტრებული) მხარე, რომელსაც ქონდა საკანონმდებლო ბერკეტი იმისა, რომ არ შეესრულებინა თავისი ვალდებულება და უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზიანი აენაზღაურებინა.

განკა იცნობდა ხელშეკრულების შეწყვეტის ინსტიტუტს. გაკოტრების კანონი აწესებდა შრომითი ურთიერთობის მონესრიგების განსხვავებულ, მხოლოდ ამ ურთიერთობისათვის დამახასიათებელ წესებს. გაკოტრების საქმის გახსნით შრომითი ურთიერთობები სრულად არ წყდებოდა, თუმცა განკას 16.2 მუხლის თანახმად ვალაუვალობის წარმოების გახსნისას შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყვიტა ვალაუვალობის მმართველს ან მუშაკს 2 კვირიანი ვადით. ეს 2 კვირიანი ვადა იმპერატიულად იყო მითითებული და კანონი არაფერს გვეუბნება მისი გაგრძელების შესახებ, უფრო მეტიც, ეს ვადა უნდა ყოფილიყო დაცული იმ შემთხვევაშიც თუ საწარმოს დახურვა ქონდა გადაწყვეტილი.³⁴⁰ შესაბამისად ვადის დარღვევის შემთხვევაში შეიძლებოდა სპრკ-ის 32.1-ე მუხლზე მითითება.³⁴¹ განკას 16.2 მუხლში მითითებული ეს 2 კვირიანი ვადა გაკოტრების მმართველს შესაძლებლობას აძლევდა შეემცირებინა ან გაეუქმებინა შტატები და ამით საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობა შეემსუბუქებინა. გაბერილი შტატები ხშირ შემთხვევაში, არასწორ მენეჯმენტთან ერთად, საწარმოს გაკოტრების ერთ-ერთი მიზეზია.

განკა აწესრიგებდა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ ურთიერთობებსაც. კანონის თანახმად მუშაკს ქონდა ხელშეკრულების შეწყვეტის მედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (დარჩენილი ხელფასი, შვებულების თანხა და სხვ.).

ახლანდელი ვალაუვალობის სამართალში არაფერია ნათქვამი შრომითი ურთიერთობების მონესრიგების შესახებ და შესაბამისად არ არის

³⁴⁰ მიგრიაული რ. დასახელებული ნაშრომი გვ. 196

³⁴¹ იქვე, გვ. 197

გათვალისწინებული 2 კვირიანი ვადა, რაც ხშირ შემთხვევაში ვალაუვალობის მმართველს რთულ მდგომარეობაში აყენებს, რაც გულისხმობს პროცედურების გაჭიანურებას შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის მხრივ.

ვალაუვალობის სამართალი სპეციფიკური სამართალია და კანონში უნდა იყოს გათვალისწინებული ხელშეკრულების ინსტიტუტის რეგულირების სპეციფიკური ნორმები, რომლებიც იქნება სსკ-თან შესაბამისობაში, თუმცა რა თქმა უნდა, გაითვალისწინებს განსხვავებულ, ვალაუვალობისათვის დამახასიათებელ ნორმებს.

ვალაუვალობის საქმის დასრულების შემდეგ მხარეს, თუკი მოვალე როგორც იურიდიული პირი გადარჩა, (უმეტეს შემთხვევაში, იგი ამოიშლება რეესტრიდან), შეუძლია გამოიყენოს: ხელშეკრულების მისადაგების უფლება, თუ არ დაინყო რეაბილიტაციის წარმოება ან მხარეთა მიერ დადებულ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

რეაბილიტაციის დროს მთელი წარმოება გადაეწეობა რეაბილიტაციის რეჟიმზე და გადამწყვეტია რეაბილიტაციის გეგმა, რომელშიც სრულიად განსხვავებული მონესრიგება შეიძლება შეგვხვდეს.

მართალია 2007 წლის, გადახდისუნარობის სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კანონის მეხუთე მუხლი მიგვიითითებს გადახდისუნარობის საქმის განხილვისას გამოსაყენებელი საპროცესო ნორმების შესახებ და გვეუბნება, რომ გადახდისუნარობის საქმის წარმოების მიმართ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონი არ შეიცავს შესაბამისი საკითხის მონესრიგებელ სპეციალურ ნორმას. ფაქტობრივად კანონი გვაძლევს მინიმუმას პროცესუალური საკითხების გადაწყვეტის დროს რომელი კანონით უნდა ვიმოქმედოთ, მაგრამ არაფერს გვეუბნება იმ ზოგად ნორმებზე რომელიც ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოიშვება, რაც თავისთავად პრობლემას უქმნის გადახდისუნარობის საქმის წარმოების ეფექტიან განხილვას.

გადახდისუუნარობის საკითხის განხილვისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, დღეს საქართველოში გადახდისუუნარობის საქმეებს პირველი ინსტანციით მხოლოდ თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლო იხილავს, თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს დასავლეთ საქართველოს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით მომრავლდა, მენარმე სუბიექტების მიმართვიანობა სასამართლოსადმი გადახდისუუნარად აღიარებასთან დაკავშირებით, მაგალითად, თუ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2008 წელს მხოლოდ ერთი განცხადება იყო წარდგენილი გადახდისუუნაროდ აღიარებასთან დაკავშირებით, 2017 წლის მდგომარეობით რაოდენობა გაიზარდა და წარმოადგენდა 99-ს. როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს განხილული საქმეებიდან სასამართლოს მიერ უმეტეს შემთხვევაში განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარია ნათქვამი, რაც განპირობებულია მოვალეების მხრიდან აქტივების არარსებობაში, ფაქტობრივად როდესაც მენარმე სუბიექტი მიმართავს სასამართლოს გადახდისუუნაროდ აღიარებასთან დაკავშირებით, მას არანაირი მოძრავი და უძრავი ქონება არ გაჩნია, და რეალურად მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განჩინების საფუძველზე კრედიტორებს განუსაზღვრავს ოცდაათ დღიან ვადას მოთხოვნის წარსადგენად, კრედიტორები საკუთარ მოთხოვნებს არ წარმოადგენენ (კრედიტორმა იცის რომ მოვალეს არანაირი რესურსი არ გააჩნია ვალდებულების შესრულების) რის გამოც მოსამართლე ასევე განჩინებით მოვალეს გაკოტრებულად აცხადებს, ხოლო იმ შემთხვევაშიც კი თუ სასამართლო დარწმუნდება რომ მოვალის მიმართ არსებობს ისეთი დივიდენდი, რომლის საფუძველზე შესაძლებელია რიგობით მოვალის უზრუნველყოფა სასამართლო ინცებს მენარმე სუბიექტის მიმართ გაკოტრების წარმოების დაწყებას ან რეაბილიტაციას. მაგალითად 2013 წლიდან დღემდე თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია

საქმე შპს „გ“-ს მიმართ, გადახდისუუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ, რომელიც დღესაც რეაბილიტაციის ეტაპზეა და ეტაპობრივად ხდება კრედიტორების უზრუნველყოფა.

ასევე, როდესაც ჩვენ გადახდისუუნარობის საქმეებს განვიხილავთ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იუსტიციის სამინისტრო სხვა უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ ახალ კანონს წერს. დოკუმენტის სამუშაო ვერსია მზადაა, თუმცა სანამ ის საბოლოო სახეს მიიღებს, სამუშაო ჯგუფი კონსულტაციებს გეგმავს ბიზნეს სექტორთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. როგორი იქნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საბოლოო კანონპროექტი უცნობია, თუმცა იუსტიციის სამინისტრო განმარტავს, რომ კანონის მთავარი დანიშნულება იქნება ფინანსური სიძნელეების მქონე სტრუქტურებს დაეხმაროს როგორც რეაბილიტაციის ისე გაკოტრების საქმის წარმოების მიმართულებით. ახალი კანონით გათვალისწინებული იქნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში ჩართული სუბიექტების უფლება-მოვალეობები, რომ მათი ინტერესების დაკმაყოფილება მოხდეს სხვა მონაწილეებისთვის ზიანის მიყენების გარეშე. დღეს მოქმედმა კანონმა პრაქტიკაში საკმაოდ ბევრი ნაკლოვანი მხარე გამოავლინა რამაც განაპირობა ახალი კანონის ინიცირება, რომელშიც განხილულ იქნება პირველ რიგში ნორმები, რომლებიც ხელს უშლის პროცესის ეფექტიანობას. საინიციატივო ჯგუფის განმატებით მათ სურთ ისეთი კანონი შეიმუშაონ, რომელიც იქნება დამხმარე ფინანსური სიძნელეების მქონე სტრუქტურებისთვის და მენარმეებისთვის კი საშუალება პრობლემების მოგვარებისათვის, იქნება ეს რეაბილიტაციის გზით თუ გაკოტრებით, ვინაიდან ერთ მხარეს გვაქვს კრედიტორთა სიმრავლე, რომელთა მოთხოვნებს დაკმაყოფილება სჭირდება, მეორე მხარეს კი მოვალის ინტერესები.

კიდევ ერთი საკითხია სასამართლოებში გადახდისუუნარობის საქმის საკმაოდ დროში გაჭიანურება. ახალი კანონის ინიცირება სასამართლოებში

სპეციალიზებული კომპეტენციის სამსახურის შექმნას გამორიცხავს, თუმცა აცხადებს რომ კანონი მკაცრად განსაზღვრავს ვადებთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს.

ვფიქრობთ, საინიციატივო ჯგუფის გადაწყვეტილება მისასალმებელია, ვიმედოვნებთ მთელი რიგი პრობლემები, რომელიც უშუალოდ გადახდისუნარობის საქმიანობას ახლავს თავს ნელ-ნელა დარეგულირდება რაც ხელს შეუწყობს საქმეების სწორ და ეფექტიან განხილვას.

დასკვნები და წინადადებები

როგორც განხილული სამართლებრივი საკითხების შესწავლის საფუძველზე გახდა ნათელი და ეს თემაშიც გამოიკვეთა, სსკ-ში მნიშვნელოვანი ხარვეზებია ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტების რეგულირებაში. ქართული სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ცალკეული ინსტიტუტების შესახებ ერთიან ცნებებს (მაგალითად: ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის, ვალდებულების დარღვევის, ვალდებულების შეუსრულებლობის, შეტყობინების), რაც, ვფიქრობთ, ქართული კანონმდებლობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

კოდექსში ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის და ხელშეკრულების გაუქმების სამართლებრივი ინსტიტუტები. დღევანდელი კოდექსიდან გამომდინარე, ეს ტერმინოლოგია იმდენად აღრეულია, რომ კანონმდებლობაში თუ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების მიუხედავად კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომელია გრძელვადიანი ხელშეკ-

რულება და რომელი – მოკლევადიანი (კონკრეტულ შებრუნებად შედეგზე ორიენტირებული) და შემდეგ მიუხადავით ხელშეკრულების დასრულების ესა თუ ის მუხლი კონკრეტულ საქმეს, მიუხედავად იმისა, გამოყენებულია თუ არა მასში ტერმინები ხელშეკრულების მოშლა, ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებიდან გასვლა თუ ხელშეკრულების გაუქმება.

სსკ-ის განხილვის შედეგად ხარვეზები აღმოჩნდა შემდეგ მუხლებში:

1. სსკ-ის 399-ე მუხლში მითითებულია „ხელშეკრულებაზე უარი“, „ხელშეკრულებიდან გასვლა“. (სსკ-ის 399-ე მუხლის სათაურია „უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე“ (გსკ. მუხლი 314). ამ ნორმით ცალსახად მოწესრიგებულია გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის დასრულებისათვის გამოიყენება „ხელშეკრულების მოშლის“ ინსტიტუტი. აქედან გამომდინარე ამ მუხლში გამოყენებული ტერმინები: „ხელშეკრულებაზე უარი“ და „ხელშეკრულებიდან გასვლა“ - უნდა შეიცვალოს „ხელშეკრულების მოშლით“.
2. სსკ-ის 491-ე მუხლის 1-ლ ნაწილში და 492-ე მუხლში ტერმინი „მოშლა“ უნდა შეიცვალოს ტერმინი „გასვლით“. ამ მუხლებში საუბარია ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. რადგან ნასყიდობის ხელშეკრულებისას როგორც წესი არ ყალიბდება გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა, შესაბამისად ამ მუხლების სათაურში და შინაარსში გამოყენებული ტერმინი „მოშლა“ უნდა შეიცვალოს ტერმინი „გასვლით“. მოშლა მხოლოდ გრძელვადიან ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას ახასიათებს, ხოლო ნასყიდობა მოკლევადიანი (კონკრეტულ შებრუნებად შედეგზე ორიენტირებული) ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა. ასე, რომ ამ მუხლში ტერმინოლოგია შესაცვლელია ქართველი კანონმდებლების მიერ.
3. სსკ-ის 541-ე მუხლის სათაურსა და ტექსტში მითითებულია „ხელშეკრულებაზე უარი“, უნდა იყოს „ხელშეკრულების მოშლა“, რადგან ამ მუხლით

მონესრიგებულია ქირავნობის სახელშეკრულებო ურთიერთობა, ქირავნობის ხელშეკრულება კი გრძელვადიანი ურთიერთობაა და შესაბამისად მასზე ვრცელდება ხელშეკრულების მოშლის პირობები.

4. სსკ-ის 636-ე და 637-ე მუხლის სათაურსა და შინაარსში გამოყენებულია „ხელშეკრულების მოშლა“, უნდა იყოს „ხელშეკრულებიდან გასვლა“ რადგან როგორც ნორმის დისპოზიციიდან ირკვევა მუხლი ეხება ნარდობის ხელშეკრულებას, რომელიც მოკლევადიანი (კონკრეტულ შებრუნებად შედეგზე ორიენტირებული) სახელშეკრულებო ურთიერთობაა.
5. სსკ-ის 809-ე მუხლის მე-2 ნაწილში და 812-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმაზე, ამ მუხლის დისპოზიციით კი მონესრიგებულია დაზღვევის სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა. შესაბამისად „უარი“ უნდა შეიცვალოს „მოშლით“.
6. სსკ-ის 938-ე მუხლის 1-ლ და 2-ე ნაწილებში მითითებულია „უარი თქვას“ და „ხელშეკრულებიდან გასვლა“, ორივე შემთხვევაში უნდა იყოს „ხელშეკრულების მოშლა“, რადგან ნორმით მონესრიგებულია ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაზე, რომელიც თავისი შინაარსით გრძელვადიანია და შესაბამისად ვრცელდება ხელშეკრულების მოშლის წესები.

ასე რომ სსკ-ის 491-ე, 492-ე, 636-ე, 637-ე მუხლებში მითითებულია „ხელშეკრულების მოშლა“, უნდა იყოს „ხელშეკრულებიდან გასვლა“. ხოლო სსკ-ის 399-ე, 541-ე, 809-ე, 812-ე, 938-ე მუხლებში მითითებულია „ხელშეკრულებიდან გასვლა (უარი)“ და უნდა იყოს „ხელშეკრულების მოშლა“.

7. სსკ-ის მერვე თავის სათაურია „ანდერძის შეცვლა ან მოშლა“ და შემდგომ პირველივე მუხლში საუბარია მონანდერძის მიერ ანდერძის მოშლისა და შეცვლის უფლებაზე. ორივე შემთხვევაში ტერმინი მოშლა აშკარად ზედმეტია, რადგან მოშლა როგორც ტერმინის და ინსტიტუტის გამოყენების მიზანშეწონილობა ჩვენ დავასაბუთეთ ხელშეკრულებასთან

მიმართებაში, ამ თავის სათაურად ჩვენ ვთვლით, რომ უპრიანია ჩამო-
ყალიბდეს ანდერძის „შეცვლა და გაუქმება“, ხოლო შესაბამის მუხლში
მიეთითოს ანდერძის შეცვლასა და გაუქმების უფლებაზე.

სსკ-ში ერთი სამართლებრივი ინსტიტუტი 2 ტერმინითაა გადმოცე-
მული. კოდექსის სრულყოფის მიზნით, კანონმდებელს ტერმინოლოგიის
დაზუსტებისა და უნიფიკაციის სახით რეკომენდაციას ვთავაზობთ. კერძოდ,
სამართლის ადრესატისათვის კანონის მარტივად გაგებისათვის მიზან-
შენილი და მნიშვნელოვანია, რომ სსკ-მა ორი სინონიმური
ტერმინიდან „ხელშეკრულებაზე უარი“ და „ხელშეკრულებიდან გასვლა“ – და
ტერმინიდან – „ხელშეკრულების მოშლა“ და „ხელშეკრულების შეწყვე-
ტა“ – ერთ-ერთზე უარი თქვას. კერძოდ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცნების -
„ხელშეკრულებიდან გასვლის“ - დატოვება, და უარი უნდა ვთქვათ ტერმინზე
„ხელშეკრულებაზე უარი“, ვინაიდან ხელშეკრულებაზე უარის ინსტიტუტი
უფრო ფართო ცნებაა და იგი თავის თავში მოიცავს, როგორც
ხელშეკრულებიდან გასვლას, ისე ხელშეკრულების მოშლას. ყველგან სადაც
გამოყენებულია ტერმინი „ხელშეკრულებაზე უარი“ შეიცვალოს ტერმინით
„ხელშეკრულებიდან გასვლა“, ხოლო იმ ადგილებში სადაც უარი
გულისხმობს, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლას ისე ხელშეკრულების
მოშლას მიეთითოს ორივე ინსტიტუტზე (მაგალითად: სსკ. მუხლები 405 და
398.3). და მეორე შემთხვევაში ცნების - „ხელშეკრულების მოშლის“ - დატო-
ვება, და უარი უნდა ვთქვათ ტერმინზე „ხელშეკრულების შეწყვეტა“, ვინაიდან
შეწყვეტის ინსტიტუტი წარმატებით გამოყენებულია ვალდებულებით
სამართალში ვალდებულების შეწყვეტის აღსანიშნავად (სსკ. კარი მე-6
„ვალდებულების შეწყვეტა“).

ასე მაგალითად:

- სსკ-ის 352-ე მუხლის სათაურია „ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედე-
გები“ სასურველია აქ გამოყენებული იქნას ტერმინი „ხელშეკრულებიდან

გასვლა“ და ეს ნორმა ასე ჩამოყალიბდეს „ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები“

- სსკ-ის 405-ე მუხლით მონესრიგებულია ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს. ჩვენ ვფიქრობთ ეს ნორმა ეხება როგორც მოკლევადიან ისე გრძელვადიან ხელშეკრულებებს და შესაბამისად აქ საუბარი უნდა იყოს ვალდებულების დარღვევისას როგორც ხელშეკრულების მოშლაზე ისე ხელშეკრულებიდან გასვლაზე. ასეთ შემთხვევაში ნორმის შინაარსის მიხედვით უნდა დადგინდეს, რომელი ინსტიტუტია ნაგულისხმევი მუხლში. ხოლო როდესაც მსგავსი საკითხები სასამართლოს განხილვის საგანი ხდება სასამართლო ადგენს ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, რომელ ინსტიტუტს გულისხმობენ მხარეები.
- შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტი რეალურად წინაპირობაა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ისე მოშლის, თუმცა სსკ-ის 398.3-ე მუხლის დისპოზიციის თანახმად ეს ინსტიტუტი მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობაა. „მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე“. აქ არაფერია ნათქვამი ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტზე, მაშინ როდესაც სსკ-ის 398-ე მუხლის ანალოგ გსკ-ის 313.3-ე მუხლის დისპოზიციაში კი პირდაპირაა მითითებული ხელშეკრულების მისადაგებისას „გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნაცვლად გამოიყენება ხელშეკრულების მოშლა“.

ვფიქრობთ, რომ ქართველ კანონმდებლებს უბრალოდ გამორჩათ მუხლის ამ ნაწილის დამატება სსკ-ში და მასში გრძელვადიან სახელშეკრუ-

ლებო ურთიერთობებისას შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების ინსტიტუტი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ხელშეკრულებიდან გასვლის თავი იწყება ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგების მონესრიგებით ვფიქრობთ, თავდაპირველად უნდა ჩამოყალიბდეს ამა თუ იმ ინსტიტუტის ზოგადი დებულებები, შემდგომ წინაპირობები, თანმდევი პროცედურები და ბოლოს შედეგები. აქ ვხვდებით კოდექსის სტრუქტურულ ხარვეზს.

ხელშეკრულებიდან გასვლისა და მოშლის ერთ-ერთი პირობაა მოვალის მიერ ვადის გადაცილებით ვალდებულების დარღვევა, თუმცა სსკ-ში ვალდებულების დარღვევის კარში ცალკე თავადაა გამოყოფილი ეს ერთი პირობა და დანარჩენებს ეთმობათ მხოლოდ რამდენიმე მუხლი. ვფიქრობთ, ცალკე თავის დამატებას საჭიროებს კოდექსი ნაწილობრივი (შეუსაბამო) შესრულების, ვალდებულების შეუსრულებლობის და შესრულების შეუძლებლობის რეგულირებისათვის.

სსკ-ის 405.2(ა) მუხლის ფორმულირებით, დამატებითი ვადის დანესება საჭირო არ არის, როდესაც ამკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება. ამ განმარტებაში სავარაუდოდ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც შესრულება შეუძლებელია, თუმცა შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტი სსკ-ში არ არის განმარტებული, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის ერთ-ერთი სახე. ვფიქრობთ, შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტი ხელშეკრულებიდან გასვლისას მეტად აქტუალურია და შესაბამისად სსკ-ში ის ცალკე თავად უნდა გამოიყოს.

მოვალის სახელშეკრულებო ინტერესის დაცვის ბერკეტი ჩადებულია სსკ-ის 405.3 (დ) მუხლში, რომელიც შესაგებლის წარდგენის უფლებას აძლევს მოვალეს. რადგან, შესაგებელი მოთხოვნის უფლებაა, იგი სავარაუდოდ გულისხმობს მოვალის უფლებას, დაამტკიცოს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა, მაგრამ ამ შემთხვევაში, კოდექსში დაუკონკრეტებელია, როდის აქვს მოვალეს ამ ბერკეტის გამოყენების უფლება, ხელ-

შეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, თუ მანამდე?

სსკ-ში ერთი და იგივე მნიშვნელობის გამოსახატავად ზოგ ადგილას გამოყენებულია ტერმინი „ზიანი“ ზოგ ადგილას „ზარალი“, ვფიქრობთ, რომ ტერმინები ზიანი და ზარალი გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი კონტექსტების შესაბამისად: ზარალის – მიყენება ხდება, ხოლო ზიანის – ანაზღაურება. ვფიქრობთ, სსკ-ში იქ, სადაც საუბარია შედეგზე უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „ზარალი“, რადგან სამოქალაქო განათლების ლექსიკონის თანახმად ზარალი განმარტებულია შემდეგნაირად: - „ზარალი (loss, losses) ეს არის სახელმწიფოს, მეწარმის, მომხმარებლის ან შუამავლის მატერიალური, ქონებრივი და ფინანსური დანაკარგი ...“³⁴² შესაბამისად ზარალი არის შედეგი, რაც დადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით.

როგორც თემაში განხილული სამართლებრივი საკითხების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რესტიტუციის პრინციპის განხორციელების წინაპირობებია: ნამდვილი ხელშეკრულების არსებობა, ხელშეკრულების მოკლევადიანობა, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების დარღვევა. თუ ეს ყველა პირობა არსებობს და არ განხორციელდება რესტიტუციის პრინციპი ადგილი ექნება უსაფუძვლო გამდიდრებას. თუმცა არსებობს სსკ-ის 448 მუხლი (ანალოგიაა: გსკ-ის 397 მუხლი, რფსკ-ის 415 მუხლი³⁴³), რომლის რესტიტუციის პრინციპთან მიმართებაში განმარტება მნიშვნელოვანია. ამ მუხლზე დაყრდნობით რესტიტუციის პრინციპის დაწესება დამოკიდებულია მხარეთა გადანყვეტილებაზე, მიმართავენ ისინი დაცვის საშუალებებს თუ არა. აქედან გამომდინარეობს, რომ რესტიტუციის ნორმის გამოყენება არ არის იმპერატიული მოთხოვნა.

³⁴² სამოქალაქო განათლების ლექსიკონი

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=23105>

³⁴³ იხ: Тихомиров М.Ю. Споры в связи неосновательным обогащением. М. 2001

რესტიტუცია როგორც ასეთი ტერმინოლოგიურად გამოყენებულია სსკ-ში მხოლოდ ერთ მუხლში, კერძოდ მუხლი 508-ის სათაურად „ორმხრივი რესტიტუცია ვალდებულების შეუსრულებლობისას“, თუმცა მას არეგულირებს ხელშეკრულებიდან გასვლის თავის პირველი 352-ე მუხლი „ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები“. ვფიქრობთ ამ მუხლის სათაური უნდა იყოს ორმხრივი რესტიტუცია ან ორმხრივი რესტიტუციის პრინციპი, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგი.

აშშ-სა და ინგლისის კანონმდებლობა (აშშ-ს ერთიანი სავაჭრო კოდექსი მუხლი 2.106.3,4 და 2ა-505.1,2) მიუთითებს და აღიარებს ნაწილობრივ/არასრულ რესტიტუციას. ვფიქრობთ ესეც პრაქტიკაში რეალურად არსებული პრეცედენტია და რეგულირებას მოითხოვს კანონის მხრიდან. ნაწილობრივი/არასრული რესტიტუცია გულისხმობს, რომ გრძელვადიანი ხელშეკრულებების დროს რესტიტუცია ვრცელდება იმ ნაწილში, რომელიც უკვე განხორციელდა ან უნდა განხორციელებულიყო. რესტიტუციის პრინციპი არ ვრცელდება მომავალში განსახორციელებელ მოქმედებებზე, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც არსებობს აშკარა ვარაუდი იმისა, რომ ხელშეკრულება არ შესრულდება. ხელშეკრულებიდან გასვლისას ჯერ კიდევ შეუსრულებელი ძირითადი ვალდებულებები განხორციელებას აღარ ექვემდებარება.

რესტიტუციის პრინციპის განხორციელება არ არის აბსოლუტურად უვადო. იგი ვადიანია თუ საქმე ეხება ნასყიდობის ხელშეკრულებას და მასში გათვალისწინებულია ვარგისიანობის ვადა. საგარანტიო ფურცელი მოიცავს პირობას თუ რა დროის მანძილზე შეიძლება ხელშეკრულებიდან გასვლა. ამ დროის გასვლის შემდეგ არ დადგება რესტიტუციის პრინციპით გათვალისწინებული შედეგი.

სსკ-ის 398-ე მუხლი ჩვენი აზრით ხარვეზიანია, რადგან იგი ხელშეკრულების მხარეს აძლევს უფლებას, დაუსაბუთებლად განაცხადოს უარი ხელშეკრულების მისადაგებაზე, რითაც იზღუდება სასამართლოსათვის

მიმართვის გზით ხელშეკრულების მისაღებად განხორციელება, „ხელშეკრულების მოდიფიცირების მოთხოვნის უფლება“.

სსკ-ის 399-ე მუხლი ის ერთადერთი სახელმძღვანელო მუხლია რომლიდანაც უნდა გამომდინარეობდეს ხელშეკრულების მოშლის სხვა ნორმები. იგი ჩანერილია ვალდებულების დარღვევის კარის პირველ თავში, რომელიც ეხება ზოგად დებულებებს, მაშინ, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლას ცალკე თავი აქვს მიძღვნილი სულ სხვა კარში, რომელსაც სახელშეკრულებო სამართლი ეწოდება. თუ ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა თანაბარი დანიშნულების მქონე ინსტიტუტებია, ჩვენთვის გაუგებარია, რატომაა ისინი სსკ-ში ცალ-ცალკე სხვადასხვა ნაწილში და რატომ ეთმობა ერთს მთლიანი თავი, ხოლო მეორეს მხოლოდ ერთი მუხლი.

ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილია კოდექსში ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტს დაეთმოს ცალკე თავი, რომელშიც, თანმიმდევრობით ჩამოყალიბდება ამ ინსტიტუტის ზოგადი დებულებები, შემდგომ წინაპირობები, თანმდევნი პროცედურები და ბოლოს, შედეგები. რითაც იგი გაემიჯნება ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტს. აქ ვხვდებით კოდექსის სტრუქტურულ ხარვეზს.

სსკ-ში, როგორც დასკვნებიდან გამომდინარეობს ვხვდებით მთელ რიგ ხარვეზებს და აუცილებელია კანონმდებელმა მათ დახვეწაზე იზრუნოს.

გამოყენებული ლიტერატურა

კანონმდებლობა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 26.06.1997. www.matsne.gov.ge
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 14.11.1997. www.matsne.gov.ge
3. საქართველოს შრომის კოდექსი. 17.12.2010. www.matsne.gov.ge
4. საქართველოს კანონი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“. 28.03.2007. ხელმისაწვდომია www.migri-law.ge
5. საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“. 25.06.1996. ხელმისაწვდომია www.migri-law.ge
6. სახელშეკრულებო სამართლის შესახებ კონვენცია. ვენა 23.05.1969. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi78.pdf>
7. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (ქართული თარგმანი_ზ. ჭეჭელაშვილი), თბ., 2010. www.samkitxvelo.ge
8. The Principles Of European Contract Law. 03.10.1993. <http://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/>
9. United Nations Convention on Contracts for the International sale of goods. (CISG) Vienna, 11.04.1980. www.uncitral.org
10. Гражданский кодекс Российской Федерации. Москва, 18.12.2006. № 230-ФЗ. www.ГАРАНТ.ru
11. Гражданское право Франции. (1804). www.twirpx.com
12. Civil code (france). 1804. www.lexinter.net
13. Federal Act on the Amendment of the Swiss Civil Code, (1883. (Part Five: The Code of Obligations) www.admin.ch/gov/de
14. New Netherlands Civil Code: patrimonial law (property, obligations, and special contracts), 1990. www.lib.ugent.be
15. Sale of Goods (of England). 1979. www.Legislation.gov.uk
16. Uniform Commercial Code (1952). www.law.cornell.edu/ucc
17. Bürgerliches Gesetzbuch. (Deutschland). 18.08.1896. www.gesetze-im-internet.de
18. Le Code civil français. 1804. www.legifrance.gouv.fr

ლიტერატურა:

19. ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი. თბ., სამართალი. 1999, გვ. 286

20. ბაჩიაშვილი ვ. დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლის და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოს და გერმანიის სამართლის მიხედვით), // ქართული სამართლის მიმოხილვა-სპეციალური გამოცემა. თბ., 2008, გვ. 159-192
21. ბზეკალავა ე. ჭალიძე თ. ცერცვაძე ა. გეგენავა დ. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები. თბ., დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი. 2014, გვ. 87
22. ბიოლინგი ჰ. ლუტრინგჰაუსი ჰ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი. ბრემენ-თბილისი. სიესტა. 2004-2009, გვ. 140
23. გოგუა ქ. სადისერტაციო ნაშრომი, ხელშეკრულებიდან გასვლის შედარებით სამართლებრივი დახასიათება. თბ., სტუ. 2012, გვ. 125
24. ზარანდია თ. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები. (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი). თბ., 2002
25. ზოიძე ბ. ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში. თბ., საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი. 2005, გვ. 361
26. თოდუა მ. და ვილემსი ჰ. ვალდებულებითი სამართალი. თბ., ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2006, გვ. 144
27. თუმანიშვილი გ. შესავალი საქართველოს კერძო სამართალში. თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2012, გვ. 384
28. თუმანიშვილი გ. შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, სალექციო კურსი. ნაწილი 2. თბ., 2010, გვ. 366
29. კოტცი ჰ. ცვაიგერტი კ. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტ I. თბ., საია. 2000, გვ. 339
30. კოტცი ჰ. ცვაიგერტი კ. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტ II. თბ., საია. 2001, გვ. 403
31. კროპჰოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. მიუნჰენი, Verlag C. H. Beck. 2011, გვ. 904
32. მაჭარაძე მ. ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა-განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), სამაგისტრო ნაშრომი. თსუ. // ქართული სამართლის მიმოხილვა-სპეციალური გამოცემა. თბ., 2008, გვ. 125-158
33. მიგრიაული რ. შესავალი გაკოტრებისა და გადახდისუუნარობის სამართალში (დამხმარე სახელმძღვანელო), მე-3 გადამუშავებული გამოცემა. თბ., ბონა კაუზა. 2017, გვ. 185
34. სურმავა თ. პრობითი ხელშეკრულების მოშლა. // სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბ., 2011, გვ. 67-74

35. ტაბატაძე დ. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. // ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 30-41.
36. ფაჩუაშვილი ნ. დისტანციური ხელშეკრულებები და მათზე უარის თქმის უფლება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. // სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი. თბ., 2014, გვ. 144-151
37. ფიფია ა. ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მონესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე. // ქართული სამართლის მიმოხილვა, თბ., 2008. გვ. 69-124
38. ქოჩიაშვილი ა. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების საკითხები ქართული სამართლის მიხედვით. // ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მე-2 გამოცემა. თბ., 2013, გვ. 56-65
39. ყანდაშვილი ი. ქონებრივი რესტიტუცია ქართული კანონმდებლობისა და ტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე. სტატიათა კრებული. ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მეანიზმები. თბ., 2010, გვ. 199-209
40. ჩაჩავა ს. სადისერტაციო ნაშრომი, მოთხოვნები და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში. თსუ. 2010, გვ. 181
41. ჩაჩანიძე თ. სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში. // მართლმსაჯულება და კანონი, N3(26) თბ., 2010, გვ. 22-35
42. ჩიტაშვილი ნ. შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულება და შეუძლებლობა. // სამართლის ჟურნალი № 2, თბ., 2011, გვ. 150-182
43. ძლიერიშვილი ზ. ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. თბ., 2011
44. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი. თბ., მერიდიანი. 2014, გვ. 761
45. ჭანტურია ლ. ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი: ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი III. თბ., სამართალი. 2001, გვ. 602
46. ჭანტურია ლ. და სხვები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი: ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი IV, ტომი I, თბ., 2001, გვ. 464

47. ჭანტურია ლ. და სხვები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი: ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, გვ. 431
48. ჭეჭელაშვილი ზ. სახელმეკრულებო სამართალი. (შედარებით სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე). მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბ., ბონა კაუზა. 2014. გვ. 305
49. Брагинский М.И. Витрянский В.В. Договорное право. Книга 1-5. М. 478, 428, 594, 483, 371-314 С. М. СТАУТ. 2000-2006
50. Вилкова Н.Г. Договорное право в международном обороте. М. 2002. 258 С. <http://www.alleng.ru>
51. Смоленский М.Б. Гражданское право. Часть вторая, Д. 2004
52. Обязательства вследствие неосновательного обогащения. МГЮА. 2012. 89С
53. Тихомиров М.Ю. Споры в связи неосновательным обогащением. М. 2001
54. Цвайгерт К. Кётц Х. Введение в сравнительное правоведение в сфере частного права. Том 2. М. 1998. 512 С
55. Шершеневич Г.Ф. Курс Гражданского права, Тула, 2001. 719 С
56. Янушкевич И.П. Договоры и их правовое значение. М. 2000
57. Barry N. The French Law of contract, 2nd ed. Oxford, University Press. 2002, 290p
58. Bell J. Boyron S. and Whittaker S. Principles of French Law, Oxford. University Press. 1998, 517 p
59. Beatson J. and Schrage E. Cases, Materials and Texts on Unjustified Enrichment 2003, 640 p
60. Birks P. Unjust Enrichment. 2nd ed. 2005, 354 p
61. Burrows A. Understanding the Law of Obligations. Essays on Contract, Tort and Restitution. Hart Publishing, Oxford, 1998, 248 p
62. Burton S. Elements of Contract Interpretation. Oxford, University Press 2009, 256 p
63. Charman M. Contract Law. 4th edition. Willan Publishing. 2007, 355 p
64. Geoffrey S. Law of Obligations and Legal Remedies. London. Cavendish Publishing Limited. Second edition. 2001, 487 p
65. Johnston D. Zimmermann R. Unjustified Enrichment: Key Issues in Comparative Perspective. 1st Edition. Cambridge University Press. 2002, 750 p.
66. Kotz H. Flessner A. Weir T. European Contract Law, Vol. 1, 1998, 312 p
67. Lando O. Beale H. Principles of European Contract Law, Parts I and II, Hague-London-Boston. 2000, 561 p

68. Markesinis B. Unberath H. Johnston A. The German Law of Contract. A Comparative Treatise. Second ed. Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 1034 p
69. Raymond Y. English, French & German Comparative Law. Routledge, 2014, 701p
70. Virgo G. The Principles of the Law of Restitution. third edition. Oxford. 2006, 700p
71. Zimmermann R. The Law of Obligations (Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract). Oxford. 1996, 1301 p
72. Zweigert K. and Kötz H. Translated from the German by Weir T. An Introduction to Comparative Law. Oxford. Clarendon Press. 1998, 144 p
73. Brox H. Walker W. Allgemeines Schuldrecht. 32. Auflage. Munchen. 2007, S 494
74. Jousseaume J. Schuldrecht I - Allgemeiner Teil (Sr-Studienreihe Rechtswissenschaften. German Edition). W. Kohlhammer. 2008, 337 p
75. Kötz H., Zweigert K. Einführung in die Rechtsvergleichung. Auf dem gebiete des Privatrechts (Mohr Lehrbuch) Broschiert. Tübingen. J.C.B. Mohr (Paul Siebeck), 1996, s. 729
76. Rösler H., Hardship in German Codified Private Law – In Comparative Perspective to English, French and International Contract Law, Kluwer Law International BV/Printed in Netherlands, European Review of Private Law, Vol. 15, No. 4, 2007, 34 p
77. Zwanzger M. Der mehrseitige Vertrag: Grundstrukturen, Vertragsschluss, Leistungsstörungen (Studien Zum Privatrecht) (German Edition). Mohr Siebeck. 2013, S. 464
78. Schwenzer I. Kee C. Hachem P. Global Sales and Contract Law. Oxford. 2012, 1072 p

ინტერნეტ რესურსები:

79. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინტერნეტ ლექსიკონი. www.nplg.gov.ge
80. ბერიშვილი ე. ინტერნეტ სტატია – ხელშეკრულების შეწყვეტა VS ხელშეკრულებიდან გასვლა ქართული კანონმდებლობისა და ევროპის სახელშეკრულებოსამართლის მიხედვით. www.legalclinic.iliauni.edu.ge
81. თოდუა მ. // ვალდებულებითი სამართალი, სტატია - ხელშეკრულებიდან გასვლა (მოშლა) და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბ., 2006. www.gyla.ge
82. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=23105>

83. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებანი.
www.supremecourt.ge
84. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანაცვეტილებანი სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. www.prg.supremecourt.ge
85. ქართულ-გერმანულ-ქართული ინტერნეტ იურიდიული ლექსიკონი.
<http://gil.ge/gergeo.php>
86. შენგელია ვ. ინტერნეტ სტატია - ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება და დახასიათება. www.iuristebi.ge
87. Рыжков Ю.В. Махненко. Р.Н. Статья: Некоторые вопросы изменения и расторжения договора в практике Федерального арбитражного суда Северо-Кавказского округа. Журнал „Вестник Федерального арбитражного суда Северо-Кавказского округа“, N 6, ноябрь-декабрь 2003.
<http://fasko.arbitr.ru/novosti/vestnik/archive/14341.html>
88. Юридические услуги в Москве. Статья: Односторонний отказ от исполнения, прекращения и расторжения договора аренды. 2010.
<http://www.mosuruslugi.ru/articles/216/>
89. Clarke P. Internet Article_ Breach-of-contract. www.legalmatch.com
90. Crystal G. Internet Article_ Breach of contract. www.contrancsandagreements.co.uk
91. Green Ch. Internet Article. Ways to Terminate Employment Contracts.
<http://smallbusiness.chron.com/ways-terminate-employment-contracts-1320.html>
92. Guiding Principles of European Contract Law. 168 p. www.legiscompare.fr/web/IMG/pdf/19
93. Zimmermann R, Breach of Contract and Remedies Under the New Law of Obligations, 48th Conference-Seminar. Rome. 2002. www.cisg.law.pace.edu
94. www.en.wikipedia.org/wiki/Restitution
95. www.myadvokat.ge
96. www.contractsandagreements.co.uk/breach-of-contracts
97. www.houston-opinions.com
98. www.schecterlaw.com